პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიური მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

— ვასიფ-ბეი საბჭოთა კავშირის შესახებ.
— ვენის მუნიციპალიტეტმა გააგრძელა საბჭოთა კრედიტების ვადა.
— მირონესკუსა და ზალესკის თათბირი.
— ფაშისტების და მენშევიკების დემონსტრაცია ვენაში.
— სამხრეთ-სლავიის ელჩად ვატიკანში დაინიშნა ყოფ. პრემიერი კოროშეცი.
— პროფ. სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი ჩავიდნენ ბერნში (შვეიცარია).
— საფრანგეთი აიარაღებს პოლონეთს და ბალკანეთის ქვეყნებს.

ოთხშაბათი, 27 თებერვალი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 46 (2392)

1-ლ მარტისათვის მოწვეულია

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას მე-5 პლენუმი

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი.

ოთხშაბათს, ა. წ. თებერვლის 27-ს, საღამოს 7 საათ.

შესდგება

საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. ცაკის მდივნის მაგიერ ი. სტურუა

ხუთშაბათს, ა. წ. თებერვლის 28-ს დილის 10 საათზე
ქ. თბილისში, სასახლის წითელ დარბაზში

გაიხსნება

სრულიად საქ. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 მოწვევის მე-5 სესია

დღის წესრიგი:

1) მოხსენება ს. ს. ცაკ-ის პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ.
2) ს. ს. ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ სესიიდან სესიამდე მიღებულ საკანონმდებლო აქტების განხილვა-დამტკიცება.
3) საორგანიზაციო საკითხები.
4) მიმდინარე საკითხები.

სესიის გახსნამდე, დილის 9 საათზე შესდგება კომფრაქციის სხდომა.

ს. ს. ცაკ-ის მდივნის მაგიერ—ვ. სტურუა

მემარჯვენე გადახრა და პარტიის გენერალური ხაზი

მემარჯვენე გადახრა ჩვენს პარტიაში, ისე, როგორც ყოველგვარი სხვა გადახრა, საბჭოთა განვითარების თანამედროვე პირობებში წარმოადგენს კომუნისტების ერთი ნაწილის გადასვლის ტენდენციებს პარტიის გენერალური ხაზიდან ბურჟუაზიული იდეოლოგიისაკენ.

ობიექტიურად ეს გადასვლა ნიშნავს ამ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენას რთულ კლასობრივი ბრძოლის პირობებში პროლეტარიატზე (რთული გადამცემი აპარატის საშუალებით) და არასაკმარის წინააღმდეგობის გაწევას ამ ზეგავლენის მიმართ პარტიის ყველაზე მეტად მერყევ და ყველაზე ნაკლებ გამობრძმედილ წევრების მხრით. საბჭოთა კავშირის პირობებში, იმ ქვეყნის პირობებში, სადაც კაპიტალიზმი უკვე დამხობილია, მაგრამ სადაც ჯერ კიდევ მისი ფესვები ამოთხრილი არ არის, სადაც სოციალისტურმა მშენებლობამ უნდა გაარღვიოს და გაჰკაფოს კაპიტალისტური და წვრილ - ბურჟუაზიული გარემოცვა, — პროლეტარიატზე და მის პარტიაზე ზეგავლენა კლასიურად უცხო ძალების მხრით — იღებს მეტად რთულ და თავისებურ ფორმებს. ზოგიერთ პერიოდში ეს ზეგავლენა აშკარავდება მემარცხენე ფრაზის ფორმით ან იღებს პარტიის ხაზთან აშკარა ოპორტუნისტული ბრძოლის და მემარჯვენე კრიტიკის ხასიათს.

როგორც ლენინი აღნიშნავდა, ბოლშევიზმი აღიზარდა და გამაგრდა ორ ფრონტზე ბრძოლაში.

მემარჯვენე გადახრის ბუნების და თანამედროვე პირობებში მისი განვითარების ტენდენციების გამოსააშკარავებლად, პირველ ყოვლისა, საჭიროა გამოვარკვიოთ ამ გადახრის დამოკიდებულება პარტიის გენერალურ ხაზთან, აღვნიშნოთ მთავარი პუნქტები, სადაც თავს იჩენს ამ გადახრის მისწრაფება — ჩამოშორდეს სოციალისტური მშენებლობის ძირითად საკითხებს, ჩამოშორდეს პარტიის ხაზს.

მემარჯვენე გადახრის საშიშროება იზრდება კლასიური ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე კლასობრივ ურთიერთობის ფონზე. სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, რომელსაც ატარებს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, უნდა განხორციელდეს ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპით. ეს რეკონსტრუქცია მოითხოვს საბჭოთა სახელმწიფოსაგან დიდ ძალების და საშუალებების დახარჯვას, იგი მოითხოვს პროლეტარიატისაგან და საერთოდ მშრომელთა მასებისაგან ძალების დიდ დაჭიმვას და დიდ მსხვერპლს. მეორე მხრით, რეკონსტრუქცია წარმოუდგენელია ამის გარეშე, თუ გადამწყვეტი შეტევა არ ვაწარმოეთ ქალაქის და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ.

აშკარა უტოპია იქნება ვიფიქროთ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ჩვენ შეგვიძლია მშვიდობიანად შევეზარდოთ სოციალიზმს, ისე, რომ არ შევლახოთ კაპიტალისტური ელემენტების და კულაკის კლასიური ინტერესები.

ლენინიზმის დამახინჯებას წარმოადგენს პარტიის მიერ უარყოფილი თეორია იმის შესახებ, რომ კულაკს შეუძლია შეეზარდოს კომუნიზმს და სხვ.

მემარჯვენე გადახრას პარტიის გენერალურ ხაზიდან დაშორება ემჩნევა რამოდენიმე ძირითად პუნქტში. ყველაზე უფრო არსებითი მათ შორის არის შემდეგი:

საკითხი ქვეყნის **ინდუსტრიალიზაციის ტემპის** შესახებ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპით განხორციელება აუცილებელ პირობას წარმოადგენს სოციალიზმის მშენებლობის წარმატებისათვის ჩვენს ქვეყანაში. თუ ჩვენ უკან დახევა არ გვინდა, თუ ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით მე-15 პარტყრილობის დირექტივებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, ჩვენ სწორედ ამ საკითხში უნდა მოვითხოვოთ გარკვეული ხაზის გატარება.

სავსებით აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია არ შეიძლება განხორციელდეს სწრაფი ტემპის გატარების გარეშე, ინდუსტრიალიზაცია არ შეიძლება განხორციელდეს, თუ გადალახული არ იქნა სერიოზული სიძნელეები. საერთოდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვიმყოფებით ჩვენი მრეწველობის და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დაწყების პერიოდში: ახალ მშენებლობაზე გაღებული კაპიტალური თანხები საწარმოო ეფექტს მოგვცემენ მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ.

ის, ვისაც არ ესმის ეს თავისებური სიტუაცია, ის, ვინც მერყეობას იჩენს პარტიის მიერ მიღებულ საკითხში ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის შესახებ; ის, ვისაც აფრთხობს სიძნელეები, იგი აუცილებლად შორდება პარტიის გენერალურ ხაზს, იხრება მარჯვნივ ან იჩენს მისთან შემრიგებლობას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პარტიის გარკვეული ხაზის გატარება **სოფლის კოლექტივიზაციის დარგში.**

ქალაქის მსხვილ ინდუსტრიას არ ექნება განვითარების საშუალება, თუ სათანადოდ არ გაძლიერდა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი, რასაც უკვე გარკვევით გაუსვა ხაზი ნოემბრის უკანასკნელმა პლენუმმა.

გლეხური მეურნეობის, ღარიბთა და საშუალო გლეხთა მეურნეობის განვითარება, ძირითადი გლეხური მასივის მეურნეობის საქონლიანობის გაძლიერება ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მთავარი გზა, რომელიც სოციალისტურ მრეწველობასთან კავშირს გულისხმობს, არის ერთად ერთი სწორი გზა სოფლის რაც შეიძლება სწრაფი აღორძინებისათვის, მისი სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმისათვის.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს პარტია მხედველობაში არ იღებს ინდივიდუალურ მეურნეობათა ინტერესებს; ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ჩვენ გეზი არ ავიღეთ სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაზე, ვერ შევძლებთ პარტიის საერთო დირექტივების გატარებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

ის, ვინც მერყეობას იჩენს სოფლის კოლექტივიზაციის საკითხში და ვისაც სწადია იაროს კულაკთან შეგნებული ან შეუგნებელი შეთანხმების გზით, ის, ვინც სათანადოდ ვერ აფასებს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის გამო წარმოებულ კლასობრივ ბრძოლას; ის, ვისაც შესაძლებლად მიაჩნია კულაკური მეურნეობის მშვიდობიანი შეზრდა სოციალიზმთან, იგი აშკარად ეწინააღმდეგება პარტიის გენერალურ ხაზს, იგი აუცილებლად ვარდება პარტიაში არსებულ მემარჯვენე განწყობილებათა გავლენის ქვეშ, მემარჯვენეების ფარულ ან აშკარა მომხრეების მდგომარეობაში.

ჩვენ ვერ დავხუჭავთ თვალს და ვერ ვიტყვით, რომ კულაკი და კულაკური მეურნეობა არ განმტკიცდა და არ აძლიერებს აქტივობას. კლასობრივი ბრძოლის ზრდა სოფლად, განსაკუთრებით კულაკობის მიერ გამომჟღავნებულ აქტივობასთან დაკავშირებით, ეჭვს გარეშეა. ეჭვს გარეშეა აგრეთვე კულაკური ელემენტების მისწრაფება ეკონომიურად და იდეოლოგიურად დაიმორჩილონ ღარიბთა და საშუალო გლეხობის ის წრეები, რომლებთანაც მათ ურთიერთობა აქვთ.

საბჭოთა ხელისუფლებამ უკანასკნელ წლებში ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობის ასაღორძინებლად შესძლო მრავალ ღონისძიებების გატარება, მაგრამ ეს მაინც ჯერ საკმაო არ არის. სოფლის საფუძვლიანი სოციალისტური გარდაქმნის გარეშე გლეხობის მთავარი მასის კეთილდღეობის ზრდა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. პარტიამ განსაკუთრებული გაბედულებით უნდა შეატრიალოს თავისი პოლიტიკა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უფრო დაჩქარების მიზნით.

უნდა შევებრძოლოთ მემარჯვენეების მიერ გავრცელებულ დემოგოგიას იმის შესახებ, რომ გლეხობა ზომაზე მეტს იხდიდეს სამრეწველო საქონელში, რომ ის საკმაოდ ვერ ღებულობს სასოფლო სამეურნეო საქონელში და, თითქოს, ამ მოვლენების მოსპობა, რომლებიც ისტორიულად შექმნილ დისპროპორციის შედეგს წარმოადგენენ, დაუყოვნებლივ შეიძლებოდეს; თითქოს შესაძლებელია სოფლის მეურნეობის საფუძვლიანი გარდაქმნის პრობლემის გადაწყვეტა ინდუსტრიალიზაციის გაძლიერების გარეშე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის მომენტი, რომ სწორედ სოფლის ეკონომიკის მაღალ საფეხურზე აყვანის საჭიროება მოითხოვს საშუალო და ღარიბ გლეხობის — ამ მთავარ მასივის კავშირის გაძლიერებას ჩვენს მსხვილ სოციალისტურ ინდუსტრიასთან, სწორედ ეს საჭიროება მოითხოვს ჩვენი მრეწველობის, კერძოთ მძიმე მრეწველობის ჩქარ ტემპს, მძიმე მრეწველობის, რომელიც, როგორც ნოემბრის პლენუმმა აღნიშნა, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

პროლეტარიატისა და გლეხობის მთავარი მასის კავშირის საკითხისადმი ასეთ მიდგომაში მთელი სიცხადით აშკარავდება ძირითადი პირობა ამ შეკავშირებისათვის, სახელდობრ პროლეტარული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, რისთვისაც არა ერთხელ გაუსვია ხაზი ლენინს.

იგი სწერდა: „ეხლა ძალა-უფლება ხელთ უპყრია პროლეტარიატს და ის ხელმძღვანელობს მას, იგი ხელმძღვანელობს გლეხობას. რას ნიშნავს გლეხობაზე ხელმძღვანელობა? ეს ნიშნავს, პირველ ყოვლისა, ხაზის გატარებას არა წვრილ მწარმოებლის, არამედ კლასების მოსასპობად. თუ ჩვენ ამ ძირითად და მთავარ ხაზს ავსცდით, ჩვენ აღარ ვიქნებით სოციალისტები, ჩვენ მოვხვდებით წვრილი ბურჟუების ბანაკში, იმ ესერებისა და მენშევიკების ბანაკში, რომელნიც ეხლა პროლეტარიატის ყველაზე უბოროტეს მტრებს წარმოადგენენ“.

ის, ვინც ამას ვერ ხედავს და მთელი სიცხადით არ სვამს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანებს, ის, ვინც სცდილობს სოფლის აღორძინების ასეთი გზა შესცვალოს კულაკურ მეურნეობისათვის ხელის შეწყობით და დახმარებით, ის, ვინც იქამდე მიდის, რომ საჭიროდ მიაჩნია კულაკური ელემენტების ინდივიდუალური დაბეგვრის გაუქმება და ხაზს არ უსვამს პროლეტარული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის აუცილებლობას პროლეტარიატის და გლეხობის შეკავშირების საქმეში, — იგი აუცილებლად თავს ამოყოფს მემარჯვენეების ბანაკში და საქმით, სინამდვილეში წინააღმდეგი იქნება გაატაროს ცხოვრებაში პარტიის ნათელი და გარკვეული დადგენილებანი გლეხური პოლიტიკის სფეროში.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ მემარჯვენეების ბრძოლა ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს ცდას — რევიზია გაუკეთონ ლენინიზმის მთელ რიგ ძირითად დებულებებს, რომ ეს ბრძოლა ბოლოს და ბოლოს იწვევს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის პარტიის მიერ აღებულ გენერალური ხაზის დამახინჯებას. ყველა ეს ცდები პარტიამ ენერგიული შეტევით უნდა მოიგერიოს.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული პარტიული ორგანიზაციების კონფერენციები გადაჭრით უსვამენ ხაზს პარტიის ერთსულოვან განწყობილებას მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაში. აბსოლუტური სისწორით აღინიშნავს, მაგალითად, ხარკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია იმ გარემოებას, რომ საბჭოთა არჩევნებთან და პურის დამზადების სიძნელეებთან დაკავშირებული მთელი რიგი ფაქტები იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ პარტიის მემარჯვენე გადახრა ამჟამად თავისი ჩამოყალიბების აქტიურ პერიოდში იმყოფება. მემარჯვენე ელემენტების მიერ ამ სიძნელეებზე სპეკულიაციის გაწევის გარდა, უნდა აღინიშნოს აგრეთვე მათი ცდა (საკითხის პრინციპიალური დასმის ნაცვლად) გააზვიადონ „ობიექტიური“ ჭორები, სახელი გაუტეხონ ცეკას ლენინურ ხელმძღვანელობას და შეარყიონ ლენინური მტკიცე დისციპლინა.

აი რატომ ხდება ამჟამად პირველ რიგის ამოცანად პარტიული მასების შემდგომი მობილიზაცია ბრძოლისათვის მემარჯვენე გადახრასა და მასთან შემრიგებლობის წინააღმდეგ, ამ გადახრის ფესვების და პარტიული პოლიტიკის ოპორტუნისტული დამახინჯების შინაარსის ფართო ახსნა - განმარტება. აი რატომ უნდა ადევნონ პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული სიფხიზლით თვალყური, რომ არ ექნეს ადგილი სულ უმნიშვნელო ცდასაც კი — გადაუხვიონ პარტიის გარკვეული და ნათელი დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას. საჭიროა მემარჯვენე ელემენტებს მოვაგონოთ მკაცრი პროლეტარული დისციპლინა, რომლის დარღვევას ჩვენი პარტია ვერ მოითმენს.

პარტიის მიერ ორ ფრონტზე წარმოებული გადამწყვეტი ბრძოლა, — ბრძოლა ტროცკისტული იდეოლოგიის ნამსხვრევების წინააღმდეგ, რომელნიც მემარცხენე ფრაზით იმოსებიან, და ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, — მოითხოვს პარტიის ყურადღების კონცენტრაციას გენერალური ხაზის საკითხებზე, პარტიის ყურადღების კონცენტრაციას ინდუსტრიალიზაციის, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის, სამეურნეო ხუთწლიან გეგმის საკითხებზე და სხვა.

პრინციპიალურ პრობლემების ფართოდ გაშუქებამ, თვითკრიტიკის გაშლამ, ბრძოლამ იმ ცდებთან, რომლებიც მიზნად ისახავენ დავისა და კამათის არსებითი მხარე შესცვალონ არაპრინციპიალური მომენტებით — უნდა უზრუნველყონ მასებისათვის მემარჯვენე გადახრის ბუნების ყოველნაირად გარკვევა.

ტროცკისტებთან ბრძოლაში მიღებულ გამოცდილების გათვალისწინებით, იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელმაც პარტიას საშუალება მისცა ნიღაბი აეხადა ტროცკიზმისათვის და დაეძლია ტროცკისტული „მემარცხენე“ გადახრა, ჩვენ შეგვიძლია მეტი ენერგიით შევებრძოლოთ მემარჯვენე გადახრას, ისე, როგორც ყოველ მერყეობას, რომელიც გადაისვრიდა პარტიას ერთადერთი სწორი გზიდან, — მე-15 პარტყრილობისა და უკანასკნელი პლენუმების მიერ დასახულ გზიდან.

„პრავდა“, 24 თებერვალი.

გამოქვეყნდა საფრანგეთ-ბელგიის საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება

ხელშეკრულება მიმართულია გერმანიის წინააღმდეგ

შანდუნში დაიწყო ჩჟან-ცზუნ-ჩანის აჯანყება ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ

საფრანგეთ-ბელგიის საიდუმლო ხელშეკრულება

ბერლინი, 25 თებერვალი. ჰოლანდიის გაზეთმა „უტრეხტ „დაგბლატ“მა გამოაქვეყნა ბრიუსელში 1920 წელს დადებული ბელგია-საფრანგეთის საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულების ტექსტი, აგრეთვე ხელშეკრულების განმარტებები, რომლებიც გამოიმუშავეს საფრანგეთისა და ბელგიის გენერალურ შტაბებმა 1927 წელს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ ხელშეკრულების მონაწილე ყოველი სახელმწიფო ვალდებულია გადასცეს თავისი სამხედრო ძალები მეორე სახელმწიფოს, თუ ამ უკანასკნელმა დაიწყო ომი გერმანიასთან, ან სხვა ისეთ სახელმწიფოებთან, რომელსაც ცოტად თუ ბევრად მხარს უჭერს გერმანია“.

ბელგია ვალდებულია გაიწვიოს არა ნაკლებ 600.000, ხოლო საფრანგეთი არანაკლებ 1.200.000 ჯარისკაცისა. მობილიზაციის შემდეგ გაერთიანებულმა ბელგია-საფრანგეთის ძალებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ შეტევა. საფრანგეთის და ბელგიის გენერალურ შტაბებს შორის უნდა იმართებოდეს თათბირები. ხელშეკრულება დაიდო 25 წლის ვადით. თუ მხარეებმა უარი არ განაცხადეს ხელშეკრულებაზე ამ ვადის გასვლის შემდეგ, იგი სავალდებულო ხდება ახალი 25 წლის ვადით. მხარეებს უფლება არა აქვთ დასდონ ისეთი სამხედრო შეთანხმება ან ხელი მოაწერონ ისეთ დიპლომატიურ დოკუმენტს, რომელიც გააუქმებს აღნიშნულ ხელშეკრულებას. ომის დროს მხარეებს უფლება არა აქვთ დასდონ სეპარატიული ზავი.

ხელშეკრულების „განმარტებები“, რომლებიც ემყარებიან ბელგია-ინგლისის 1927 წლის 7 ივლისის შეთანხმებას, ითვალისწინებენ ომის შესაძლებლობას ბელგიისა — გერმანიის და ჰოლანდიის წინააღმდეგ, ხოლო საფრანგეთისა—იტალიის და ესპანეთის წინააღმდეგ.

დაწვრილებით დამუშავებულია სამხედრო ღონისძიებები, მათ შორის რურის ოლქში შეჭრა (ადს).

ბერლინი, 25 თებერვალი. ნაციონალისტური „კრეიცცეიტუნგ“-ი, ეხება რა ცნობას საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო ხელშეკრულების შესახებ, სწერს:

„ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ საფრანგეთ-ბელგიის ხელშეკრულებას მჭიდრო კავშირი აქვს ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმებასთან. ზავის დადებიდან 10 წლის შემდეგ კვლავ წარმოიშვა სახელმწიფოების ისეთივე დაჯგუფება, როგორიც ომის წინ იყო. გერმანიის ირგვლივ კვლავ იჭედება რკალი დასავლეთით საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო ხელშეკრულების საშუალებით, ხოლო აღმოსავლეთით—მთელი რიგი ხელშეკრულებების ქსელით საფრანგეთისა და იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც მისი დამქაშების როლს ასრულებენ. საფრანგეთ-ბელგიის ხელშეკრულება გერმანიისათვის ნიშნავს სერიოზულ გაფრთხილებას და ერთხელ კიდევ ამტკიცებს დასავლეთის სახელმწიფოებთან დაახლოვების პოლიტიკის სრულ დამარცხებას.

მეორე ნაციონალისტური გაზეთი „დოიჩე ტაგესცეიტუნგ“-ი სწერს:

„უკანასკნელ თვეებში გერმანიის ხალხს ეძლევა ნათელი გაკვეთილები, რომელსაც შეუძლიან სინამდვილეს დაუბრუნოს ჯიუტი ფანტაზიორებიც კი. ინგლის-საფრანგეთის მანევრები რეინის ოლქში, უარი ამ ოლქის ოკუპაციის შეწყვეტაზე, ბრიანის სიტყვა ერთა ლიგის სესიაზე, ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, საფრანგეთ-ბელგიის საიდუმლო ხელშეკრულება.—ყოველივე ეს თვალსაჩინო გაკვეთილია. აშკარად სჩანს, რომ საფრანგეთი და ბელგია ევროპის მშვიდობიანობის მტრები არიან. უდიდესი ინტერესით უნდა ველოდეთ, როგორ გამოეხმაურება მხილებას ჩრდ. ამერიკა, თუ მხედველობაში მივიღებთ კელოგის პაქტის დადებას“ (ადს).

ბერლინი, 25 თებერვალი. ამსტერდამიდან მიღებული ცნობებით, ბელგიისა და საფრანგეთის სამხედრო შეთანხმების გამოქვეყნებამ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა ჰოლანდიის წრეებში. არც მთავრობის წრეები, არც ფართო საზოგადოების წრეები ოდნავადაც არ ეჭვობენ, რომ „უტრეხტ დაგბლატ“-ის ცნობა სწორია.

„უტრეხტ დაგბლატ“-ის ცნობა იმის შესახებ, რომ არსებობს საფრანგეთ-ბელგიის საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის პოლიტიკურ წრეებში, ყველა გაზეთი ერთსულოვნად უსვამს ხაზს, რომ არავითარი საფუძველი არ არის ეჭვი შევიტანოთ ლოკარნოს და ერთა ლიგის მთელი პოლიტიკის გამომჟღავნების სისწორეში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დოიჩე დიპლომატიშ პოლიტიშე კორესპონდენც“-ი სწერს:

„თუ საფრანგეთის და ბელგია სდებენ შეთანხმებას და ამასთანავე ნათლად აშკარავებენ, რომ საიდუმლოდ სურთ შეინახონ ამ ხელშეკრულების შინაარსი, მიუხედავად ერთა ლიგის წესდების იმ მუხლისა, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო რეგისტრაციას და ერთა ლიგის წევრებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა გამოქვეყნებას, თუ ამასთანავე ერთად ისინი ერთა ლიგას გადასცემენ ნოტებს, რომლებიც გაუგებრობას იწვევენ დადებულ ხელშეკრულებათა ნამდვილი აზრის ირგვლივ,—ეს არის გვერდის ახვევა ამას წინად ნაკისრ ვალდებულებათათვის, რაიც ახსნა-განმარტების საგნად უნდა გადაიქცეს ერთის მხრით ერთა ლიგას, ხოლო მეორეს მხრით საფრანგეთსა და ბელგიას შორის“.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“-ი სწერს:

„სამხედრო ხელშეკრულება საფრანგეთსა და ბელგიას შორის ამტკიცებს, რომ პარიზსა და ბრიუსელს იმედი აქვთ ომის შემწეობით გააფართოვებენ თავიანთ ბატონობის სფეროს აღმოსავლეთში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შეთანხმების გამოქვეყნება გაფანტავს გერმანელი პაციფისტების საშიშ ილიუზიებს და საზოგადოებრივი აზრისათვის ნათელს გახდის, ეხლანდელი ევროპის რომელი სახელმწიფოა მშვიდობიანობის ნამდვილი დამრღვეველი“.

„ლოკალ ანცეიგერი“ აღნიშნავს, რომ საიდუმლო შეთანხმება არ გვაძლევს შესაძლებლობას შენიშვნებისათვისაც კი. „შეთანხმება,—აცხადებს გაზეთი,—ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ლოკარნო მხოლოდ მოჩვენებაა“ (ადს).

ბერლინი, 25 თებერვალი. ბერლინის ორშაბათის გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე გადაბეჭდა ჰოლანდიის გაზეთის „უტრეხტ დაგბლატ“-ის ცნობა ბელგია-საფრანგეთის სამხედრო ხელშეკრულების შესახებ.

დემოკრატიული „მონტაგ პოსტ“-ი სწერს: „სად არის საქვეყნოდ აღიარებული ვალდებულებები, სად არის ერთა ლიგის წესდება, ლოკარნოს ხელშეკრულება, სად არის ინგლისის მიერ ლოკარნოში დაპირებული ხელშეუხებლობა არა მარტო საფრანგეთის ამ ბელგიის, არამედ აგრეთვე გერმანიის საზღვრებისა?“

ჟენევიდან მიღებული ცნობით, დიდი ხანია იცოდნენ ბელგია-საფრანგეთის სამხედრო ხელშეკრულების არსებობა. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულება არ წარედგინა ერთა ლიგას სარეგისტრაციოთ და არ იყო გამოქვეყნებული (ადს).

ლონდონი, 25 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფ“-ი ეხება „უტრეხტ დაგბლატ“-ის ცნობას და სწერს:

„ხელშეკრულების „განმარტებები“ გვაფიქრებინებენ, რომ ინგლისის მთავრობას კავშირი აქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებთან, მაგრამ ეს აშკარად ეწინააღმდეგება ლოკარნოს ხელშეკრულებათა პრინციპებს“.

„მორნინგ პოსტ“-ი სწერს: „არაფერია გასაკვირველი ბელგია-საფრანგეთის 1920 წლის ხელშეკრულებაში, რომელიც ვერსალის ხელშეკრულების დამატებას წარმოადგენს, მაგრამ ცნობა ბელგია-ინგლისის შეთანხმების შესახებ ფანტასტიურია“.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ მიმომხილველი შესაძლებლად სცნობს მემორანდუმის არსებობას (ადს).

ლონდონი, 25 თებერვალი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის ავტორიტეტული წრეებში არაფერი იციან იმ კანონის შესახებ, რომელიც გამოაქვეყნა ჰოლანდიის გაზეთებმა ინგლისისა და ბელგიის შორის 1927 წელს დადებული საიდუმლო სამხედრო შეთანხმების შესახებ. ცნობა ფანტასტიურად მიაჩნიათ (ადს).

პარიზი, 25 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„საფრანგეთისა და ბელგიის ავტორიტეტული წრეები ფორმალურად უარჰყოფენ ცნობას ბელგია-საფრანგეთის საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულების შესახებ. ბელგიის დეპეშათა სააგენტო აცხადებს, რომ ადგილი აქვს ტლანქ სიყალბეს და რომ საჭიროა მხილება ასეთი მანევრებისა, რომლების აშკარა მიზანსაც შეადგენს ბელგია-ჰოლანდიის ურთიერთობის გამწვავება“.

საფრანგეთი აიარაღებს პოლონეთის და ბალკანეთის ქვეყნებს

პარიზი, 25 თებერვალი. „ლიუმანიტე“ აქვეყნებს ცნობებს იმ სამხედრო გემების შესახებ, რომლებიც შენდება საფრანგეთში საფრანგეთისთვის, აგრეთვე სამხრეთ-სლავიის, პოლონეთის, რუმინეთის და საბერძნეთის ფლოტებისათვის. შენდება 60-ზე მეტი გემი საფრანგეთის ფლოტისათვის და 10-ზე მეტი — უცხო სახელმწიფოებისათვის, 3 წყალქვეშა ნავი. ორ-ორი წყალქვეშა ნავი შენდება საბერძნეთისა და სამხრეთ-სლავიისათვის.

„ლიუმანიტე“ აღნიშნავს საფრანგეთიდან ზემოაღნიშნული ქვეყნებისათვის სამხედრო მასალის გაგზავნის ფაქტებს, ხაზს უსვამს საფრანგეთის ხელმძღვანელ როლს ბალკანეთისა და პოლონეთის არმიების გაძლიერებაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად და მოუწოდებს მუშებს — აქტიურად შეუდგნენ საბჭოთა კავშირის დაცვის საქმის მოწყობას (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების გაუქმება და მდგომარეობა შანდუნის პროვინციაში

შანხაი, 25 თებერვალი. ჩინეთის პრესის ცნობით, ეროვნული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ვან ჩჟენ-ტინის შეხვედრა იაპონიის ელჩთან ჩინეთში იოსიზავასთან ვერ მოხდა. როგორც ინგლისის ორგანო „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს“-ი იუწყება, როცა იოსიზავას მდივანი შეეკითხა ვან ჩჟენ-ტინს მოლაპარაკების შეწყვეტის მიზეზების შესახებ, ვან ჩჟენ-ტინმა თითქოს მიუთითა იაპონიის არაგულწრფელობაზე, აგრეთვე იმ დახმარებაზე რომელსაც იაპონია შანდუნის პროვინციაში აჯანყებულ ჯარს უწევს. გაზეთი ამგვარად განსაზღვრავს მდგომარეობას შანდუნის პროვინციაში: ჩჟან ცზუნ-ჩანის განკარგულებაში 410.050 ჯარისკაცია. ჩჟან ცზუნ-ჩანი ემზადება ახალი შეტევისათვის ნაციონალური მთავრობის ხელისუფლების დასამხობად ჩიფუს ნახევარ კუნძულზე. ჩჟან ცზუნ-ჩანის ყოფილი ჯარის ზოგიერთი სამხედრო ჯგუფები, რომლებიც ამჟამად ნაციონალური მთავრობის სამსახურში იმყოფებიან, აჯანყებულთა მხარეზე გადადიან (ადს).

ჩან ცზუნ-ჩანის ჯარის გადასხმა

შანხაი, 25 თებერვალი. ჩან ცზუნ-ჩანის ჯარის გადასხმამ შანდუნში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნანკინში, სადაც განსაკუთრებით დაინტერესებული არიან იმ დიდი ფონდების წყაროთი, რომელიც ჩან ცზუნ-ჩანს ესაჭიროება ამ კამპანიისათვის, განსაკუთრებით წარსულ დამარცხებათა შემდეგ.

გაზეთი „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს“-ი ამტკიცებს, რომ ჩან-ცზუნ-ჩანსთან არიან თეთრგვარდიელები სემინოვი და ნეჩაევი.

ზოგიერთი ცნობებით, ფინ იუი-სიანს შანდუნში, ტაიანის რაიონში, ჰყავს 80.000 ჯარისკაცი, რომლებიც მზად არიან დაიჭირონ პროვინცია იაპონელთა ევაკუაციის შემდეგ. მაგრამ ფინ იუისიანის ცდას—ბოლო მოუღოს ჩან ცზუნ-ჩანის გამოსვლას—სერიოზული დაბრკოლება გადაეღობება იმის გამო, რომ შანდუნში იაპონელთა ჯარი იმყოფება. (ადს).

მიტინგების აკრძალვა

შანხაი, 25 თებერვალი. გოვენის სააგენტოს ცნობით, ნანკინში აკრძალეს ყოველგვარი მიტინგი ერთი თვის განმავლობაში გომინდანის ყრილობამდე (ადს).

მიტინგი პეიპინში

პეიპინი, 25 თებერვალი. ცენტრალურ პარკში მასიური მიტინგის აკრძალვამ დიდი მღელვარება გამოიწვია პეიპინში 5.000-მდე დემონსტრანტი ცენტრალური პარკიდან გაემართა ქალაქის დასავლეთი ნაწილისაკენ, სადაც მასიური მიტინგი გამართეს გომინდანის ადგილობრივი კომიტეტის შენობის წინ. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სთხოვს ეროვნულ მთავრობას დასაჯოს პოლიტიკურ საბჭოს პეიპინის განყოფილების თავმჯდომარე ჩან-ჩი და პეიპინის უნივერსიტეტის რექტორი ლი-ცზენი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტებსა და პოლიციას შორის ამას წინად მომხდარი შეტაკებისათვის. რეზოლიუცია მოითხოვს პოლიტიკური საბჭოს ადგილობრივ განყოფილებათა გაუქმებას და სთხოვს ნანკინის მთავრობას—მიიღოს ზომები იმისათვის, რომ ჩინეთს დაუბრუნდეს დიპლომატიური კვარტალი. მიტინგი პროტესტს აცხადებს ცენტრალური კომიტეტის მიერ გომინდანის ყრილობის დელეგატების დანიშვნის გამო.

მიტინგის დამთავრების შემდეგ დემონსტრანტებმა მოაწყვეს მსვლელობა ქალაქის მთავარ ქუჩებში. დემონსტრანტები გაიძახოდნენ: „ძირს ჩან-ჩი“, „ძირს იმპერიალიზმი“, ძირს უთანასწორო ხელშეკრულებები „დაუბრუნეთ დიპლომატიური კვარტალი ჩინეთს!“ ცენტრალური პარკის მახლობლად დემონსტრანტებს დახვდათ მთავრობის შეიარაღებული რაზმი, მაგრამ არავითარი შეტაკება არ მომხდარა, რადგან დემონსტრანტები მშვიდობიანად დაიშალნენ.

დიპლომატიური კვარტალი ამ დროს შეიარაღებულ ბანაკს ჰგავდა. კვარტალს გაძლიერებული რაზმი იცავს, ამერიკის მისიის შესავალთან ზარბაზანი სდგას. ქალაქში მთელ დღეს შეიარაღებული რაზმები დადიოდნენ.

ანტიიაპონური მიტინგი

პეიპინი, 25 თებერვალი ტიანძინში გაიმართა ანტიიაპონური მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათასმა კაცმა. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ჩინეთ-იაპონიის მოლაპარაკების აშკარად წარმოებას, რეპრესიული ზომების მიღებას იაპონიასთან ეკონომიური ურთიერთობის დარგში და უთანასწორო ხელშეკრულებების გაუქმებას (ადს).

გერმანია-საბჭოთა ეკონომიური ურთიერთობა

გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარის პოსეს წერილი

ბერლინი, 25 თებერვალი. ეკონომიურ ჟურნალში „მაგაზი დერ ვირტშაფტ“-ში დაბეჭდილია პოსეს წერილი (პოსე თავმჯდომარე იყო იმ დელეგაციისა, რომელიც დეკემბერში საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას აწარმოებდა). პოსე ამ წერილში კრიტიკულად ახასიათებს საბჭოთა წყობილებას და ხაზს უსვამს, რომ **„ამ წყობილების არსებობა უზრუნველყოფილია განუსაზღვრელი ვადით“.** და **„რომ საბჭოთა მთავრობა გეგმაშეწონილად ებრძვის სიძნელეებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში“-ო.**

შემდეგ პოსე სწერს: „საბჭოთა კავშირის მთლიან ნებისყოფასთან შედარებით დასავლეთი ევროპა არევ-დარევის სურათს წარმოადგენს. გერმანია ყოველი ძალ-ღონით უნდა შეეცადოს, რომ მისი მონაწილეობა საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღდგენაში არ იქნას გამოყენებული უცხოეთის კონკურენტების სასარგებლოდ. გერმანიისათვის აუცილებელია საბჭოთა ბაზარი. (ადს).

ვასიფ-ბეი საბჭოთა კავშირის შესახებ

სტამბოლი, 25 თებერვალი. გერმანული გაზეთის „ტირკიშე პოსტ“-ის (რომელიც სტამბოლში გამოდის) კორესპონდენტთან საუბრის დროს თურქეთის ყოფილმა ელჩმა საბჭოთა კავშირში ვასიფ-ბეიმ განაცხადა:

„თურქეთ - საბჭოთა ურთიერთობა მრავალი წლის განმავლობაში მეგობრული რჩება. პოლიტიკური ხელშეკრულებები საბჭოთა კავშირთან, რომლებსაც წელს გასდის ვადა, შეცვლილი იქნება ახალი, ისეთივე მეგობრული ხელშეკრულებებით. ჩვენი მოლაპარაკება დასავლეთის სახელმწიფოებთან სრულებით არ ახდენს გავლენას იმ მოლაპარაკებაზე, რომელსაც საბჭოთა კავშირთან ვაწარმოებთ. **საბჭოთა კავშირის მდგომარეობა მეტად მტკიცეა.** ზოგიერთ ეკონომიურ სიძნელეებს არ უარყოფენ ოფიციალური წრეები, მაგრამ საშიში მაინც არაფერია“. (ადს).

ვადის გაგრძელება საბჭ. კავშირის კრედიტებისათვის

ვენა, 25 თებერვალი. ვენის მუნიციპალიტეტმა უკამათოდ მიიღო კანონპროექტი, რომლის ძალითაც ვადა გაუგრძელდა ვენის მუნიციპალიტეტის გარანტიების გამოყენებას საბჭოთა კავშირის სავაჭრო კრედიტებისათვის.

პირველი ნაწილის კრედიტის დარჩენილი 10 მილიონი შილინგის გამოყენების ვადა გაგრძელებულ იქნა 1930 წლის 30 იანვრამდე. დანარჩენი 40 მილიონი შილინგის კრედიტის შეკვეთები მიცემულ უნდა იქნას არა უგვიანეს 1929 წლის 31 დეკემბრისა, ხოლო ანგარიშის გასწორების უკანასკნელ ვადად დადებულია 1932 წლის 31 დეკემბერი (ადს).

კრასინელები შვეიცარიაში

ბერლინი, 26 თებერვალი. შვეიცარიის გაზეთების ცნობით, „კრასინ“-ის ექსპედიციის მონაწილეებს სამოილოვიჩს და ჩუხნოვსკის მიეცათ შვეიცარიაში შესვლის ნებართვა. **სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი ბერლინსა და ციურიხში წაიკითხავენ მოხსენებებს „იტალია“-ს დამხმარე საბჭოთა ექსპედიციის შესახებ.** (ადს).

მოხსენება ბერნში

ბერლინი, 25 თებერვალი. სამოილოვიჩმა და ჩუხნოვსკიმ წაიკითხეს ბერნში მოხსენება „კრასინ“-ის ექსპედიციის შესახებ.

მოხსენებებს თან სდევდა დიაპოზიტივების დემონსტრაცია.

მოხსენებას დაესწრო დიდძალი ხალხი, რომელიც აღფრთოვანებით შეეგება მომხსენებლებს. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ბელგიის მთავრობის კომიუნიკე

პარიზი, 26 თებერვალი. ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა ბელგიის მთავრობის ოფიციალური კომიუნიკე. კომიუნიკე კატეგორიულად უარყოფს „უტრეხტ ტაგებლად“-ში დაბეჭდილ საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო ხელშეკრულების ტექსტის სინამდვილეს. კომიუნიკეში ნათქვამია, რომ ხელშეკრულებას მხედველობაში აქვს მხოლოდ სრულიად უმიზეზო თავდასხმა გერმანიის მხრივ. ამ ხელშეკრულების ტექსტი 1920 წელს ეცნობა ბელგიისა და საფრანგეთის პარლამენტებს. საიდუმლოდ დარჩა ხელშეკრულების მხოლოდ კონკრეტულ გამოყენების ფორმები, რაც შემუშავებულია საფრანგეთისა და ბელგიის გენერალურ შტაბების მიერ. დასასრულ ბელგიის მთავრობა აცხადებს ყალბი დოკუმენტი გამოქვეყნებულია იმ მიზნით, რომ გააუარესოს ბელგიისა და ჰოლანდიის ურთიერთობა.

ამანულას რაზმების შეტაკება კუგისტანელებთან

ტერმეზი, 26 თებერვალი. მაიდანიდან მიღებული ცნობებით, იქ დაიწყო შეტაკებები კუგისტანელებსა და ამანულას ვარდაკის რაზმებს შორის. ეს შეტაკებები თითქოს მოაწყო ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდულ-აზიზ-ხანმა, რომელიც ამანულასთან ერთად გაემგზავრა ყანდაგარში. (ადს.)

ინგლისის გავლენის გამტარებელნი ავღანისტანში

თერმეზი, 26 თებერვალი. სოფელ კადამში, ჯელალაბადის მახლობლად მიმდინარეობს შინვარისა და კუგისტანის ტომების უმაღლესი სასულიერო წოდების საბჭოს სხდომები. საბჭოში დიდ როლს თამაშობენ ინდოეთიდან ჩამოსული თვალსაჩინო მოლები, რომლებიც ფაქტიურად ინგლისის გავლენის გამტარებელნი არიან. ინგლისის კონსული ჯელალაბადიდან გადავიდა სურხრუდში ერთ-ერთ მოლას მამულში, რომელსაც გავლენა აქვს კუგისტანის ტომებში. სურხრუდში ამ მამულის მახლობლად მოეწყო აეროპლანების დასაშვები. ინგლისის აეროპლანი ყოველდღე დაფრინავს სურხრუდსა და ინდოეთს შორის. იუწყებიან, რომ ინგლისელები შინვარის და კუგისტანის ტომების მოსყიდული მოლების საშუალებით ეწევიან აგიტაციას ავღანისტანიდან აღმოსავლეთი (ჯელალაბადი) და სამხრეთი (გარდეზი და ხობი) პროვინციების ჩამოსაშორებლად.

ნ. კ. კრუპსკაიას დაბადების 60 წლის თავი

მოსკოვი, 26 თებერვალი. ლენინის ინსტიტუტმა, ძველი ბოლშევიკების საზოგადოებამ და მოსკოვის მე-17 საგუბერნიო პარტკონფერენციამ მისალმება გაუგზავნეს ნ. კ. კრუპსკაიას მისი დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო (ადს).

მოსკოვის ოქმის რატიფიკაცია

რიგა, 26 თებერვალი. საგარეო საქმეთა კომისიის წინადადებით დღეს ლატვიის სეიმმა განიხილა მოსკოვის ოქმი და ერთხმად მიიღო დადგენილება მისი რატიფიკაციის შესახებ. (ადს).

ვენა, 25 თებერვალი. გაზეთების ცნობით, რუმინეთის დეპუტატთა პალატამ 22 თებერვალს მოახდინა მოსკოვის ოქმის რატიფიკაცია (ადს).

ასიგნოვკა კრეისერების ასაგებად

ვაშინგტონი, 25 თებერვალი. შეერთებული შტატების სენატმა გადასდო 12.870.000 დოლარი იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს პირველი 5 კრეისერის აგებას იმ 15 კრეისერის რიცხვიდან, რომლების აგებაც გათვალისწინებულია საზღვაო პროგრამით. (ადს).

ამერიკის დელეგაცია ანტი-ფაშისტურ კონგრესზე

ნიუ-იორკი, 25 თებერვალი. ანტიფაშისტურმა კონფერენციამ, რომელიც მოწვეულ იყო რემედასის, მუშათა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტისა და ანტიფაშისტური გაერთიანების მონაწილეობით, დაადგინა—გაგზავნოს დელეგატები მომავალ ანტიფაშისტურ კონგრესზე ბერლინში ა(დს).

დობროჯეანუ საავადმყოფოში გადაიყვანეს

ვენა, 25 თებერვალი. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, შიმშილობის მე-28 დღეს დობროჯეანუ საპყრობილის საავადმყოფოში გადაიყვანეს. დობროჯეანუს საქმის მოსმენა გადაიდო. დობროჯეანუ შიმშილობას განაგრძობს (ადს).

კრეისერის ასაგები ბიუჯეტის დამტკიცება

ვაშინგტონი, 25 თებერვალი. შეერთებული შტატების სენატმა დაამტკიცა საზღვაო სამინისტროს ბიუჯეტი 360 მილიონი დოლარის რაოდენობით. ამ თანხებიდან 12 მილიონი გადადებულია ახალი კრეისერების ასაგებად (ადს).

საბჭოთა ყინულისმჭრელის დაქირავება

ბერლინი, 26 თებერვალი. გერმანიის გზათა სამინისტროს, საზღვაო უწყების და გემების პატრონთა კავშირის წარმომადგენლებმა დაადგინეს—მიიღონ ზომები ორი დიდი საბჭოთა ყინულის მჭრელის „ერმაკ“-ის და „ტრუვორ“-ის დასაქირავებლად, რათა მიმოსვლა მოაწყონ ვილჰელმის არხზე და ბალტიის ზღვის დასავლეთ ნაწილში (ადს).

გემ „ალიოშა ჯაფარიძე“-ზე დაღუპულთა დაკრძალვა

ფოთი, 25 თებერვალი. დაკრძალეს ის ხუთი კაცი, რომელნიც დაიღუპნენ გემ „ალიოშა ჯაფარიძის“ ავარიის დროს (ადს).

ავღანისტანის ამბები

ნადირ-ხანის განცხადება

ლონდონი, 25 თებერვალი. ნადირ-ხანი, ამანულას ნათესავი, ავღანისტანის ყოფილი ელჩი პარიზში, დღეს დილით ჩავიდა ბომბეიში. მას განზრახვა აქვს გაემგზავროს პეშავარში (მდებარეობს ინდოეთის ჩრდილოეთ დასავლეთით, ავღანისტან-ინდოეთის საზღვარზე). ნადირ-ხანმა განაცხადა, რომ მას არა აქვს სურვილი განუცხადოს პრეტენზია ავღანისტანის ტახტზე (ადს).

ინგლისის მისიის ევაკუაცია ქაბულიდან

ლონდონი, 25 თებერვალი. „ტაიმს“-ი ეხება ქაბულიდან ინგლისის მისიის ევაკუაციის საკითხს და სწერს:

„ეს გასაფრთხილებელი ზომაა და არა პანიკა, თუნდაც რომ საბჭოთა კავშირის, თურქეთის და სპარსეთის მისიები დარჩნენ ქაბულში. მთელი ავღანისტანი ამჟამად აბობოქრებულ მორევს წარმოადგენს“.

„დეილი ტელეგრაფ“-იც დადებითად აფასებს ინგლისის მისიის ევაკუაციას ქაბულიდან.

რეიტერის სააგენტო იუწყება:

„გადაწყვეტილება ქაბულიდან ინგლისის მისიის ევაკუაციის შესახებ მიიღეს იმის გამო, რომ სანამ ავღანისტანში არ მოიპოვება მტკიცე მთავრობა, საჭირო არ არის წარმომადგენლობის ყოლა ქაბულში, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც მათ საფრთხე მოელით, იმისათვის, რომ თავიდან ავიცდინოთ არა სასიამოვნო ინციდენტები, რომლებმაც შეიძლება ცუდი გავლენა იქონიონ ავღანისტანისა და ინგლისის მეგობრულ განწყობილებაზე, გადაწყდა ინგლისის მისიის ევაკუაცია ქაბულიდან“ (ადს).

ვინ დარჩა ქაბულში

ქაბული, 25 თებერვალი. 8 აეროპლანით ქაბულიდან წავიდა ბრიტანეთის საელჩოს მთელი შემადგენლობა. ქაბულში ამჟამად დარჩნენ საბჭოთა კავშირის, თურქეთის და სპარსეთის მისიები, აგრეთვე გერმანიის მისიის პერსონალის ნაწილი (ადს).

ნადირ-ხანის საიდუმლო თათბირი ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლებთან

ლონდონი, 25 თებერვალი. როგორც „დეილი ტელეგრაფ“-ის ბომბეელი კორესპონდენტი იუწყება, ნადირ-ხანი (ამანულას ნათესავი, რომელმაც 1925 წელს დასტოვა ავღანისტანი ამანულასთან უთანხმოების გამო) ამ დღეებში ევროპიდან ავღანისტანში გაემგზავრა. ნადირ-ხანს ბომბეიში მოსვლის შემდეგ საიდუმლო თათბირი ჰქონდა ინგლის-ინდოეთის მთავრობის პოლიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენელთან (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ტროცკი გერმანიაში

მოსკოვი, 27 თებერვალი. როგორც გერმანული გაზეთები იტყობინებიან, ტროცკი უკვე ჩავიდა გერმანიაში. ბერლინის მენშევიკურ პრესამ თანაგრძნობის წერილები უძღვნა ტროცკის. ცნობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატი როზენფელდი სწერს, რომ ტროცკი უახლოვდება რუს მენშევიკის დანის პოზიციას.

მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ლარინმა, რომელიც შეეხო „მემარცხენე“ და მემარჯვენე გადახრებს პარტიაში. ორატორმა განაცხადა, რომ ორივე გადახრას პირდაპირი გზით მივყევართ სოციალ-დემოკრატიის პოზიციისაკენ. ორატორის სიტყვით, ტროცკის საზღვარგარეთულ „მოღვაწეობა“ ამის საუკეთესო მაგალითია.

ამხ. ი. ვარძიელის მოხსენება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

მოსკოვი, 23 თებერვალი. 22 თებერვალს შესდგა საკავშირო ცენტრალურ საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზედაც საქართველოში საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ვარძიელმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა საარჩევნო კამპანია საქართველოში არაჩვეულებრივი აქტივობით მიმდინარეობს. კამპანიაში ცხოველი მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა, პრესამ და კლუბებმა. საკმაო რაოდენობით გამოცემულ იქნა საარჩევნო ლიტერატურა. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა წარმატებით ჩატარდა, რამაც თავისი დადებითი გავლენა იქონია არჩევნების შემდეგ ეტაპებზე.

მთელ რიგ რაიონებში იყო კულაკების გამოსვლის შემთხვევები. ისინი სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ გაეყვანათ თავიანთი ხალხი საბჭოებში. მაგრამ ღარიბი და საშუალო გლეხობა ყოველთვის სათანადო პასუხს აძლევდა კულაკობას. ახალ საბჭოებში ამორჩეულთა სოციალური შემადგენლობა [illegible] უკეთესია წინანდელთან შედარებით.

განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ არჩევნების კამპანიაში გორის, ქუთაისის და თბილისის მაზრები.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ დამაკმაყოფილებლად იცნო საბჭოთა არჩევნების კამპანიის მსვლელობა საქართველოში. კომისიამ თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ საჭირო არჩევნების დროს მიღებული გამოცდილებანი გამოყენებულ იქნას მასიური მუშაობის ახალი ფორმების განსამტკიცებლად.

საკავშირო სამხატვრო აკადემია უნდა გაიწმინდოს

მოსკოვი, 23 თებერვალი. საკავშირო კომკავშირის ცენტრალური ორგანო „კომსომოლსკაია პრავდა“ ათავსებს წერილს სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელთა შემადგენლობის შესახებ, გაზეთი აღნიშნავს, რომ დღემდე ხელოვნების ამ უმაღლეს დაწესებულებას არ შეხებია სათანადოთ რევოლიუციის გავლენა.

იმის დასახასიათებლად, თუ ვინ ხელმძღვანელობს სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას, საკმარისია აღინიშნოს, რომ ყველაზე მოწინავე ელემენტად აქ ითვლება აკადემიკოსი საკულინი, რომელიც მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ახალ აკადემიკოსთა არჩევნების დროს ნორმალურად სთვლიდა კომუნისტ მეცნიერების ფრიჩეს, ლუკინის და დებორინის გაშავების ფაქტს.

საკულინთან ერთად სამხატვრო აკადემიაში მუშაობს ყოფილი ცნობილი მილიონერი ბახრუშინი, ობერ-პროკურორის სამარინის შვილი და თეთრგვარდიელი ოფიცრები, ამით აიხსნება, სწერს გაზეთი, რომ სამხატვრო აკადემიას არავითარი კავშირი არა აქვს საზოგადოებრივობასთან. გაზეთი აყენებს საკითხს სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელთა შემადგენლობის რადიკალური წმენდის შესახებ.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა მარტისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მისალმებები ამხ. სერგო ორჯონიკიძეს

თბილისის საბჭოსაგან

მეშვიდე მოწვევის თბილისის საბჭოს პირველი პლენუმი, თბილისის პროლეტარებისა და მშრომელთა სახელით გიგზავნის მხურვალე სალამს და გისურვებს მალე გაჯანსაღებას.

პროლეტარული თბილისი დარწმუნებულია, რომ შენ სულ მოკლე ხანში შეუდგები მუშაობას, წინანდებურად მტკიცედ გაატარებ ლენინურ ხაზს და შეუპოვრად შეებრძოლები ყველა ტკივილებსა და ნაკლოვანებებს, რომელიც აფერხებენ სოციალიზმის წარმატებით მშენებლობას.

მტვირთავ მუშებისაგან

ამხანაგო სერგო! შორაპნის შავი ქვის მტვირთავ მუშების საბჭოს საარჩევნო კრებამ, ერთხმად აგირჩიათ თქვენ შორაპნის სათემო საბჭოს საპატიო წევრათ. მასთან შავი ქვის მუშები გილოცავთ თქვენ—ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ჯარის კაცსა და ლენინიზმის ერთგულ დარაჯს, ოპერაციის კარგად დასრულებას, გულის ფანცქალით ველით ცნობას თქვენი გაჯანმრთელების შესახებ.

კრების დავალებით: სანდრო გოგბერაძე

ზოოტექნიკურ სადგურისაგან

ცენტრ. ზოოტექნიკურ სადგურის გახსნაზე შემდგარმა საზეიმო სხდომამ ამხ. ს. ორჯონიკიძეს გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„ვითვალისწინებთ რა იმ ნაყოფიერ მუშაობას, რომელიც თქვენ შეასრულეთ და ეხლაც ასრულებთ სოფლის მეურნეობის მშენებლობის დარგში მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში,—მიწადმოქმედების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა უწოდოს დღეს გახსნილ ცენტრალურ ზოოტექნიკურ სადგურს თქვენი სახელი. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიის და სადგურის საზეიმო გახსნაზე დამსწრეთა სახელით მხურვალეთ მოგესალმებით და გისურვებთ მალე განკურნებას და მუშაობის განახლებას მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების საკეთილდღეოთ“.

სენატორ დელაგეას შეკითხვა

პარიზი, 25 თებერვალი. უკიდურესმა მემარჯვენე სენატორმა დელაგეიმ სენატში შეიტანა ორი შეკითხვა, რომლებიც შეეხებოდა მთავრობის საფინანსო პოლიტიკას. პირველი შეკითხვა შეიცავს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთის მთავრობა ქაღალდის ფრანკებით იხდის უცხოეთის სესხს, რომელიც გამოშვებული იყო ოქროს ფრანკებით. შეკითხვა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი პოლიტიკა აღატაკებს იმ ფრანგებს, რომელთაც უცხოეთის სესხის ობლიგაციები აქვთ შეძენილი.

მეორე შეკითხვა შეეხება რუსეთ-აზიის ბანკის ლიკვიდაციას, რასაც დელაგეი „უდიდეს ბოროტმოქმედებას“ უწოდებს.

დელაგეიმ, როცა იგი თავისი შეკითხვების სასწრაფო ხასიათს ასაბუთებდა, პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთმა მონაწილეობა მიიღო რუმინეთის მიერ ამას წინად გამოშვებულ სასტაბილიზაციო სესხში. დელაგეიმ იკითხა: რატომ სცნო შესაძლოდ საფრანგეთის მთავრობამ ახალი სესხის მიცემა იმ ქვეყნისათვის რომელსაც დღემდე არ გადაუხდია ბესარაბიის ვალით, დელაგეიმ გაიხსენა, რომ, ვერსალის კონფერენციის დადგენილებით, რუმინეთს ბესარაბიის შეერთების გამო უნდა ეკისრა მეფის დროის რუსეთის ყველა სახელმწიფო ვალდებულების სათანადო ნაწილი.

დელაგეიმ მოითხოვა რომ მისი შეკითხვა სასწრაფო წესით ყოფილიყო განხილული. ფინანსთა მინისტრი შერონი ამის საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში შეეხო თითქმის მხოლოდ რუმინეთის სესხის საკითხს.

შერონის სიტყვით, სენატმა კარგად იცის, რომ მეფის დროის იმ ვალების საკითხი, რომლებიც ბესარაბიაზე მოდის, აინტერესებს როგორც საბჭოთა კავშირს, ისე სხვა, რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე წარმოშობილ სახელმწიფოებს—პოლონეთს, ესტონეთს, ლიტვას და ლატვიას. შერონის აზრით, სახელმწიფოებს საძნელოდ მიაჩნიათ გამოარკვიონ, თუ რამდენი უნდა გადახდეს ამ სახელმწიფოებს რადგან დღემდე გამოურკვეველია მთავარი მოვალის—საბჭოთა კავშირის—დავალიანების რაოდენობა. შერონმა უარჰყო დელაგეის შეკითხვების სასწრაფო ხასიათი და მათი განხილვა გადასდო 28 მარტისათვის (ადს).

ფაშისტების და მენშევიკების დემონსტრაცია

ვენა, 25 თებერვალი. ვენაში ერთსა და იმავე დროს გაიმართა ხეიმვერის წევრთა (4.000 კაცის მონაწილეობით) და სოციალ-დემოკრატიული შუცბუნდის წევრთა (15.000 კაცის მონაწილეობით) დემონსტრაციები. დემონსტრაციები ცალ-ცალკე გაიმართა. მუშათა რაიონებში პროცესიას მუშები დახვდნენ ლანძღვა-გინებით და ნაწილობრივ მუშათა წითელი თავდაცვის კონტრ-დემონსტრაციებით.

ავსტრიის კომპარტიის ლოზუნგის თანახმად, მუშები მრავალ ადგილას ხელს უშლიდნენ ხეიმვერების პროცესიას, მოხდა შეტაკება პოლიციასთან, რომელმაც დააპატიმრა 70 მუშა, მათ შორის მრავალი კომუნისტი და მუშათა წითელი თავდაცვის წევრი. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ზინედიქტი გადასცეს სასამართლო ხელისუფლებას (ადს).

მისალმებები საქართველოს მშრომელთ

საქართველოს სახკომსაბჭოს

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების რვა წლის თავზე აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭო მხურვალე სალამს უძღვნის მოძმე რესპუბლიკის მშრომელთ. ამ რვა წლის წინად მუშებისა და გლეხების გმირული ბრძოლით საქართველო განთავისუფლდა მენშევიკური მთავრობის ბატონობისაგან და შევიდა საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში. მას შემდეგ ერთსულოვან და მედგარ მუშაობას სოციალისტური მშენებლობის დარგში ყოველ წელიწადს ახასიათებს მთელი რიგი მიღწევები, როგორც სახალხო მეურნეობაში, ისე რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. საქართველოს მუშები და გლეხები, მჭიდროდ შეკავშირებულნი საერთო მიზნით და საერთო ინტერესებით, არაჩვეულებრივი ენერგიით აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას. მათი ერთსულოვანი მუშაობის მეოხებით წარმოიშვა მრავალი საწარმო, ფართოდ გაიშალა მუშაობა სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად ახალი გაუმჯობესებული ტეხნიკის საფუძველზე. ფართოდ გავრცელდა სკოლებისა და სხვა განმანათლებელი დაწესებულებების ქსელი მთელ რესპუბლიკაში. საქართველოს მშრომელნი, განუყრელად დაკავშირებულნი ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკების მშრომელ მასებთან, მტკიცედ დგანან მთელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემდგომი განვითარებისა და აყვავების გზაზე. ამიერ-კავკასიის ხალხთა ერთსულოვანი სოციალისტური ოჯახი, რომელმაც სწრაფად და საუკუნოდ აღმოფხვრა მეფის და მენშევიკური მთავრობების მიერ გაღვივებული ნაციონალური შუღლი, ყოველთვის იქნება გზის მანათობელი ვარსკლავი აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებისათვის.

გაუმარჯოს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
მუსაბეკოვი.

სომხეთის ცაკისაგან

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს საბჭოთა სომხეთის მშრომელთა სახელით გიძღვნით მხურვალე სალამს, ჩვენი მუშები იზიარებენ საქართველოს მუშების სიხარულს კონტრ-რევოლიუციონერ მენშევიკებზე მათი გამარჯვების რვა წლის თავის გამო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში იყო ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უკანასკნელი აკორდი. დაე, საბჭოთა საქართველო წავიდეს გიგანტიური ნაბიჯით სოციალიზმის მშენებლობის გზით.

სომხეთის ცაკის თავმჯდომარე
კასიანი.

აფხაზეთის მშრომელებისაგან

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების რვა წლის თავზე აფხაზეთის მშრომელნი მხურვალე სალამს უძღვნიან საქართველოს მუშებს და გლეხებს, აფხაზეთის მუშები და გლეხები აღფრთოვანებულნი ადევნებენ თვალყურს კულტურულ-ეკონომიური მშენებლობის ფართოდ გაშლას საქართველოში.

გაუმარჯოს საქართველოს და აფხაზეთის მშრომელთ, რომელნიც საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად შეურყევლად მიდიან სოციალისტური მშენებლობის გზით.

ცაკის თავმჯდომარე ჩანბა.
სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლაკობა.

გარდა ამისა საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტისა და სრ. საქ. ცაკის სახელზე მისასალმებელი დეპეშები მიღებულია: ალავერდის ქარხნების მუშებისაგან, ლენინაკანის ორი ათას ფეიქარ მუშა და მუშა-ქალებისაგან, ბორჩალოს მაზრის მშრომელთაგან, ერევნის სამაზრო ალმასკომისაგან, ლენინაკანის ქალაქის საბჭოსაგან, ლიუქსემბურგის (ბორჩალოს მაზრა) მშრომელთაგან, ლახამულა-ჩიბუხევის თემების (სვანეთი) გლეხობისაგან, აბასთუმანში სამკურნალოდ მყოფ მუშა-მოსამსახურეებისაგან, ახალსენაკის ახალ საბჭოსაგან, კლდეთის თემსაბჭოსაგან (შორაპნის მაზრა), იანეთის თემსაბჭოსაგან, მუხიანის მშრომელი გლეხობისაგან, ერევნის გემო.-კვების მუშაკთა საქალაქო კრებისაგან, სომხეთის სატრანსპორტო მუშათა კავშირისაგან, ზანგეზურის კომბინატის მუშებისაგან, სომხეთის კომპარტიის ერევნის კომიტეტისაგან, აზერბეიჯანის ცაკისაგან, სომხეთის პროფსაბჭოსაგან, ა.-კ. პროლეტარულ სტუდენტობისაგან და სხვა.

ბრძოლა გერმანიის სოც.-დემ. პარტიაში

მუშები პარტიულ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ

ბერლინი, 25 თებერვალი. იმ კამპანიასთან დაკავშირებით, რომელიც მიმდინარეობს არჩევნების მოსამზადებლად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, ფრანკფურტის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშათა ნაწილმა გამოაქვეყნა ფრაქციული ცირკულიარი. „მთავრობის პოლიტიკა პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში,— ნათქვამია ცირკულიარში,—წარმოადგენს მუშათა მასების მოტყუებას“.

შემდეგ იუწყებიან რომ პარტიის მარტო ფრანკფურტის ორგანიზაციიდან გავიდა 134 კაცი, ნიშნად პროტესტისა პარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკის წინააღმდეგ (ადს)

ბერლინი, 25 თებერვალი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას დადგენილებამ პარტიის ყრილობის მაისისათვის გადადების შესახებ დიდი განგაში გამოიწვია სოციალ-დემოკრატების მომხრე მუშათა წრეებში. როგორც მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული გაზეთები აღნიშნავენ, ყრილობა გადაიდო იმ დრომდე, სანამ რეიხსტაგი არ დაამთავრებს ბიუჯეტის განხილვას, რათა თანხების გადიდება პარლამენტში მეორე ჯავშნოსნის ასაგებად მოხდეს ყრილობამდე. (ადს).

სოციალ-დემოკრატების სამწუხარო აღიარება

ბერლინი, 25 თებერვალი. პოლიტიკურ წრეებში, მათ შორის „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატიული წრეებშიაც კი სასაცილოდ მიაჩნიათ, რომ მაგდებურგის ყრილობის გადადების მიზეზად მოიყვანეს წყალდიდობის საფრთხე, როგორც განსაკუთრებული სიცივეების მოსალოდნელი შედეგი. ყველას მშვენივრად ესმის საქმის ვითარება, ყველამ იცის, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით გაურკვეველი მდგომარეობა, რომ მოლაპარაკებას მთავრობის კოალიციის ჩამოყალიბების შესახებ დაბრკოლებები გადაეღობა.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ორგანო „ლეიპციგერ ფოლკსცაიტუნგ“-ი, ეხება რა ყრილობის გადადებას, სწერს, რომ პარტიაში ამჟამად არსებული მდგომარეობა „მუშათა მასებში იმ ხელსაყრელი პოზიციების კვლავ დაკარგვას, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს რეიხსტაგის მაისის არჩევნების შედეგებში“. (ადს).

მემარცხენე უმცირესობის გამარჯვება

ბერლინი, 26 თებერვალი. ზოლინგენში მელითონეთა კავშირის არჩევნებში მემარცხენე უმცირესობამ სასტიკად დაამარცხა ბრანდლერის მომხრენი, რომლებიც ზოლინგენს მთავარ ყურადღებას აქცევდნენ. არასრული ცნობებით, მემარცხენეებმა ზოლინგენის 42 რაიონში 411 მანდატი მიიღეს. ბრანდლერის მომხრეებმა ვერც ერთი მანდატი ვერ მიიღეს, თუმცა ყველა რაიონში გამოვიდნენ თავიანთი სიებით, რომლებსაც სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერდნენ ყველგან, გარდა ორი რაიონისა, სადაც სოციალ-დემოკრატებმა, მემარჯვენეთა ჩამოშორების გამო, 10 მანდატი მიიღეს. მემარცხენე უმცირესობამ მრავალი გამარჯვება მოიპოვა. იზრდება პროტესტი რეფორმისტების გამთიშავი მოქმედების წინააღმდეგ (ადს).

აზერბეიჯანის კომპარტია მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას, ცენტ. საკ. კომ. და ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომების რეზოლიუცია

ბაქო, 26 თებერვალი. 1. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას, ცენტრ. საკონტრ. კომისიის და ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმების გაერთიანებული სხდომამ, მოისმინა რა მან ინფორმაცია მემარჯვენე საფრთხის შესახებ, სცნობს, რომ, რადგან ძლიერდება მემარჯვენე გადახრის ტენდენცია დამოუკიდებელ ფრაქციულ ჯგუფად ჩამოყალიბებისაკენ პარტიის შიგნით, — საჭიროა გაძლიერდეს გაშლილი ბრძოლა ამ ანტილენინურ ტენდენციასთან.

2. მემარჯვენე უკლონისტები თავის აშკარა ოპორტიუნისტულ ხაზს უპირდაპირებენ პარტიის გენერალურ ხაზს და ამით ცდილობენ მოახდინონ პარტიის ძირითად გადაწყვეტილებათა რევიზია. სოციალურ კლასობრივი ბრძოლის მიფუჩეჩება, მუშათა კლასისა და გლეხების ურთიერთ დამოკიდებულების არასწორი გაგება, სურვილი, რომ „არ შევაშალონ ხელი კულაკურ მეურნეობათა განვითარებას“, შეანელონ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპი და სხვ.,—დამახასიათებელია მემარჯვენე გადახრის იდეოლოგიისათვის. მემარჯვენე გადახრის მეორე დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გამოყენება პარტიულ ხელმძღვანელობასთან ბრძოლისათვის. მემარჯვენე გადახრა, აზვიადებს რა სოციალისტური განვითარების სიძნელეებს და ცდილობს რა ამით დაფაროს თავისი ხაზის ოპორტიუნისტობა, ობიექტიურად აბრკოლებს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

3. მემარჯვენეთა ცდები — შეჰკრან უპრინციპო ბლოკი პარტიის უკმაყოფილო ელემენტებთან, სოლიდარობის გამოცხადება მემარჯვენეებისადმი კომინტერნში, კომბინატორობის პოლიტიკა და სხ., აშკარად ამტკიცებს, რომ ეს ამხანაგები ჩავარდნენ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის ჭაობში და, ცხადია, მათ არაფერი აქვთ საერთო პარტიის ლენინურ ხაზთან. პარტიამ პასუხი უნდა გასცეს ყველა ასეთ ცდას და უმკაცრესი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს იმას, რომ პრინციპიალური უთანხმოება არ გადაიქცეს ცეკას ცალკე წევრების პირადი ურთიერთობის საკითხად. მემარჯვენე უკლონისტების იმ ცდას, რომ უთანხმოება ახსნან ცალკე ამხანაგების პირადი თვისებით და პარტიული აპარატის ორგანიზაციული პრაქტიკით ტროცკიზმის სუნი უდის. მემარჯვენეთა გალაშქრება ცეკას წინააღმდეგ და მისთვის სახელის გატეხვის ცდები არ განსხვავდება ტროცკის იმ მეთოდებისაგან, რომლებსაც იგი იყენებდა პარტიის ლენინურ ხაზთან ბრძოლისათვის.

4. პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ყველა წევრისათვის სავალდებულო რკინისებური ბოლშევიკური დისციპლინის შენარჩუნება პარტიაში. პარტიულმა ორგანიზაციამ მკაცრად უნდა ადევნოს თვალყური პარტიული დისციპლინის დარღვევის ყოველგვარ უმცირეს ტენდენციას, რათა ძირშივე იქნას აღმოფხვრილი ასეთი ტენდენციები. ცეკას და მისი ორგანოების ყველა გადაწყვეტილება უდაოდ უნდა იქნას შესრულებული პარტიის ყველა წევრის მიერ, დაწყებული უბრალო წევრით და გათავებული ხელმძღვანელით. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება იქნას უზრუნველყოფილი წარმატებითი ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადასალახავად.

5. დაწყებული ივლისის პლენუმიდან, პარტია იდეოლოგიურ ბრძოლას აწარმოებდა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რაიც არ ნიშნავს, იმას, რომ პარტია ბრძოლის საორგანიზაციო მეთოდებს არ გამოიყენებს, თუ ამას მოითხოვს პარტიის ინტერესები და მისი მთლიანობა. გაერთიანებული სხდომა სცნობს რომ გადახრებთან ბრძოლის წარსულ გამოცდილების მიხედვით საუკეთესოდ უნდა შევაიარაღოთ პარტია ანტილენინური გადახრების, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ბრძოლა მიმართული უნდა იქნას აშკარა ოპორტიუნისტული ლიკვიდატორული გადახრების წინააღმდეგ, რადგან ამ გადახრის აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია გამარჯვება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში. ლენინიზმის ყოველგვარ რევიზიას მარჯვნივ ან „მარცხნივ“, ყოველგვარ ბრძოლას ბოლშევიზმის საორგანიზაციო-პოლიტიკური პრინციპებთან, აზერბეიჯანელი ბოლშევიკები სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ. ახსნა-განმარტებით მუშაობაში უმთავრესად გამომჟღავნებულ უნდა იქნას მემარჯვენე გადახრის იდეოლოგია, ფესვები, შემდგომი განვითარების ტენდენციები და მასთან ობივატელური შემარიგებლური დამოკიდებულების რაობა. მედგარი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ პარტიის მთლიანობისათვის, პარტიული მასების დასარაზმავად ცეკას და მისი ლენინური პარტიის ირგვლივ, ბრძოლა ოპორტიუნიზმის და ლიკვიდატორობის წინააღმდეგ (ადს).

ბაქოს მუშები ტროცკიზმთან ბრძოლის შესახებ

ბაქო, 25 თებერვ. ბაქოს ორგანიზაციის უჯრედები და მუშათა საერთო კრებები მხურვალედ გამოეხმაურნენ იმ ზომებს, რომლებიც საბჭოთა ორგანოებმა მიიღეს ტროცკისტების წინააღმდეგ. ამიერ-კავკასიის რკინის გზების მთავარი სახელოსნოების მუშები სცნობენ, რომ აუცილებელი იყო ის ზომები, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების ორგანოებმა მიიღეს ტროცკისტების და თვით ტროცკის წინააღმდეგ. მუშები ფიცს სდებენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წინაშე, რომ ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის დღევანდელ სიძნელეთა დასაძლევად, სავსებით გატარდება ცხოვრებაში მუშათა კლასის რიგების მაქსიმალური დარაზმულობით და შემჭიდროებით.

„ტროცკისტული ოპოზიცია, — ნათქვამია ლენინ-სურახანის გარაჟის მუშაკთა კრებაზე ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში, არის წმინდა მენშევიკური კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფი. ამის გამო საერთო კრება სთხოვს მაღლამდგომ პარტიულ ორგანიზაციებს და სახელმწ. პოლიტსამართველოს ტროცკისტების წინააღმდეგ მიიღონ ისეთივე ზომები, როგორსაც იღებენ კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ“.

სურახანის რაიონის მუშათა საერთო კრება, გაეცნო რა ტროცკისტული ოპოზიციის მოქმედებას და მთავრობის ღონისძიებებს, სავსებით იწონებს პარტიის და მთავრობის ზომებს ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ და ტროცკის გადასახლებას.

ბაქო-საბუნჩის ელექტრონის რკინის გზის მოსამსახურეთა საერთო კრება სცნობს, რომ ტროცკის გადასახლება საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან სავსებით სწორია და საჭიროა მომავალში გადამჭრელი ზომების მიღება ტროცკისტული კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ (ადს).

მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია

პირველი სხდომა

მოსკოვი, 26 თებერვალი. მოსკოვის გუბერნიის მე-XVII პარტიული კონფერენციის გახსნისას ამხ. მოლოტოვმა სთქვა:

ამხანაგებო, მოსკოვის კომიტეტის დავალებით მოსკოვის გუბერნიის მე-XVII პარტიულ კონფერენციას გახსნილად ვაცხადებ. (ტაში).

ნება მომეცით, ამ კონფერენციის სახით მივესალმო მოსკოვის პროლეტარიატის მთელ კომუნისტურ ავანგარდს. (ტაში).

უკანასკნელი მე-XVI კონფერენციის შემდეგ ერთ წელიწადზე მეტმა განვლო. განვლეთ უდიდეს წარმატებათა და გამარჯვებათა პერიოდი ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა მიაღწია ამ წარმატებებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი უმკლავდებოდა იმპერიალისტური ძალების მოწოლას გარედან. მან ეს წარმატებანი მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინოდ გამწვავდა იმ მტრული ძალების შემოტევა, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ ჩვენს ქვეყანაში. ამ ხნის განმავლობაში ეკონომიური მშენებლობის ხაზით და მუშათა კლასის კულტურულ-პოლიტიკური ზრდის ხაზით ჩვენ დიდი წარმატებანი მოვიპოვეთ, რის მაჩვენებელიც არის, პირველ ყოვლისა, მუშათა კლასის აქტივობისა და დარაზმულობის ზრდა, გლეხთა მასების შემჭიდროვების გაძლიერება მუშათა კლასის გარშემო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ განვაგრძობდით სვლას მუშათა კლასის ცხოვრების მატერიალურ პირობათა შემდგომი გაუმჯობესების გზით; ამასთან ერთად განვაგრძობდით სოფლის მშრომელ მასების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჩვენ ვიცით, რა სიძნელეები ხვდება სოციალისტური მშენებლობის განვლილ ეტაპს. ვიცით აგრეთვე, რომ მუშათა კლასი ამ სიძნელეებს სძლევდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ მას აქვს სწორი ლენინური ხაზი, სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ხაზი. ეს სიძნელეები ჰქმნიან მშრომელთა უფრო სუსტი, უფრო ჩამორჩენილი ნაწილების მერყეობას და შიშს.

ამ წლის განმავლობაში ჩვენს თვალწინ ისეთი ამბები მოხდა, რომლებიც ადასტურებდნენ მერყეობის ერთგვარ გაძლიერებას არა მარტო სოფლის განსაზღვრულ ნაწილში, არა მარტო მუშების უფრო ჩამორჩენილ ფენებში, არამედ ნაწილობრივ ჩვენი პარტიის ზოგიერთ საფეხურებზედაც. ჩვენ ვიცით, თუ რა პასუხი გასცა ამ მერყეობას ლენინურმა პარტიამ. ეს პასუხი იყო—მისი რიგების შემჭიდროება ლენინიზმის იდეურ პოზიციებზე (ტაში).

მოსკოვის ორგანიზაციამ ამ წელს ახალი გამოცდა გამოიარა. ერთგვარმა მერყეობამ და შემარიგებელმა დამოკიდებულებამ ოპორტუნისტული სულიერი განწყობილებისადმი თავისი გამოხატულება ჰპოვეს მოსკოვის ორგანიზაციის რიგებშიაც და მის ხელმძღვანელ ორგანიზაციაშიაც. მაგრამ ამ მერყეობას ენერგიულად შეებრძოლა ორგანიზაციის უდიდესი ნაწილი, რომელმაც მტკიცედ დაუჭირა მხარი პარტიის გენერალურ ხაზს. ის გარემოება, რომ მოსკოვის ორგანიზაციამ სახელოვნად გამოიარა ეს გამოცდა და უფრო განამტკიცა თავისი რიგები, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ მოსკოვის ორგანიზაცია ჩვენი პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზაციაა, რომელიც მტკიცედ იცავს გენერალურ ლენინურ ხაზს.

ჩვენ ვიცით, რომ შემდეგაც დაგვხვდება სოციალიზმის მშენებლობის უდიდეს სიძნელეთა გადალახვა ტეხნიკურად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მტკიცედ ვდგავართ ძირითადი ამოცანის განხორციელების გეზს: ეს ძირითადი ამოცანაა დავეწიოთ და შემდეგ გაუსწროთ ტეხნიკისა და მრეწველობის მხრით მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების დონეს. ჩვენი მტრები საბჭოთა კავშირის ფარგლებს გადაღმა—იმპერიალისტური ძალები—ჯერ კიდევ ძლიერნი არიან. შიგნით კი კაპიტალიზმის ნაშთები ცდილობენ გააძლიერონ შეტევა ჩვენს პოზიციებზე. ეს გარემოება განსაკუთრებული ძლიერებით გვიხაზავს ძირითად ამოცანას. პროლეტარიატის კომუნისტური ავანგარდისათვის ამ ამოცანას და მოვალეობას შეადგენს— მასების მაქსიმალური მობილიზაცია პროლეტარული დიქტატურის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად, მასების შემჭიდროვება და დარაზმულობა გენერალური ბოლშევიკური ხაზის პრაქტიკულად განხორციელების საფუძველზე.

მუშათა კლასის ძალთა ასეთი მობილიზაციის დროშის ქვეშ, პროლეტარიატის გარშემო მშრომელ გლეხთა შემდგომი შემჭიდროვების დროშის ქვეშ, ლენინიზმის დროშის ქვეშ პარტია განაგრძობს თავის გზას, და მის რიგებში, უაღრესად აქტიურ და უაღრესად შეგნებულ ლენინელთა შორის, იდგებიან მოსკოველი ბოლშევიკები— ჩვენი ორგანიზაციის წევრები.

გაუმარჯოს ლენინურ პარტიას!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს! (ტაში „ინტერნაციონალი“).

საქმიანი პრეზიდიუმი

ამის შემდეგ პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამ-ბი: **მოლოტოვი, იაროსლავსკი, კაგანოვიჩი, კრუპსკაია, უხანოვი** და სხვანი, სულ 79 კაცი.

საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ-ბი: **სტალინი, კალინინი, რიკოვი, ვოროშილოვი, რუძუტაკი, კუიბიშევი, ბუხარინი, ტომსკი, ორჯონიკიძე და ტელმანი.**

კონფერენციამ მოისმინა მისალმება წითელ არმიისაგან და გაუგზავნა საპასუხო მისალმება.

ც. კ—ის მოქმედების შესახებ სამსაათიანი მოხსენება გააკეთა ამხ. **მოლოტოვმა.**

კონფერენციამ მისალმებანი გაუგზავნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ—ს, „პრავდა“-ს და კომინტერნს.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა მისალმებანი პარტიული ორგანიზაციებისაგან.

კონფერენციის მისალმებანი

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას

მოსკოვის გუბერნიის პარტიულმა კონფერენციამ შემდეგი მისალმება გაუგზავნა საკავშირო კომპარტიის ც. კ—ს:

„მოსკოვის გუბერნიის მე-XVII პარტიული კონფერენცია მოსკოვისა და გუბერნიის ას ორმოცდაათი ათასი კომუნისტის სახელით თავის მხურვალე პროლეტარულ სალამს უძღვნის ბრძოლაში ნაცად ლენინიზმის შტაბს, პარტიის ბელადსა და ხელმძღვანელ—საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ—ს. კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სოციალისტური მშენებლობის დღევანდელი ეტაპის სიძნელეებმა და დაბრკოლებებმა ერთი ნაბიჯითაც არ გადაახვევინეს ცენტრალურ კომიტეტს პირდაპირი ლენინური გზიდან. მე-17 პარტიული ყრილობის ხაზი— ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მაქსიმალურად სწრაფი ტემპი, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, გადამწყვეტი შეტევა კულაკისა და ნეპმანის წინააღმდეგ, ამავე დროს კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხობასთან და დაყრდნობა ღარიბ გლეხობაზე —განვლილ წელს მთლიანად გამოხატა პარტიის პრაქტიკულმა მუშაობამ ც. კ—ის ხელმძღვანელობით.

მოსკოვის ორგანიზაციამ სასტიკად დაამარცხა ტროცკიზმი, წარმატებით ანადგურებს მის ნაშთებს, ც. კ—ის დახმარებით გადაჭრით დასძლია თავისი ხელმძღვანელობის ერთი ნაწილის მიდრეკილება ოპორტუნიზმისაკენ, განავითარა ფართო ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ, ახლანდელ პირობებში მთავარი საფრთხის წინააღმდეგ; იგი შემჭიდროვებული და მთლიანი, როგორც არასოდეს, მთლიანად იზიარებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ—ის მტკიცე, ნაცად ხაზს და ახორციელებს მას ცხოვრებაში. მოსკოვის ორგანიზაცია მზად არის რკინისებური ბოლშევიკური სიმტკიცით შეებრძოლოს ყველას, ვინც ეცდება დეზორგანიზაციის შეტანას პარტიაში, ვინც არყევს ბოლშევიკურ დისციპლინას მის რიგებში, ვინც ცდილობს, რომ პარტიამ კაპიტულიაცია მოახდინოს კაპიტალისტური ელემენტების წინაშე.

მერყეობისა და მყვირალა პესიმიზმის მიუხედავად, პარტია თავისი ლენინური ც. კ—ის ხელმძღვანელობით მოახერხებს ყველა სიძნელის დაძლევას, მოახერხებს უფრო ფართოდ გაავითაროს სოციალისტური მშენებლობა, მიაღწიოს გადამწყვეტ წარმატებას სოფლის მეურნეობის გაძლიერებისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში, უფრო მჭიდროდ დარაზმოს თავის გარშემო მუშათა კლასის, მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხობის ფართო ფენები, განამტკიცოს კავშირი საშუალო გლეხობასთან, მშრომელთა უფართოესი მასები, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ჩააბან ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, ბრძოლაში სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის და პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს ლენინურ ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!“ (ადს).

„პრავდა“-ს

„ლენინიზმის იდეისა და პრინციპებისათვის მედგარ და გამოცდილ მებრძოლს, მტკიცე პროლეტარულ რევოლიუციონერთა შეუდარებელი კადრების აღმზრდელს, ლენინის ანდერძის გამტარებელს ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოს—„პრავდა“-ს მოსკოვის მე-XVII საგუბერნიო პარტკონფერენცია უძღვნის მხურვალე ბოლშევიკურ სალამს.

თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე, რეაქციის წლებში, 1917 წლის ღირსშესანიშნავ დღეებში, პროლეტარული დიქტატურის წლებში, „პრავდა“ აწარმოებდა ბრძოლას ლენინის ხაზიდან ყოველგვარი გადახრისა და გადახვევის წინააღმდეგ, ბოლშევიკური პარტიულობისა და ლენინური იდეის ყოველგვარ გადამახინჯების წინააღმდეგ. თავისი მუშაობით „პრავდა“-მ მოიპოვა ორ ფრონტზე ბრძოლის ორგანიზატორისა და ინიციატორის საპატიო როლი. ის აწარმოებდა და აწარმოებს ბრძოლას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, პარტიულ ხაზიდან და ბოლშევიკური პარტიულობის პრინციპები ან გადახრებისადმი შემარიგებლობის წინააღმდეგ.

კონფერენცია დარწმუნებულია, რომ მომავალშიაც ყველა იმ დაბრკოლებისა და სიძნელის გადალახვის დროს, რომელიც ჩვენს პარტიას წინ ელობება თავის ისტორიულ გზაზე, „პრავდა“ იქნება ჭეშმარიტი ლენინიზმის პრინციპებისათვის მებრძოლი პირველ რიგებში და ყოველთვის ენერგიულად შეებრძოლება პარტიის ხაზის გამრუდებას და გადამახინჯებას. კონფერენცია უძღვნის „პრავდა“-ს ბოლშევიკურ სალამს და უსურვებს შემდგომ წარმატებას ბრძოლაში ჩვენი პარტიისა და პროლეტარული დიქტატურის მტრების წინააღმდეგ, ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის.

გაუმარჯოს ლენინურ „პრავდა“-ს!

გაუმარჯოს ბოლშევიკური რიგების მთლიანობას და სიმტკიცეს!“

კომინტერნს

„მოსკოვის მე-17 საგუბერნიო პარტკონფერენცია კომინტერნის აღმასკომის სახით მხურვალე კომუნისტურ სალამს უძღვნის მთელს საერთაშორისო პროლეტარიატს, რომელიც კომუნიზმის დროშით იბრძვის საერთაშორისო იმპერიალიზმის, ფაშიზმის, კაპიტალისტური რაციონალიზაციის და მოღალატე სოციალ - დემოკრატიის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომზადების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის დედა ქალაქის, მოსკოვის პროლეტარები სალამს უძღვნიან ბერლინის, ჰამბურგის, რურის, ვენის, ლოძის, ლონდონის, პარიზის პროლეტარებს, სალამს უძღვნიან ჩინეთის რევოლიუციის მებრძოლთ, შანხაისა და კანტონის გმირებს.

დაე, იცოდნენ ყველა ქვეყნის მუშებმა, მშრომელებმა, რომ ჩვენ, კაპიტალისტური ხიშტების რგოლით გარშემორტყმულნი, არასოდეს არ დავკარგავთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისა და ძლევამოსილი საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივას.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც მაგრდება წლიდან წლამდე, არის მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლო. ჩვენი მიღწევები და გამარჯვება — თქვენი გამარჯვებაა. ყოველი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საქმეში საგრძნობლად ხელს უწყობს მთელი ქვეყნის მშრომელთა ფართო პროლეტარული მასების გარევოლიუციონერებას, წინააღმდეგობათა შემდგომ გამწვავებას, კაპიტალისტური სტაბილიზაციის შემდგომ შერყევას და მისი აფეთქების მოახლოვებას.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მუშათა კლასი და ყველა მშრომელი მტკიცედ და გადაჭრით შეებრძოლება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი კლასების ცდას შეიარაღებული ხელით გასრისონ ჩვენი საბჭოთა ქვეყანა.

კომინტერნის მეექვსე კონგრესის შემდეგ ზოგიერთ კომუნისტურ პარტიაში კიდევ უფრო გარკვევით და მკაფიოდ იჩინა თავი მემარჯვენე გადახრამ. როგორც გერმანიის კომპარტიის მაგალითმა დაგვანახვა, მემარჯვენე გადახრას კომინტერნის ხაზიდან მოსდევს ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული საფუძვლების ლიკვიდაცია. მას მივყევართ მუშათა კლასისადმი ღალატისა და გამცემლობის სოციალისტურ ჭაობში.

ჩვენ ვესალმებით გადამწყვეტ ბრძოლას, რომელსაც კომინტერნი აწარმოებს მემარჯვენეების წინააღმდეგ. ჩვენ ვესალმებით მემარჯვენე ფრაქციონერთა გამორიცხვას გერმანიის კომპარტიის რიგებიდან. ჩვენ გადაჭრით ვგმობთ შემარიგებლობის პოზიციას, რომელნიც მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხში გვერდში უდგანან მემარჯვენეებს და გამოდიან ბოლშევიკური დისციპლინის ელემენტარული საფუძვლების წინააღმდეგ.

ჩვენ მხურვალედ ვესალმებით იმ პოლიტიკურ და მორალურ დახმარებას, რომელსაც გვიწევს კომინტერნის ყველა სექცია მემარჯვენე გადახრისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს დახმარება გვიმტკიცებს, რომ კომინტერნი, მიუხედავად მემარჯვენე და მემარცხენე გადახრებისა, იზრდება და მაგრდება მტკიცე ლენინურ პოზიციებზე.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს ლენინიზმს!“. (ადს).

ქართული მენშევიზმის ეკონომიური პროგრამა

ქართველი მენშევიკების საზღვარგარეთულ ორგანო „ბრძოლა“-ში 1926 წლის მაისში გამოქვეყნებული იყო „საქართველოს სოციალ - დემოკრატიულ მუშათა პარტიის პროგრამის პროექტი“, შედგენილი ნოე რამიშვილის მიერ. პროექტი გამოქვეყნებული იყო „საკამათოდ“, — რედაქცია აცხადებდა, „ჩვენს ორგანოში ადგილს დავუთმობთ როგორც ამ პროექტის შესწორებებს, ისე სხვა პროექტებსაც“.

მას შემდეგ გავიდა თითქმის სამი წელი, და მენშევიკებს არსად დაუბეჭდავთ არც „შესწორებები“, არც „სხვა პროექტები“. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ რამიშვილის პროექტი არავითარ სერიოზულ წინააღმდეგობას არ იწვევს ქართველ მენშევიკებში.

ამჟამად ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ პროგრამის პროექტის ეკონომიურ მხარეზე. როგორ ფიქრობს მენშევიკური პარტია გადაჭრას ჩვენი ქვეყნის მთავარი ეკონომიური ამოცანები? რომ მოხდეს „სასწაული“, და მენშევიკები კვლავ მოექცნენ საქართველოს სათავეში — როგორ მოაწყობენ ისინი ჩვენი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებას?

მივმართოთ პროგრამის პროექტს. ჩვენ აქ ვკითხულობთ:

— „ჩვენი მშრომელი ხალხი იტანჯება როგორც ბურჟუაზიის ეკონომიური გაბატონებით, აგრეთვე კაპიტალიზმის ნაკლები განვითარებით. ეს გარემოება აორკეცებს პროლეტარიატის ჩაგვრა - მონობას. საქართველოს სოციალ - დემოკრატიის ვალია მოამზადოს საუკეთესო ნიადაგი ჩვენში საწარმოო ძალთა ფართო განვითარებისათვის და ის მთელი საზოგადოების საკეთილდღეოთ მიმართოს“. („ბრძოლა“, № 10—11, გვ. 38.).

რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს სინამდვილეში ფრაზას: „ხალხი იტანჯება... ბურჟუაზიის ეკონომიური გაბატონებით?“ განა დღევანდელ საქართველოში ბურჟუაზია ეკონომიურათ ბატონობს? მაგრამ მენშევიკები და მისი ამყოლ - დამყოლნი ჩვენ სწორედ იმაში გვდებენ უდიდეს ბრალს, რომ ბურჟუაზია მოსპეთ და ამით საწარმოო ძალები გაანადგურეთო, მაშ რაშია საქმე? თუ რაიმე აზრი აქვს რამიშვილის ფრაზას, ის შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში, რომ ქართველი მენშევიკების წარმომადგენელი ლაპარაკობს იმ საქართველოზე, რომელიც იყო მათ დროს. საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილ ეკონომიურ ურთიერთობას **„არ სცნობს“** რამიშვილი. რომ ეს ასეა, ამაში ჩვენ კიდევ უფრო დავრწმუნდებით მაშინ, როცა მიწის საკითხზე გადავალთ.

მაგრამ ფაქტი, რომელსაც რამიშვილები „არ სცნობენ“, მაინც ფაქტათ რჩება. დეე ზუბალაშვილები, სარაჯიშვილები, ხოშტარიები და სხვები ითვლებოდნენ მენშევიკების დავთარში, როგორც „ეკონომიურათ გაბატონებული ბურჟუაზია“, — ამით ჯერ კიდევ არ იცვლება ის ფაქტი, რომ ამ ყოფილი ქართველი ბურჟუაზიის ყოფილი საკუთრების გამგე - პატრონია მშრომელი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების სახით.

ამას, ვფიქრობთ, რამიშვილებიც „ამჩნევენ“, მაგრამ თუ ისინი მაინც ლაპარაკობენ „ბურჟუაზიის ეკონომიურ გაბატონებაზე“, — ეს ნიშნავს მხოლოდ ერთ რამეს: როცა ჩვენ ძალაუფლებას დავიბრუნებთ, ბურჟუაზია წამსვე ჩადგება თავის ძველ „უფლებაში“, მაშასადამე, აღსდგება ბურჟუაზიის ბატონობის ის დონე, რომელიც არსებობდა 1921 წლის 25 თებერვლამდე!

მაგრამ ეს დონე არ არის საკმარისი, ეს დონე ნიშნავს კაპიტალიზმის „ნაკლებ განვითარებას“, — „ნაკლები განვითარება“ კი ისევე „ტანჯავს“ ხალხს, „როგორც ბურჟუაზიის ეკონომიური განვითარება“. აქედან დასკვნა: სოციალ - დემოკრატიამ „ნაკლები განვითარება“ უნდა შესცვალოს ბურჟუაზიის **ზედმეტი განვითარებით.** რამიშვილების ენაზე ამ კაპიტალიზმის განვითარებას ჰქვია „საწარმოო ძალთა ფართო განვითარება“. ერთი სიტყვით — **აღდგენა ძველი ბურჟუაზიისა და შექმნა ახალი ბურჟუაზიის,** — აი ქართული მენშევიზმის ეკონომიური პროგრამის არსება.

რა კონკრეტული ზომები საჭიროა ამ „შესანიშნავი“ მიზნის განსახორციელებლათ? მენშევიკების პროგრამის პროექტში ვკითხულობთ:

„ამ მიზნის მისაღწევათ პარტიას საჭიროთ მიაჩნია:

ა) სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა საუკეთესოთ გამოყენება.

ბ) **კერძო ინიციატივისათვის** საწარმოვო ძალთა და აღებ - მიცემობის განვითარების საქმეში **ფართო ასპარეზის დათმობა** საზოგადოებრივ ინტერესების უზრუნველყოფით და შრომის პირობათა სათანადო დაცვით.

გ) **აღდგენა იმ ეკონომიურ პოლიტიკისა,** რაიცა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს სოციალ - დემოკრატიამ გატარა და რასაც ახასიათებს **მადნების, სამკურნალო წყლების, მსხვილ მამულების, ტყეების, რკინის გზების და ჰიდრავლიურ ძალის** განსაზოგადოებრივება.

მათი ექსპლოატაცია უნდა გადაეცეს საწარმოვო საზოგადოებებს, დემოკრატიულ სახელმწიფოს და ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოების მონაწილეობის უზრუნველყოფით.

დ) დამზღვევ საზოგადოებათა სოციალიზაცია.

ე) **კოოპერატივთა განთავისუფლება სახელმწიფოს ოპეკისაგან და მათი მუშათა და გლეხთა თვითმოქმედებაზე აგება“.**

შევჩერდეთ ამ მუხლებზე. უეჭველია, მათი ცხოვრებაში გატარება მოგვცემდა ძველი ბურჟუაზიის აღდგენას და ახლის შექმნას. „ფართო ასპარეზი.. კერძო ინიციატივას“ — ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგი მოჰყვებოდა ამას ჟორდანია-გვაზავა - ამირეჯიბი-ფირცხალავას კოალიციური მთავრობის მფარველობის ქვეშ. ეს იქნებოდა „ფართო ასპარეზი“ სპეკულიაციისა და მძარცველობისათვის. ქონება, რომელიც ხალხმა შეკრიბა, მოაგროვა, გამოაცოცხლა, ამუშავა — ხელ-ახლა დაინგრეოდა, დანაწილდებოდა, დაქუცმაცდებოდა, გადაიქცეოდა ძველი და ახალი კაპიტალისტების ხელში სპეკულიატური შეხლა - შემოხლის საგნათ.

საბჭოთა სახელმწიფოსა და კოოპერაციის ხელში თავმოყრილი სიმდიდრე, რომლის დანიშნულება არის უმაღლეს ეკონომიურ - კულტურულ დონეზე აყვანა, — ეს სიმდიდრე გადაიქცეოდა რამდენიმე ათეული თუ ასეული მესაკუთრის კერძო საკუთრებად, მათი კერძო ინტერესების დამაკმაყოფილებელ საგნათ.

იქნებოდა თუ არა ეს „საწარმოვო ძალთა ფართო განვითარება?“ არამც და არამც! ყოველ შემთხვევაში პირველ წლებში, ეს იქნებოდა საწარმოვო ძალთა საშინელი დაცემა. ქართველი კაპიტალისტები დაირიგებდნენ უკვე არსებულ საერთო თანხას, მაგრამ რადგან რევოლიუციის შიში კიდევ დიდხანს იქნება, მას არ დააბანდებენ წარმოებაში, არამედ აქცევენ სპეკულიაციის იარაღათ და წყაროთ.

რაც შეეხება ევროპის კაპიტალს, მას ჩინეთში, ინდოეთში ოსმალეთში, სპარსეთში არ განუვითარებია საწარმოვო ძალა, — რატომ ჩვენში განავითარებს? არა, მას არ უნდა ახალი მწარმოებელი ქვეყნების შექმნა, მას თავისი საწარმოვო აპარატი აქვს იმდენათ დიდი, რომ არ იცის, როგორ გამოიყენოს. ევროპას უნდა აღმოსავლეთში, მათ შორის კავკასიაში და რუსეთში, არა ინდუსტრიის განვითარება, — წინააღმდეგ, მას უნდა, რომ ეს ქვეყნები წარმოადგენდნენ ევროპის კაპიტალიზმის **აგრარულ დამატებას.** ინგლისი ებრძვის საბჭოთა კავშირს არა მარტო იმიტომ, რომ ეს არის ბოლშევიკების ქვეყანა, არამედ ამავე დროს იმიტომაც, რომ ეს არის **ინდუსტრიალიზაციის ნიადაგზე შემდგარი ქვეყანა.** ბოლშევიკების დამარცხება საბჭოთა კავშირში უპირველეს ყოვლისა იქნებოდა აქ ინდუსტრიალიზაციის ხაზის მოშლა და ქვეყნის აგრარულ დონეზე შეჩერება.

მაშასადამე, თუ ამ მხრით მივუდგებით მენშევიკების ეკონომიურ პროგრამას, დავინახავთ, რომ ეს არის პროგრამა არა საწარმოვო ძალთა განვითარებისა, თუ გინდ კაპიტალისტური წესით, — არამედ საწარმოვო ძალთა განვითარების შეჩერებისა და დაცემისა, ეს პროგრამა მოგვცემს არა მრეწველი ბურჟუაზიის განვითარებას — რაც მენშევიკებს დიდ ბედნიერებათ მიაჩნია, — არამედ მოვაჭრე და სპეკულიანტ მესაკუთრეების შექმნას. ბურჟუაზია, რომლის შექმნაზეც ქართველი მენშევიკები ოცნებობენ, იქნება ევროპის კაპიტალიზმის **სავაჭრო აგენტურა,** ის, რასაც ჩინეთში **კომპრადორებს** უწოდებენ. კომპრადორების მიერ განვითარებული საწარმოვო ძალები კი ჯერ არავის უნახავს. წინააღმდეგ, ბურჟუაზიის ეს ნაწილი ყოველგვარ დახმარებას უწევს ევროპის, ამერიკის და იაპონიის ბურჟუაზიას ჩამორჩენილი აზიური ქვეყნების მტაცებლურ ყლეფაში.

მაგრამ — შეიძლება სთქვას ზოგიერთმა მკითხველმა—აკი მენშევიკები სხვადასხვა დარგების „განსაზოგადოებრივებაზე“ ლაპარაკობენ. ჯერ ერთი — „განსაზოგადოებრივება“ „დემოკრატიულ“ სახელმწიფოში — ეს არის „განსაზოგადოებრივება“ ბურჟუაზიის ფაქტიური ზეგავლენით და ხელმძღვანელობით. ყოველ შემთხვევაში, ეს, მენშევიკების აზრითაც, უნდა მოხდეს ისე, რომ „კერძო ინიციატივისთვის... **ფართო ასპარეზის დათმობა**“ ფაქტათ დარჩეს. შემდეგ—მენშევიკების პროგრამის პროექტი ერთ სიტყვასაც არ ამბობს **ფაბრიკა-ქარხნების** განსაზოგადოებრივებაზე. ეს მრეწველობის **ძირითადი,** ხელმძღვანელი დარგი რჩება კერძო მესაკუთრეთა ხელში.

ხოლო ის, რის განსაზოგადოებრივობასაც ვითომ გვპირდებიან მენშევიკები, თურმე საექსპლოატაციოთ „უნდა გადაეცეს **საწარმ. საზოგადოებებს**“. რასაკვირველია, აქ მთავარი ძალა იქნება ბურჟუაზია, რამდენადაც ის მოიკიდებს ხელს წარმოებას, და თუ არ მოიკიდებს, „განსაზოგადოებულ“ დარგებს მოელის სრული დაცემა.

ამრიგად, მენშევიკების ეკონომიურ პროგრამაში ყველაფერი დაყრდნობილია კაპიტალისტზე, კერძო მესაკუთრეზე. მთელი ქვეყნის ეკონომიური სვე-ბედი მათზეა დამყარებული. ერთად-ერთი დარგი, რომლის ნამდვილ განსაზოგადოებრივებაზე მენშევიკები, ეტყობა სერიოზულათ ფიქრობენ, არის „დამზღვევი საზოგადოებები“. ბურჟუაზია — უმთავრესათ სავაჭრო ბურჟუაზია, ევროპის კაპიტალიზმის აგენტურა,—ინავარდებს ხალხის ზურგზე, —ჟორდანია-გვაზავას კოალიციური მთავრობა კი მის ქონებას დაზღვევით უზრუნველყოფს ყოველგვარი „უბედური შემთხვევისაგან“. ეს გახლავთ მენშევიკური „გზა სოციალიზმისკენ“! ნამდვილათ კი ეს არის გზა საქართველოს **კოლონიათ** გადაქცევისა, გზა ინდუსტრიალიზაციის ხაზის მოშლისა, გზა ბურჟუაზიის მძარცველობის, აუწერელ თვითნებობის და ალვირახსნილ ექსპლოატაციის გამეფებისა.

⁂

კოოპერატივები — ამბობს მენშევიკების პროგრამის პროექტი — უნდა „განთავისუფლდნენ სახელმწიფოს ოპეკისაგან“. კოოპერატივებში — ეწევიან ისინი უსირცხვილო დემაგოგიას—უნდა იყოს „მუშათა და გლეხთა თვითმოქმედება“.

რას ნიშნავს ეს? განა მენშევიკებ შემოიტანენ მეტ „თვითმოქმედებას“ კოოპერაციაში, ვინემ ეხლა არის? განა მათი დახავსებული ბურჟუაზიული „დემოკრატია“, რომელიც ფაქტიურათ არის **მესაკუთრეების დემოკრატია,** უფრო იწვევს თვითმოქმედებას, ვინემ საბჭოთა ნამდვილი დემოკრატია?

მენშევიკებს სახეში აქვთ არა ფართო მასების თვითმოქმედება, არამედ **შეძლებულთა მოქმედება** კოოპერაციაში. მათ გულს უკლავს ის გარემოება, რომ კულაკები, ბობოლები ვერ გრძნობენ თავს ჩვენი კოოპერაციის ბატონ-პატრონათ. ისინი ხედავენ, რომ ხელისუფლება წინ უდგას სოფლის ბურჟუაზიას და არ აძლევს მას გასაქანს.

აქედან წარმოსდგება ლოზუნგი „ოპეკის“ წინააღმდეგ. ის რასაც მენშევიკები „ოპეკას“ უწოდებენ, ნამდვილათ არის ღარიბი გლეხკაცობის ინტერესების დაცვა კულაკების წინაშე მათთვის მრავალნაირი დახმარების გაწევა. ეს მენშევიკებისათვის მიუღებელია, რადგან ღარიბი გლეხკაცობის დაცვა ხელს უშლის სოფლათ ბურჟუაზიის განვითარებას. ეს უკაცრავათ პასუხია, „მუშათა“ პარტია კი სიზმარშიც ბურჟუაზიის გაზრდას და გამარჯვებას ხედავს.

— გადავაქციოთ კოოპერაცია ახალი კაპიტალიზმის მასაზრდოებელ წყაროთ! მივსცეთ ის ხელში სოფლის ბურჟუაზიას!

ეს პროგრამა არ ახალია, ძველია. ტყუილათ კი არ გაემგზავრა 1910 წელს ჟორდანია კაპიტალისტ სარაჯიშვილის ხარჯზე იტალიაში იქაური კოოპერაციის შესასწავლათ, ტყუილათ კი არ განაცხადა ჟორდანიამ 1913 წელს, სარაჯიშვილს კოოპერაციის საკითხი პრაქტიკულათ აინტერესებდაო! (იხ. ჩვენი წერილი: („ქართული მენშევიზმის წარსულიდან“, „კომუნისტი“, № 28) „ჩვენმა“ ბურჟუაზიამ იცოდა, თუ რა მნიშვნელობა ქონდა კოოპერაციას კაპიტალისტური ურთიერთობის შექმნის საქმეში. მენშევიზმი ცდილობს—ქვეყანა ჩააბაროს ბურჟუაზიას, მაშასადამე, კოოპერაციაც მისცეს მას ხელში.

⁂

გადავიდეთ აგრარულ საკითხზე. რამიშვილის პროექტში ამ საგანზე ვკითხულობთ:

„სოფლათ საწარმოვო ძალთა განვითარების ხელშესაწყობათ — სოფლის მეურნეთა მფლობელობაში **დატოვებულ** და მათთვის **კანონიერი** გზით **გადაცემულ** ადგილმამულის **კერძო საკუთრებათ** გამოცხადება და მათ სახელზე **დამტკიცება**“.

ადგილმამულის კერძო საკუთრებათ გამოცხადება, კერძო პირების სახელზე დამტკიცება — გასაგებია. მაგრამ რას ნიშნავს — „სოფლის მეურნეთა მფლობელობაში **დატოვებული**“ ადგილმამული? რას ნიშნავს—„**კანონიერი** გზით გადაცემული“ ადგილმამული?

აქ პასუხი შეიძლება მხოლოთ ერთი იყოს: ლაპარაკია იმ ადგილმამულზე, რომელიც „**დაუტოვა**“ მესაკუთრეთ **ჟორდანია - ხომერიკმა.** „კანონიერი გზით გადაცემული“—ეს ნიშნავს ჟორდანიას მთავრობის მიერ გადაცემულს. რაც ჟორდანია - ხომერიკმა არ დატოვა—ის „**უკანონოა**“, მას მენშევიკების პარტია არ იცნობს.

მაგრამ აქედან რა გამოდის? ის, რომ **ჟორდანია - რამიშვილის პარტია არ სცნობს იმ აგრარულ რეფორმას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გაატარა ცხოვრებაში,** არ სცნობს იმ ახალ ურთიერთობას, რომელიც უკვე შვიდი წელიწადია ფაქტიურათ შექმნილია საქართველოს სოფელში. ამ უბადრუკი პოლიტიკოსების აზრით, როცა ისინი დაბრუნდებიან, (ნეტარ არიან მორწმუნენი) ყველაფერი ის, რაც მათ შემდეგ გაკეთებულა, უნდა მოიშალოს, და ცხოვრების ბორბალმა უნდა დაიწყოს ტრიალი იმ წერტილიდან, რომელიც მენშევიკებმა დასტოვეს 1921 წლის 25 თებერვალს!

ზემოთ ჩვენ ვნახეთ,—მენშევიკები „არ სცნობენ“ ქართველი ბურჟუაზიის მოსპობას,—ეხლა ჩვენ ვხედავთ,—ისინი „არ სცნობენ“ თავად-აზნაურობის უკანასკნელი ნაშთების აღმოფხვრას, „არ სცნობენ“ სოფლის ბობოლების ეკონომიურ „უფლებების“ შეზღუდვას! როგორც ქალაქში, ისე სოფლათ ამ საუცხოვო ადამიანებს ყველაფერი უნდათ „თავიდან დაიწყონ“. ეს ნიშნავს მხოლოდ ერთ რამეს: მათ „თავი“ დიდი ხანია სამუდამოთ დაუკარგავთ!

საინტერესოა, რომ საბჭოთა აგრარული რეფორმის შედეგებს „იღებენ“, დეკლარატიულათ, რასაკვირველია, რუსეთის მენშევიკები, ესერები, კადეტები (მილიუკოვის ფრაქცია), ზოგი მემარჯვენე ჯგუფებიც კი (მაგ., ევრაზიელები). ამ პოლიტიკურ პარტიებს და ჯგუფებს აქვთ საკმაო ჭკუა, რომ სჯერათ მაინც არ უარყონ ფაქტი, არ უარყონ რევოლიუციის შედეგები სოფლათ. ქართველი მენშევიკები კი ყველაზე უფრო „მედგარი“ გამოდგნენ! მართალია და მართალიც, რა არის მათთვის „რაღაც“ შვიდი წელიწადი! მათი „კანონი **ფაქტზე** მაღლა დგას. ბედნიერი იქნება ის, ვისაც მათ მიწა „კანონიერათ“ დაუტოვეს“, — **გაუბედურდება** ის, ვინაც დაარღვია მენშევიკების წმინდა კანონი და „ველურ“ ბოლშევიკებიდან მიწა მიიღო: კერძო საკუთრების ემბაზში მათ არ აზიარებენ. —მიწა **დაუბრუნდება** და კერძო საკუთრებათ დაუმტკიცდება მათ, ვისაც **ჟორდანია - ხომერიკმა „კანონიერათ“** დაუტოვა“. მაშასადამე, ადგილ-მამული **ჩამოერთმევა** მას, ვინც ის „უკანონოთ“ მიიღო ე. ი. სოფლის გლეხკაცობის დიდ უმრავლესობას.

არის თუ არა ეს აგრარულ სფეროში **რესტავრაციის პროექტი?** დიახ, ეს გახლავთ **თავად-აზნაურული და კულაკური რეაქციის მიუცილებლობის აღიარება სოფლათ.** ქართველმა მენშევიკებმა „გაბედეს“ ის, რასაც ვერ ბედავენ რუსეთის მენშევიკები, ესერები და კადეტები, — „გაბედეს“, რადგან ისინი **კოალიციით არიან შეკრული ქართველი თავად - აზნაურების იდეოლოგებთან—გვაზავა-ამირეჯიბთან.**

„კანონიერი“ მიწის „კანონიერი“ საკუთრება,—ეს არის მთელი ქართველი რეაქციონური ბლოკის პოლიტიკური ლოზუნგი. ამ ლოზუნგის წინააღმდეგ ბრძოლა არის რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლა. ვინც მიწის ნაციონალიზაციას უარყოფს პრაქტიკულათ ან თეორიულათ — ის არის პოლიტიკური და სოციალური რეაქციის ფაქტიური მომხრე.

⁂

დასკვნა, ჩვენის აზრით, მოკლე და უდავოა: ქართული მენშევიზმი არის „ნაციონალური“ პარტია ბურჟუაზიისა და კულაკების. ეს პარტია განაგრძობს შემარიგებელ პოლიტიკას თავად-აზნაურობის მიმართ. ამიტომ არ სცნობს იგი პროლეტარული რევოლიუციის შედეგებს არც ქალაქათ და არც სოფლათ. ამიტომ მისი ეკონომიური პროგრამა არის პროგრამა სოციალური და პოლიტიკური რეაქციის.

ილ. მგელაძე (ვარდინი).

თბილისის IX პარტკონფერენცია

თბილისის კომიტეტის ანგარიში

ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენება*)

სოფლის მეურნეობის საკითხები

თბილისის მაზრის სოფლის მეურნეობის მდგომარეობას ახასიათებს შემდეგი ციფრები: ნათესი მიწის საერთო სივრცე შეადგენს — 148.000 ჰექტარს. აქედან 1927 წ. დაითესა 56,203 ჰექტარი, ხოლო 1928 წ.—60.288 ჰექტარი. ნათესი სივრცე გაიზარდა 7,8 პროცენტით. სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1928 წელში გაიზარდა 11 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის ცალკე დარგები ვითარდებოდა შემდეგნაირად: ბამბის ნათესების სივრცე გაფართოვდა 102,7 პროცენტით, ვენახის 3,5 პროცენტით, მარცვლეულის 8 პროცენტით. აქ საჭიროა ხაზი გაესვას ერთ გარემოებას. როგორც იცით ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების გაძლიერება. სოფლის მეურნეობა ძლიერ ჩამორჩა ინდუსტრიალიზაციის ტემპს, რაც დიდ საფრთხეს უმზადებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

„მტკიცედ უნდა გავატაროთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსი, უნდა უზრუნველვყოთ მთავრობის დადგენილებებით გათვალისწინებული ზრდა კაპიტალურ თანხების დაბანდებისა მიმდინარე წელს და ამავე დროს ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის. რომ სათანადო ნიადაგზე დავაყენოთ საერთოდ სოფლის მეურნეობა და, კერძოდ, მარცვლეულის მეურნეობა, განსაკუთრებით კი სასურსათო პურის წარმოება, რისთვისაც ყოველ მხრივ უნდა გავაძლიეროთ სოფლის საწარმოო ძალები და სულ უფრო და უფრო შევზღუდოთ სოფლის ექსპლოატატორული, კაპიტალისტური ელემენტები, უნდა ვაშენოთ საბჭოთა მეურნეობები, წავახალისოთ და ყოველმხრივ მხარი დავუჭიროთ სოფლის მეურნეობის კოლექტიურ ფორმებს (კოლექტიური მეურნეობები, კომუნები, ნადები და სხვ.) და ყოველი ღონე ვიხმაროთ გლეხობის ღარიბ და საშუალო მასების სამეურნეო სტიმულების გასაძლიერებლად".

(საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის რეზოლიუციიდან).

კერძოდ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში განსაკუთრებით ხაზი გაუსვა სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპის შენელებას. აი რატომ წარმოადგენს ჩვენი სოფლად მუშაობის უმთავრეს ამოცანას სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპის გაძლიერება.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა წამოაყენა მარცვლეულის ნათესების სივრცე 7 პროცენტით გაფართოებისა და მოსავლიანობის 3 პროცენტით გადიდების ამოცანა. ამ მხრივ ჩვენში საქმე როდია სასურველად დაყენებული. შემოდგომის ნათესების სივრცე შემცირდა 10 პროცენტით. ამიტომ მარცვლეულის ნათესების ნაყოფიერების გაძლიერება 1 ნახევ. — 2 პროცენტით, თბილისის კომიტეტის დადგენილების თანახმად, მოსავალი საგაზაფხულო თესვის კამპანიის ძირითად ამოცანად უნდა იქნეს აღიარებული. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, გაზაფხულის ნათესების 8 პროცენტით გაფართოება მინიმალურ ნორმად არის ცნობილი. ეს დირექტივა ჩვენ უთუოდ უნდა შევასრულოთ.

მიწადმოწყობა

ამხანაგებო, რამოდენიმე სიტყვა მიწის მოწყობის შესახებ. ჩვენში მოწყობილია 118,292 ჰექტარი მიწა. არ არის ჯერ კიდევ მოწყობილი 196.103 ჰექტარი მიწა ((აქ არ შედის ყოფილი დუშეთის მაზრა). ამ რიგად მიწადმოწყობა ნელი ტემპით მიმდინარეობს, ცხადია, რომ ჩვენ არ ვაქცევდით ამ საქმეს სათანადო ყურადღებას. მიწადმოწყობას უნდა მიექცეს მაქსიმალური ყურადღება.

აგროდახმარების საქმე მაზრაში სუსტადაა დაყენებული. თბილისის მაზრაში (ყოფილი დუშეთის მაზრის გამოკლებით) არსებობს 12 აგროპუნქტი, 13 გამქირავებელი და 13 მარცვლეულის საწმენდი პუნქტი.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია

საგრძნობი მიღწევები გვაქვს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. კოლექტიურ მეურნეობების მშენებლობა სოფლად წარმოადგენს ჩვენი პარტიის გენერალურ ამოცანას და ამიტომ ჩვენ მას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. 1928 წლამდე თბილისის მაზრაში იყო 10 კოლექტიური მეურნეობა და 12 სამანქანო ამხანაგობა. ამჟამად ჩვენ გვაქვს 61 კოლექტიური მეურნეობა და 28 სამანქანო ამხანაგობა, ამ ამხანაგობებში გაერთიანებულია 1354 მეურნეობა, ე. ი. ყველა გლეხურ მეურნეობის 2,9 პროცენტი, ეს. რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია პარტორგანიზაციის მუშაობის მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს სოფლად.

მუშკოოპმა ჩატარა ეგრეწოდებული სპეციალიზაცია, რომელიც არ იყო წინასწარ საკმაოდ დამუშავებული და შესწავლილი, რადგანაც გატარდა ეს სპეციალიზაცია, განაპირა უბნებში შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ მუშა საჭირო საქონლის შესაძენად იძულებულია შემოიაროს რამდენიმე მაღაზია. კოოპერაციამ გაუშვა მხედველობიდან ის გარემოება, რომ მას არ აქვს საკმაოდ ფართო ქსელი.

ამ გარემოებამ ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში და მუშკოოპი იძულებული შეიქნა სასწრაფოდ მოეწესრიგებია ეს საქმე, გამოესწორებია დაშვებული შეცდომები. მიუხედავად ერთგვარი გარდატეხისა, კოოპერაციაში სუსტად არის დაყენებული კულტურულ განმანათლებელი მუშაობა; სუსტათაა დაყენებული აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საქმეც. კოოპერაციას არა აქვს სასადილოების საჭირო ქსელი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საკვები პროდუქტებით მომარაგების საქმის სუსტი დაყენება. თბილისში ნაწილობრივ იწევს ფასები საკვებ პროდუქტებზე, კოოპერაციას კი არ შესწევს ძალა ამ მოვლენასთან საბრძოლველად. კოოპერაციამ უთუოდ უნდა გააძლიეროს საკვები პროდუქტების მომარაგება; ამ საქმეში მუშათა კოოპერაციას უნდა დაეხმაროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. დაუშვებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც კვების დარგში კერძო ვაჭრობის ხვედრითი წონა 80 პროცენტს შეადგენს. კოოპერატიულ მშენებლობას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. პარტია, პროფკავშირები და საბჭოთა ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ კოოპერაციას, რათა მან შესძლოს განმტკიცოს თავისი მდგომარეობა და აღმოფხვრას ის შეცდომები და დეფექტები, რომლებსაც აქვს ადგილი მის მუშაობაში, მით უმეტეს დღევანდელ პერიოდში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე საგრძნობი ფასების რყევაა და ფასებს ემჩნევა ზრდის ტენდენცია, რაც მძიმედ აწვება მუშის ბიუჯეტს, ამასთან დაკავშირებით კოოპერაციის წინაშე სდგას მრავალი სერიოზული ამოცანა.

პურის ბაზრის საკითხი

საჭიროა რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ პურის ბაზრის მდგომარეობის შესახებ.

ამ გარემოებას კონფერენციამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს, რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს პურის ფონდის არარაციონალურ გამოყენებასთან. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თბილისი ყოველთვიურად სჭამს 50 ვაგონით მეტს დაწესებულ ნორმაზე (255 ვაგონს 205-ის მაგივრად). ჩვენ გვაქვს დირექტივათა მთელი რიგი საკავშირო კპ. (ბ) ცეკასა და საკავშირო მთავრობის ხაზით პურის ფონდის ხარჯვაში მაქსიმალური ეკონომიის დაცვის შესახებ. ჩვენ გვაქვს საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას პრეზიდიუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის დაძაბულ სასურსათო ბალანსთან დაკავშირებით და აგრეთვე იმ მიზნით, რომ პურის პროდუქტებით დაკმაყოფილებულ იქნას მომხმარებელთა მთავარი მასა—მუშა-მოსამსახურეები, რომ მათ დროზე და შეუწყვეტლად მიიღონ გამომცხვარი პური, ეკონომიურად ხარჯონ პურის პროდუქტები, და აგრეთვე იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას პურის ხარჯვა არაპირდაპირი დანიშნულებით (საქონლის კვება),—მიენდოს შრომის სახალხო კომისარიატს დაამუშაოს საკითხი სპეციალური პურის წიგნაკების გამოშვების შესახებ და იმის შესახებ, რომ დაწესდეს მთელი მოსახლეობისათვის პურის ხარჯვის ნორმები. აქ მიღებული უნდა იქნას მხედველობაში რეალიზაციის ფაქტიური გეგმა და მოხმარების საშუალო ნორმა მომხმარებელთა თვითეული ჯგუფისათვის ცალ-ცალკე (მუშები მათის ოჯახებით, მოსამსახურეები და სხვ. მშრომელი ელემენტები ოჯახებით; არამშრომელი მოსახლეობა). ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წარმოადგინა თავისი პროექტი პურის წიგნაკებზე გადასვლის შესახებ, რაც განხილული და დამტკიცებული იქნება მახლობელ დღეებში. საჭიროა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა და აგრეთვე პროფესიონალურმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ამ საკითხებზე დაუყოვნებლივ განაცხადონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია მუშათა მასებში.

კოოპერაციის მდგომარეობა

კოოპერაცია სოფლად

სამომხმარებლო კოოპერაციაში სოფლად გაერთიანებულია 27,034 მეურნეობა, რაც გლეხთა მეურნეობათა საერთო რიცხვის 58,5 პროცენტს შეადგენს. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანებულია 22.998 მეურნეობა, ე. ი. მეურნეობათა საერთო რიცხვის 45,5 პროცენტი. სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ხაზით 1927 წ. გლეხობას კრედიტების სახით მიეცა 397.000 მანეთი, ხოლო 1928 წ. 933,000 მან.; ამ რიგად კრედიტები ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 234 პროცენტით.

აღსანიშნავია კლასიური ხაზის დამახინჯება საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების დროს. მაგალითად, წალკის საკრედიტო ამხანაგობამ მისცა კრედიტები შეძლებულ და კულაკურ ელემენტებს. მანგლისის ამხანაგობამ კრედიტების საგრძნობი ნაწილი გაანაწილა შეძლებულთა, კულაკებსა და მოსამსახურეთა შორის და სხვ. ჩვენი კლასიური პოლიტიკის ასეთ დამახინჯებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. კოოპერატიული აპარატი უნდა განიწმინდოს უცხო და მავნე ელემენტებისაგან.

თბილისის მუშათა კოოპერაცია

მუშათა კოოპერაციას მთელი რიგი მიღწევები აქვს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. თბილისის მუშკოოპში და ამიერ - კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებაში 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის ირიცხებოდა 83,172 წევრი, რაც შეადგენდა პროფკავშირების წევრების 56,5 პროცენტს; 1928 წლის 1 დეკემბრისათვის წევრთა რიცხვი შეადგენდა 56,401-ს, ე. ი. 78,5 პროცენტს. ეს ციფრები მოგვაწოდა თვით კოოპერაციამ და არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი უთუოდ სწორი იყოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს ოფიციალური ცნობებია, მიღებული ჩვენ მიერ თვით კოოპერაციისაგან.

პაის მხრივ მდგომარეობა შემდეგია: საშუალო პაი მუშკოოპის ხაზით 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის უდრიდა 5 მანეთს და 73 კაპიკს, ხოლო 1929 წლის 1 იანვრისათვის — 10 მან. და 43 კაპიკს, ამიერ - კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების ხაზით საშუალო პაი 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის შეადგენდა 11 მან. და 25 კაპ.; ამიერ - კავკასიის სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოების ხაზით 1927 წ. 1 ოქტომბ. — 15 მ. და 59 კ., ხოლო 1929 წ. 1 იანვრისათვის — 15 მანეთს. არის პარტიული დირექტივა და სპეციალური დავალება თბილისის კომიტეტის მხრივ პაის გადიდების შესახებ 15 მანეთამდე. ჩვენმა კოოპერაციამ ამიერ - კავკასიის სამომხმარებლო საზოგადოების გარდა ვერ შესძლო ამ დირექტივის განხორციელება. ჩვენი კოოპერაციის ამოცანას შეადგენს ასწიოს პაი დასახულ ნორმამდე.

საჭიროა აღინიშნოს კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვის საგრძნობი ზრდა. 1928 წ. მუშკოოპის საერთო ბრუნვა გაიზარდა 56 პროცენტით, ამიერ - კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების — 40 პროცენტით, ხოლო ამიერ - კავკასიის სამხედრო სამომხმარებლო კოოპერაციის — 95 პროცენტით. ძირითადი სიძნელე, რომელსაც განიცდის ჩვენი მუშათა კოოპერაცია — ეს არის საკუთარი სახსრების ნაკლებობა. უკანასკნელი წლის განმავლობაში ნასესხები კაპიტალი მუშკოოპის ბრუნვაში 41,6 პროცენტით გაიზარდა.

საინტერესოა გავსინჯოთ მოგების, ფასის ზედნართებისა და ხარჯების დამოკიდებულება ბრუნვის მიმართ. თვით კოოპერაციის ცნობების მიხედვით ფასების ზედნართები 1927-28 წლ. უდრიდა 12,5 პროცენტს შემოღებულ 12 პროცენტიან ნორმის ნაცვლად; ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებაში 13,5 პროც. შემოღებულ 12,5 პროც. წინააღმდეგ და ამიერ - კავკასიის სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოებაში—13,6 პროცენტით 12,1 პროცენტის წინააღმდეგ. სავაჭრო ხარჯები მუშკოოპში 1927-28 წ. უდრიდა 10,5 პროც. მიღებულ 10,1 პროც. ნორმის წინააღმდეგ; ამიერ - კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებაში 11,0 პროც. 10,5 პროც. წინააღმდეგ და ამიერ-კავკასიის სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოებაში 10,9 პროცენტი 10,2 პროც. წინააღმდეგ.

წმინდა დაგროვების ნორმა მუშკოოპში 1927 - 28 წელში უდრიდა 1,08 პროც. დაწესებულ 0,46 პროც. ნორმის წინააღმდეგ; ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებაში—2,19 პროც., 0,5 პროც. წინააღმდეგ და ამიერ-კავკასიის სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოებაში—0,48 პროც. 0,54 პროც. წინააღმდეგ. ეს ცნობები გვარწმუნებენ, რომ კოოპერაციულ ორგანიზაციების მიერ მოგების, ფასის, ზედნართების და სავაჭრო ხარჯების შესახებ პარტიის დირექტივების შესრულების ხაზით ჩვენ საქმე გვაქვს მთელ რიგ არსებით დეფექტებთან. გარდა ამისა კოოპერაცია ჯერ კიდევ სუსტად აკმაყოფილებს განაპირა უბნების მუშათა მოთხოვნილებებს.

საფინანსო მუშაობა

თბილისის ალმასკომის ბიუჯეტი

1927—28 წელს თბილისის ალმასკომის ბიუჯეტს შეადგენდა 22.731.922 მან. 1928—29 წლისათვის ბიუჯეტი უდრის 25.292.656 მან. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თბილისის ალმასკომის უკანასკნელი წლების ბიუჯეტი დეფიციტიანია; წელს დეფიციტი 1.500,000 მანეთს აღწევს. მოსალოდნელი იყო კიდევ მეტი დეფიციტი, მაგრამ ჩვენ ძლიერ შევამოკლეთ ხარჯები, თვით ზოგიერთი საჭირო ხარჯებიც კი შევამცირეთ.

მიმდინარე წლის ბიუჯეტში ადმინისტრატიული ხარჯები შემცირებულია 4 პროცენტით; სოციალურ-კულტურული ხარჯები გადიდებულია 5,1 პროც.; სამეურნეო ხარჯები — 0,6 პროც.; დანარჩენი ხარჯები—30 პროცენტით. ჩვენს უახლოეს მიზანს შეადგენს—მივაღწიოთ უდეფიციტო ბიუჯეტს, რისთვისაც საჭიროა ადგილობრივი მრეწველობის გაძლიერება და განვითარება. თბ. ალმასკომის ფინანსიური მეურნეობის განმტკიცება, უპირველესად ყოვლისა, დამოკიდებულია ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისაგან და, ამ დარგში საჭიროა მისთვის სათანადო დახმარების აღმოჩენა, პირველ რიგში, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მხრივ.

ზოგიერთი ამხანაგი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ არ არის საკმარისი თბილისის მაზრის საკუთარი შემოსავალი, მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა ითქვას, რომ მაზრის საკუთარი შემოსავლის გასადიდებლად ყველაზე უფრო რეალურ საშუალებას წარმოადგენს მოწყობა და განვითარება მთელი რიგი სამეურნეო ერთეულებისა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებლად.

კომუნალური ბანკი

1928 წელს კომუნალური ბანკის კაპიტალი 20,8 პროც. გაიზარდა. უკანასკნელი წლის განმავლობაში ბანკს არ მოუცია სესხი კერძო პირთათვის. სულ ბანკის მიერ გაცემულია — 18.516.000 მან. კრედიტი. აქედან მიეცა: სახელმწიფო დაწესებულებებს 17,5 პროც.; კოოპერაციას—8,3 პროცენტი, კომუნალურ მეურნეობებს—55,5 პროცენტი საბინაო მშენებლობას—14,0 პროც. და მრეწველობას — 4,7 პროც.

ბანკის საქმიანობის დეფექტად ჩაითვლება ის გარემოება, რომ იგი მეტად მცირე სესხს აძლევდა საბინაო მშენებლობას, კომუნალურმა ბანკმა უნდა გაადიდოს კრედიტები საბინაო მშენებლობას.

ადგილობრივი კაპიტალი

საჭიროა მოკლედ შევეხოთ კერძო კაპიტალის როლს სავაჭრო საქონლის ბრუნვაში, 1925—26 წელს სახელმწიფო ორგანოთა მონაწილეობა საბითუმო ვაჭრობაში უდრიდა 72,4 პროცენტს, კოოპერაციისა—23,3 პროც., კერძო ვაჭრობისა 5,3 პროცენტს. 1926—27 წელს —სახელმწ. ორგანოთა მონაწილეობა უდრიდა 65,3 პროცენტს, კოოპერაციისა—31,1 პროც. და კერძო ვაჭრობისა—3,6 პროც. ცალობრივ ვაჭრობაში 1925—26 წელს სახელმწ. ორგანოთა მონაწილეობა უდრიდა 23 პროცენტს, კოოპერაციისა—20,6 პროც., კერძო სექტორის—56,4 პროც. 1926—27 წელს ჩვენ გვქონდა იმავე რიგით—22,1 პროც., 23,9 პროცენტი და 54 პროც. საქონლის გარეშე ვაჭრობაში 1925—26 წელს კერძო ვაჭრობის როლი უდრიდა 80,9 პროცენტს, ხოლო 26—27 წელს 81,9 პროცენტს. ამნაირად, კერძო კაპიტალის მონაწილეობა თანდათან კლებულობს, კერძო ვაჭრობა თანდათან სუსტდება, მაგრამ ის ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. შემდეგში ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა კერძო ვაჭრობასთან და განვდევნოთ ის იმ პოზიციებიდან, რომლებიც ამჟამად უჭირავს.

მუშათა მასიურ ორგანიზაციების საქმიანობა

მასები და წარმოების რაციონალიზაცია

წარმოებაში სოციალისტური რაციონალიზაციის საკითხები მჭიდროდ დაკავშირებულია სოციალისტურ მშენებლობაში მასების მონაწილეობის საკითხებთან, როგორც ქალაქში, ისე სოფლად. ეს საკითხები უშუალოდ დამოკიდებულია ყოველგვარი მასიური მუშაობის განვითარების საკითხთან და იმ საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციების მთელი სისტემის განვითარების საკითხთან, რომლებიც ასეთ მუშაობას აწარმოებენ, ასეთებია: პროფკავშირები, საბჭოები, ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ახ. კომკავშირი, მასიური მუშაობა ქალთა შორის, მუშათა კოოპერაციის ხაზით და სხვ. მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის საქმეში ჩვენი მუშაობის ძირითადი ლოზუნგია: „ახლოს მასებთან!"

„დღევანდელ პირობებში პროფკავშირებისა და სხვა მასიური ორგანიზაციების უმთავრეს ამოცანას შეადგენს დაუნდობელი ბრძოლა მუშათა მასებისაგან ჩინოვნიკური ჩამოშორების წინააღმდეგ, ბრძოლა მუშათა ყოფა-ცხოვრებითი ინტერესებისადმი უყურადღებობის წინააღმდეგ, აგრეთვე ბრძოლა მუშათა ჩამორჩენილი ფენების სულისკვეთების მხარის დაჭერის წინააღმდეგ და, საერთოდ, მასიურ მუშაობაში ბიუროკრატიზმის ჯერ კიდევ მრავალი ელემენტების წინააღმდეგ. ჩვენ გადაჭრილი ნაბიჯი უნდა გადავდგათ პრაქტიკულად თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარებისა და ნამდვილი პროფკავშირული დემოკრატიის განვითარების საქმეში".

საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის რეზოლიუციიდან).

თბ. კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მასიური ორგანიზაციების, განსაკუთრებით, პროფკავშირების მუშაობის გამოცოცხლების საქმეს, საანგარიშო წლის განმავლობაში პროფკავშირების მუშაობაში ჩვენ ვხედავთ გარკვეულ წინსვლას (პროფაქტივის ზრდა, მუშაობის გადატანა საამქროში, საერთო კრებებზე დასწრების პროცენტის გადიდება და სხვ.).

დიდ წარმოებებში მოეწყო საამქრო პროფესიონალური უჯრედები, დელეგატთა ინსტიტუტი; საგრძნობლად გამოცოცხლდა და გაძლიერდა საწარმოო თათბირების და ეკონომიური თათბირების მუშაობა.

საწარმოო თათბირები

ავიღოთ ცალკე წარმოებები 1928 წელს, წინანდელთან შედარებით, საწარმოო თათბირებზე დასწრება ტყავტრესტის ქარხანაში გადიდდა 31 პროცენტით, თამბაქოს ტრესტში—12 პროცენტით, ლითონტრესტში—12 პროცენტით. საწარმოო თათბირთა მუშაობაში საჭიროა აღინიშნოს შემდეგი მთავარი დეფექტები: თათბირთა გადაწყვეტილებები ხშირად ცხოვრებაში არ ტარდება; სამეურნეო მუშაკები და ინჟენერ-ტეხნიკოსები სუსტად იღებენ მონაწილეობას საწარმოო თათბირების მუშაობაში; ჯერ კიდევ არ არის საკმარისი თათბირზე დასწრებაც, უნდა აღინიშნოს კიდევ, რომ სამეურნეო ორგანიზაციები არ აწარ- ცხოვრებაში გატარების შედეგს წარმოად- მოებენ იმ ეკონომიის აღრიცხვას, რომელიც საწარმოო თათბირების გადაწყვეტილებათა გენს.

მუშათა კრებები

რამდენიმე სიტყვა მუშ. კრებების მუშაობის შესახებ. თბილისის კომიტეტის დირექტივები იმის შესახებ, რომ მუშათა კრებებზე ისმებოდეს სამეურნეო და ყოფა-ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები, ადგილებზე ჯერ კიდევ არ ტარდება ცხოვრებაში. კრებებზე ხშირად ისმება უმნიშვნელო საკითხები, რომლებიც არ აინტერესებს მუშათა მასას. მუშათა კრებების გადაწყვეტილებები ხშირად ცხოვრებაში არ ტარდება. და ეს გარემოება იწვევს აქტივობის დაწევას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთ პროფესიონალურ ორგანიზაციებში ადგილი აქვს ბიუროკრატიზმს და მუშათა მოთხოვნილებებისადმი უყურადღებო დამოკიდებულებას. პროფკავშირთა მუშაობაში ძირითადი დეფექტია თვითკრიტიკის სუსტი განვითარება. ჩვენს შორის ამოცანას შეადგენს პროფკავშირთა მასიური მუშაობის გაძლიერება, მუშათა ფართო კრებების მუშაობის გაუმჯობესება, პროფკავშირებში დემოკრატიისა და თვითკრიტიკის განმტკიცება, ბიუროკრატიზმის მოსპობა და სხვ. საჭიროა აგრეთვე გაძლიერება პარტიული ხელმძღვანელობის, რომელიც ზოგიერთ წარმოებებში მოიკოჭლებს, უნდა მუდამ გვახსოვდეს, რომ „პროფკავშირები კომუნიზმის სკოლაა" (ლენინი), ის ძირითადი მასიური ორგანიზაციაა, რომელიც პარტიის ირგვლივ რაზმავს მუშათა ფართო მასებს.

თბილისის საბჭოს მასიური მუშაობა

ახლა გადავიდეთ თბილისის საბჭოს მასიურ მუშაობაზე.

1927 წელს თბილისის საბჭოს წევრთა დასწრება უდრიდა 27,2 პროცენტს, ხოლო 1928 წელს—52,4 პროც.; დასწრება სექციებში უდრიდა 1928 წელს 56 პროცენტს, წინააღმდეგ 1927 წლის 32 პროცენტისა. საბჭოს სექციებში მუშაობდა 843 კაცი, მათ შორის 231 მიმაგრებული. პირველად საბჭოზე მიმაგრებული იყო 800 კაცი, მაგრამ შემდეგ მას ბევრი ჩამოშორდა.

1927 წელს არსებობდა დეპუტატთა მაგიდები, ამჟამად კი არც ერთი მათგანი არ მუშაობს. აქედან ცხადია, რომ მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა, საბჭოს მასიური მუშაობა მაინც სუსტადაა დაყენებული. მთავარი ნაკლია—თვითკრიტიკის სუსტი განვითარება, საჭიროა აღინიშნოს, რომ შარშანდელ არჩევნების გადადებამ ნაწილობრივ შედეგად მოჰყვა საბჭოთა მასიური მუშაობის შესუსტება.

მომავალში საბჭოების გადარჩევა იწარმოებს ყოველწლიურად, რომ საბჭოების მუშაობაში ჩაბმულ იქნან ახალ-ახალი კადრები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასიური მუშაობის გაძლიერებას.

განსაკუთრებული კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს დასწრების მნიშვნელოვანი ზრდა 1929 წლის საანგარიშო გადარჩევის კამპანიას დროს. 1928 წელს საანგარიშო კრებებზე დასწრება უდრიდა. საშუალოდ 51,4 პროცენტს, ხოლო 1929 წელს ორგანიზაციებში დარაზმული მოსახლეობის საშუალო დასწრება უდრის 82 პროცენტს, ხოლო მოსახლეობისა, რომელიც ორგანიზაციების გარეშეა—63,7 პროცენტს. საარჩევნო კრებებზე დასწრება 1927 წელს უდრიდა 56 პროცენტს, ხოლო 1929 წელს (წინასწარის ცნობებით) უდრის 89,6 პროცენტს.

მუშაობა ქალთა შორის

ქალთა შორის მუშაობა უკანასკნელ წელში რამდენიმედ გამოცოცხლდა. თბილისში ქალთა აქტივი გაიზარდა 1.019-მდე. სადელეგატო კრებებში მონაწილეობას იღებს 884 ქალი, მათ შორის მუშა-ქალები შეადგენენ 55 პროც., ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სადუქნო კომისიების მუშაობაში, რომელიც 50 ქალისაგან შესდგება, თბილისის მაზრაში ირიცხება 1023 დელეგატი-ქალი. უნდა აღინიშნოს ქალთა შორის მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობა პარტიული ორგანიზაციების მხრივ. ზოგიერთი უჯრედი ფიქრობს, რომ მუშაობა ქალთა შორის მხოლოდ ქალთა ორგანიზატორის საქმეა. ეს სწორი არ არის. ჩვენ მომავალში უნდა გავაძლიეროთ პარტიული უჯრედების მუშაობა ქალთა შორის. გარდა ამისა, პროფესიონალურმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ ქალთა ორგანიზაციებს.

რამდენიმე სიტყვა ნებაყოფლობითი საზოგადოებების შესახებ. ნებაყოფლობითი საზოგადოებების უჯრედთა და წევრთა რიცხვითად იზრდება, ამ საზოგადოებებს 1927 წელში ჰქონდათ 840 უჯრედი და აერთიანებდნენ 77.000 წევრს, ეხლა არის 1040 უჯრედი და 97.000 წევრი, რაოდენობის მხრივ ნებაყოფლობით საზოგადოებათა მუშაობაში არის საგრძნობი წარმატება, მაგრამ ხარისხის მხრივ, გარდა ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოებისა და თავდაცვა-ავიაქიმისა, მათი მუშაობა მოიკოჭლებს.

მუშათა კლასის პოლიტიკური განწყობილება

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ განვლილ წელს განვიცადეთ და ამჟამადაც განვიცდით ბევრ სამეურნეო სიძნელეს (სამრეწველო საქონლის, საკვები პროდუქტების ნაკლებობა, შეფერხება პურის მიწოდების საქმეში და სხ.), მუშათა კლასის პოლიტიკური განწყობილება სავსებით მტკიცეა. ამის დასახასიათებლად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტები: ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის ობლიგაციები უნდა გასაღებულიყო 1 მილიონი მანეთისა; მუშებსა და მოსამსახურეებს შორის ყოველგვარი იძულების გარეშე თბილისში გასაღდა 1 მილიონი 875 ათასი მ. ობლიგაცია ინდუსტრიალ. მეორე სესხის ობლიგაციები უნდა გასაღებულიყო 2.080.000 მანეთის რაოდენობით, ხოლო გასაღდა 5.879.000 მ. რაოდენობით, მეორე ფაქტი: საცდელი მობილიზაციის დროს, რომელიც ზაფხულზე ჩატარდა, შესაკრებ პუნქტებზე გამოცხადდა მუშათა და მოსამსახურეთა 100 პროც. მესამე ფაქტი: პროფკავშირთა სამხედრო ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მუშათა და მოსამსახურეთა მთელმა 100 პროც. ყოველივე ეს მოწმობს პარტიის გავლენის გაძლიერებას მუშათა კლასში, მუშების კლასობრივი პოლიტიკური შეგნების ზრდას. ავიღოთ კიდევ ერთი ცოცხალი ფაქტი: საბჭოთა არჩევნები. საარჩევნო კრებებზე მუშების დასწრება უდრის 90—95 პროც. კომუნისტური ფენა მუშათა მასებს შორის საგრძნობლად გაიზარდა. მსხვილ წარმოებაში 1928 წლის 1 ივნისისათვის კომუნისტების და კომკავშირელების რიცხვი შეადგენდა 41,2 პროც.; ხოლო 1929 წლის 1 იანვრისათვის—52,7 პროც. ძლიერ გაიზარდა მუშების ლტოლვა კომპარტიისაკენ, რასაც ნათლად ამტკიცებს 618 მუშა, აქტივისტის განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ამოცანები—ჩვენი ქვეყნის თავდაცვა, ინდუსტრიალიზაცია, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და სხ. საკმაოდ შეითვისეს მუშათა მასებმა. მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი მტკიცდება სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში.

სოფლად მუშაობის საკითხები

გლეხობის ფენებად დაყოფა

სოფლად მუშაობის და გლეხობის პოლიტიკურ განწყობილების განხილვა დავიწყოთ გლეხ. ფენებათ დაყოფის საკითხიდან, ჩვენ არ გვაქვს სწორი ცნობები სოციალური ფენებად დაყოფის შესახებ, მაგრამ გვაქვს ზოგიერთი ცნობა, რომლის საშუალებით შეიძლება წარმოვიდგინოთ სოფლის სოციალისტურ ფენებად დაყოფის დაახლოებითი სურათი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვის მასალების მიხედვით თბილისის მაზრის გლეხობის 40,1 პროც. სრულებით არ ჰყავს მუშა-საქონელი, 56,8 პროც. ჰყავს 1—3 სული მუშა-საქონელი, 3—6 პროც. ჰყავს 3 სულზე მეტი საქონელი. იმავე ცნობების თანახმად, 1929 წელში მეურნეობათა რიცხვი, რომლებსაც ჰქონდა 0-დან 1 დესეტინამდე ნათესი, შეადგენდნენ 59,1 პროც., 1-დან 3 დესეტინამდე—36,1 პროც., 3-დან 6 დეს.-მდე—3,9 პროც., 6-დან და მეტი—0,4 პროც. 1927 წელში მეურნეობანი, რომლებსაც ნათესი ჰქონდა 1 დესეტინამდე, შეადგენდნენ 54,8 პროც., 1-დან 3 დეს.-მდე 40,5 პროც., 3-დან 6 დეს.-მდე—4.6 პროც. და 6-დან და მეტი—0,1 პროც. ამ ცნობების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კულაკების რიცხვი თბილისის მაზრაში აღწევს 4 პროც.-მდე. მიმდინარე წელს ჩვენს მაზრაში ინდივიდუალური წესით დაბეგრილი იყო მეურნეობათა 2,2 პროც.

კონფერენციის დღიური

24 თებერვლის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. აზარაშვილისა და ასრიბეკოვის საბოლოო სიტყვები და ამხ. გ. სტურუას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის მუშაობის შესახებ.

საღამოს სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. გ. სტურუას მოხსენების გარშემო.

—

26 თებერვლის დილის სხდომაზე დასრულდა კამათი ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშის გარშემო და მოსმენილ იქნა ამხ. გ. სტურუას საბოლოო სიტყვა.

—

კონფერენციის საღამოს სხდომა შესდგა რუსთაველის თეატრში. სხდომას დაესწრო თბილისის ორგანიზაციის აქტივი. მოსმენილ იქნა ამხ. მამია ორახელაშვილის ვრცელი მოხსენება პარტიის იდეოლოგიური ფრონტის შესახებ ა.-კავკასიაში.

—

დღეს, დილის სხდომაზე, გაიხსნება კამათი ამხ. ორახელაშვილის მოხსენების ირგვლივ.

როგორ გვებრძვის კლასობრივი მტერი

უკანასკნელ წლებში სოფლად ადგილი აქვს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი: სოფელ ალგულალოში მოჯამაგირეები და კომკავშირელები გადასახადის კამპანიის პერიოდში ბრძოლას აწარმოებდნენ კულაკების მიერ დასაბეგრი ობიექტების დამალვის წინააღმდეგ, ამ ნიადაგზე კულაკმა აზრუმანოვმა, მოჰკლა კომკავშირელი და ჩააგდო იგი საკირეში. სოფელ სოღანლუღში არ არსებობს პარტუჯრედი, იქ არის მხოლოდ კომკავშირის უჯრედი. კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვისათვის წარმოებულ მუშაობაში, ერთ დღეს კულაკები შეიკრიბნენ, შეცვივდნენ კომკავშირის უჯრედის სხდომაზე და სცემეს იქ მყოფთ. სოფელ ალტაგლიაში ულარიბესმა გლეხებმა სახელმწიფოსაგან იჯარით აიღეს საძოვარი. ვიღაც კულაკმა საფრონოვმა თავისი საქონელი გარეკა ამ საძოვარზე და როცა ღარიბებმა უკანვე გადმორეკეს ეს საქონელი, მაშინ კულაკმა საფრონოვმა თავისი ნათესავების დახმარებით სცემა ღარიბებს. ამ საქმეში ჩაერია ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. კულაკებმა მასაც სცემეს. ბოროტმოქმედების ჩადენის დროს კულაკები ჰყვიროდნენ: „ჩვენ მზადა ვართ მივსცეთ საქონელი რამდენიც უნდა იყოს, მხოლოდ მოვიშოროთ ეს ძაღლები"-ო. ყოველივე ეს მოწმობს, რომ კლასობრივი ბრძოლა სოფლად გამწვავდა.

ჩვენი ამოცანაა—გავაძლიეროთ მუშაობა ღარიბებსა და მოჯამაგირეებს შორის, კიდევ უფრო განვამტკიცოთ კავშირი საშუალო გლეხობასთან საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი სისტემის საშუალებით, უკეთესად შევაკავშიროთ ღარიბ-საშუალო გლეხთა მასები, რათა უფრო გადაჭრით ვაწარმოოთ შეტევა კულაკური ელემენტების წინააღმდეგ.

მუშაობა ღარიბებს შორის

უკანასკნელ წელში თბილისის კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ღარიბთა შორის მუშაობას. საბჭოებთან, კოოპერაციასთან და სხ. ორგანიზაციებთან ჩვენ ჩამოვაყალიბეთ 74 ღარიბთა ჯგუფი. ამავე დროს ჩვენ ვატარებთ ამ ჯგუფების მუშაობის შემოწმებას. ყველა თემში მოწვეულ იქნა ღარიბთა ჯგუფების სათემო თათბირები, გარდა ამისა თბილისში ორჯერ ჩატარდა ღარიბთა ჯგუფების კონფერენცია. რამდენიმე სიტყვა ღარიბთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ჩვენმა საკრედიტო კოოპერაციამ 1927 წელში ღარიბ გლეხებს ღარიბთა ფონდიდან მისცა 21 900 მანეთი, საერთო საკრედიტო ფონდიდან—180.245 მანეთი. 1928 წელში ღარიბთა ფონდიდან გაცემულ იქნა 27.000 მანეთი, საერთო ფონდიდან—590.000 მანეთი, ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ პარტიის ხაზის დამახინჯებას კრედიტების განაწილების საქმეში. მოვიყვანოთ ერთი საინტერესო ფაქტი: მიმდინარე წლის იანვარში სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ფასანაურის თემს მისცა 550.000 მანეთი, ულარიბესი გლეხების კოოპერაციაში შესაკავშირებლად. საკრედიტო ამხანაგობამ ბანკს აცნობა, რომ ფასანაურში არ აღმოჩნდა გლეხები, რომლებსაც მოისურვებდნენ კოოპერაციაში შეკავშირება სახელმწიფო ხარჯზე. ამხანაგობა შუამდგომლობს, რომ აღნიშნული თანხა უკან არ წაიღოს ბანკმა და ფასანაურის საკრედიტო ამხანაგობამ გამოიყენოს სხვა დანიშნულებისათვის. ფასანაურში, არსებობს პარტუჯრედი, თემკომი; იციან თუ არა მათ ეს შემთხვევა? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არ იციან.

მანგლისში გლეხური მეურნეობანი, რომელთა შემოსავალი აღწევს 100 მან.-მდე, შეადგენენ 26 პროც., საკრედიტო ამხანაგობის წევრთა შორის—20,4 პროც., ხოლო მსესხებელთა რიცხვში—18 პროც. საგარეჯოში მეურნეობანი, რომელთა შემოსავალი უდრის 400 მან. მეტს, შეადგენენ 5,2 პროც., საკრედიტო ამხანაგობის წევრები—11,9 პროც.

მუშაობა მოჯამაგირეთა შორის

რამდენიმე სიტყვა მოჯამაგირეთა შესახებ, თბილისის მაზრაში აღრიცხვაზე გვყავს 7 500 მოჯამაგირე, რომელთაგან კავშირში გაერთიანებულია სულ 11 პროც.

კოლექტიური ხელშეკრულება ეხება მოჯამაგირეთა 20 პროც. მოჯამაგირეთა ინტერესების დაცვა სუსტად არის დაყენებული. ხშირად არ ატარებენ ცხოვრებაში მოჯამაგირეთა ინტერესების დამცველ კანონებს. სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის საქმიანობა ძალიან მოიკოჭლებს; კლასობრივი ხაზის დამახინჯება შენიშნულია ამ კავშირის ადგილობრივ კომიტეტებში. სართიჭალაში კავშირის წევრად მიღებულ იქნა კულაკი ფედოლოვი, რომელსაც ჰყავს სამი მოჯამაგირე. მუშ. კავშირმა ეს პირი კავშირში მიიღო თითქოს როგორც „წითელი კულაკი", „საბჭოთა კულაკი". ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი გომბორში, მოჯამაგირეთა კომიტეტის თავმჯდომარემ კავშირში მიიღო კულაკი, რომელმაც 25 მან. გადაიხადა კავშირის წიგნაკის ფასად, აი, როგორ ესმის ზოგიერთ ორგანიზაციას კლასობრივი პოლიტიკა. იმავე სართიჭალაში პროფკავშირში მიღებულ იქნა ყოფილი თავადი მუხრანსკი, რომელსაც რამდენიმე მოჯამაგირე ჰყავდა. ეს მუხრანსკი 22 წელში გორის მაზრიდან გააძევეს.

რა უნდა გამოსწორდეს

შევეხებით ღარიბთა შორის მუშაობის დეფექტებს. სახელმწიფოს მიერ გაღებული დახმარება ღარიბთათვის ყოველთვის არ აღწევს დანიშნულებისამებრ. ზოგიერთ ადგილას ღარიბთა ფონდს სწორედ არ იყენებენ. ულარიბესი გლეხობა სუსტად არის ჩაბმული კოოპერაციაში. იქ მისი მონაწილეობა უმნიშვნელოა. სუსტად არის დაყენებული მასიურ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ულარიბეს გლეხებს შორის. ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი ივიწყებენ, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, აგრონომიული წრეების მოწყობა და სხ., უპირველეს ყოვლისა უნდა სწარმოებდეს ულარიბესი გლეხობისა და მოჯამაგირეებისათვის. კლასობრივი მიდგომა საჭიროა კულტურულ მუშაობაშიაც. ამ მხრივ პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბებს და მოჯამაგირეებს. არსებობს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ქვედა საფეხურის ორგანიზაციები ჯეროვნად ვერ აფასებენ მუშაობას ღარიბ გლეხობას შორის. მაგალითად, სოფ. ბუდენოვკას უჯრედის მდივანმა ღარიბთა შორის მუშაობის გამო განაცხადა, რომ უჯრედმა ავტორიტეტი დაჰკარგა გლეხობას შორის. ფაქტების შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ უჯრედმა ავტორიტეტი დაჰკარგა შეძლებულ გლეხობას—კულაკებს შორის, რომლებიც განსაკუთრებით მტრულად არიან განწყობილი პარტიის მიერ ღარიბებს შორის მუშაობის წარმოების წინააღმდეგ. თვით ამ უჯრედის მდივანი წინააღმდეგია ღარიბთა ჯგუფების მუშაობისა და აღნიშნავს, რომ მუშაობა 3—4 ღარიბს შორის არ შეიძლება იქნას წარმოებული.

გლეხობის პოლიტიკური განწყობილება

ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში გატარებული კამპანიები გვაძლევენ წარმოდგენას თბილისის მაზრის გლეხობის პოლიტიკური განწყობილების შესახებ. ავიღოთ საცდელი მობილიზაცია, როდესაც გაწვეულნი იყვნენ არა მარტო გლეხები, არამედ ცხენებიც და მიმოსვლის საშუალებებიც. გლეხობა გამოცხადდა მთელი 100 პროცენტით.

ავიღოთ შემდეგ საბჭოების არჩევნები: საანგარიშო კამპანიაში საგრძნობლად გაზარდა ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივობა. დასწრების დამახასიათებელი საშუალო ციფრი არ მოგვეპოვება, მაგრამ ცალკე რაიონებში ესწრებოდა ამომრჩეველთა 80 პროცენტი. ძლიერდება მოჯამაგირეთა და ულარიბეს გლეხობის ლტოლვა პარტიისაკენ. ყოველივე ეს მოწმობს მშრომელი გლეხობის დადებით პოლიტიკურ განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

აქ უნდა აღინიშნოს ჩვენი პარტიული ხაზის დამახინჯების შემთხვევები საშუალო გლეხობის მიმართ. ზოგიერთ თემში საშუალო გლეხებს უარს ეუბნებოდნენ სესხის მიცემაზე, არ იღებდნენ საშუალო გლეხურის განცხადებას კოლექტიურ მეურნეობაში შესვლის შესახებ და სხვ. საშუალო გლეხი, ლენინის სიტყვით, ჩვენი სოფლის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს. ამიტომ მჭიდრო კავშირის დაჭერა საშუალო გლეხობასთან, ჩვენი პოლიტიკის ცენტრალური ამოცანაა. ჩვენ სასტიკად უნდა ვებრძოლოთ საშუალო გლეხობასთან კავშირის შეუფასებლობას, უფრო მეტად განვამტკიცოთ, პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასისა და სოფლის ღარიბთა ბლოკი საშუალო გლეხობასთან.

გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე.

---

*) გაგრძელება იხ. „კომუნისტი"-ს № 45

ლენინური პარტიის სიმტკიცე—პროლეტარული სახელმწიფოს თავდაცვის საფუძველია *)

წითელი არმიის თერთმეტი წლის თავზე ჩვენ კვლავ იძულებულნი ვართ აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი პერიოდის საერთაშორისო მოვლენები დაჟინებით მოითხოვენ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისაგან, რათა მან უაღრესი ყურადღება მიაქციოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის მომზადების და პირველ ყოვლისა ჩვენი შეიარაღებული ძალების შემდგომი განმტკიცების საკითხებს.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის დამახასიათებელ მთავარ მომენტს წარმოადგენს ომის საფრთხის ზრდა იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სწრაფი გამწვავების საფუძველზე, რომლებსაც ადგილი აქვთ როგორც ცალკე იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, ისე მათ გაერთიანებათა შორის.

ამავე დროს, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ზრდასთან ერთად, იზრდება წინააღმდეგობა მსოფლიოს იმპერიალიზმსა და საბჭოთა კავშირს შორის.

იმპერიალისტების აგრესიას რამდენადმე ასუსტებს წინააღმდეგობათა ზრდა მათ შორის და, პირველ ყოვლისა, ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატებისა და ინგლისის მეტოქეობის გაღრმავება. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, მსოფლიო იმპერიალიზმის ეს ორი ბუმბერაზი ერთმანეთს სასიკვდილოდ შეება. მეორეს მხრივ, ანტისაბჭოთა მოქმედებას ხელს უშლის მუშათა კლასობრივი მოძრაობის შეუჩერებელი ზრდა დასავლეთ ევროპაში, კოლონიებში და ამერიკაში.

ამ რთულ პირობებში საბჭოთა მთავრობის მეცადინეობის მიზანი იყო ომის მუდმივი საფრთხის თავიდან აცილება. ამ მხრივ ჩვენ არაფერს ვერიდებოდით, რომ თუნდაც მცირეოდნად, ეგრეთწოდებულ „მორალურ ვალდებულებათა" საშუალებით შეგვეზღუდა თანამედროვე იმპერიალიზმის საომარი ჟინი. ჩვენ ხელი მოვაწერეთ კელოგის პაქტს, ჩვენი ინიციატივით და მეცადინეობით ამ პაქტს ვადამდე მიეცა ძალა აღმოსავლეთ ევროპაში, თუმცა ამას აშკარა წინააღმდეგობას უწევდნენ ზოგიერთი უთვალსაჩინოესი ევროპიელი პოლიტიკური მესაჭენი ბურჟუაზიის ბანაკიდან. ჩვენ არ ვამწვავებდით წარმოშობილ კონფლიქტებს და ყოველთვის ვცდილობდით გამოგვენახა მათი მშვიდობიანად გადაწყვეტის ფორმები. თავის დროზე ჩვენ მოვითხოვეთ საყოველთაო განიარაღება, ეს წინადადება ისე გაიგეს გაბატონებულმა იმპერიალისტურმა ბლოკმა, როგორც იმპერიალისტური ევროპის ახლანდელ ბატონ - პატრონების „განიარაღება". იგივე ბედი ეწია ჩვენს წინადადებას ნაწილობრივი განიარაღების შესახებ.

როგორც მუშათა სახელმწიფო, ჩვენ ჯერჯერობით მარტოდ - მარტონი ვართ მთელს მსოფლიოში, თავდაცვის გასაძლიერებლად ჩვენ არ მივმართავთ სამხედრო კავშირების ორგანიზაციას და არ ვსდებთ სამხედრო შეთანხმებებს. ბურჟუაზიული დიპლომატიის ეს ჩვეულებრივი მეთოდი ჩვენთვის მიუღებელია და მას არც ვიყენებთ. ჩვენს ხელთ ერთად-ერთი მძლავრი საშუალებაა, რომელიც თავრალს აყრევინებს ჩვენს მტრებს, ეს საშუალებაა — მშვიდობიანობის პატიოსანი, აშკარა პოლიტიკა.

პროლეტარულ სახელმწიფოს ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია ამ პოლიტიკიდან. ამაში მდგომარეობს მშენებლობის გზაზე დამდგარი სოციალიზმის თავდაცვის ამოცანა.

ჩვენი შინაური პოლიტიკაც საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერებისაკენ იყო მიმართული. წითელი არმიის არსებობის მეთერთმეტე წელს ეს „გადახრა" (სიტყვამ მოიტანა: ძალიან სასარგებლოა წინააღმდეგ სხვა „გადახრებისა") პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში გაცილებით უფრო მკაფიოდ იჩენდა თავს, ვიდრე წინა წლებში. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა პარტიის შიგნით, პოლიტიკაში და მეურნეობაში იმ საფუძველთა განმტკიცება, რომლებზედაც დაფუძნებულია ჩვენი მშენებლობა და დამყარებულია საბჭოთა კავშირის თავდაცვა.

ჩვენს კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ამ საფუძვლებს შეადგენენ: პროლეტარიატის ლენინური პარტიის მთლიანობა და შემჭიდროება მუშათა კლასის მტკიცე განუკვეთელი კავშირი გლეხობის მშრომელ მასებთან, სამრეწველო ბაზის გაშლა - განვითარება, რომელსაც საფუძვლად უდევს მტკიცე, უცვლელი კურსი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე.

ბოლშევიკური პარტიის რიგების მთლიანობა და შემჭიდროება მთავარი წინასწარი პირობაა ნაყოფიერი მშენებლობისათვის საერთოდ და პროლეტარული სახელმწიფოს თავდაცვის საკითხების წარმატებით გადაჭრისათვის კერძოდ. ამის გასაგებად საჭირო არ არის, რომ ადამიანი განსაკუთრებული გამჭრიახი პოლიტიკოსი იყოს. რაც უფრო სუსტია ჩვენი პროლეტარული პარტია, რაც უფრო ძლიერია მასში მერყეობისა და მოდუნების ელემენტები, მით უფრო ცუდად სწარმოებს სოციალისტური მეურნეობის მშენებლობა, მით უფრო სუსტია ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა.

ჩვენი პარტია, გამარჯვებული მუშათა კლასის ავანგარდი, იყო და არის ამ კლასის შტაბი; მისი ხელმძღვანელი როგორც შეიარაღებულ ბრძოლაში, ისე ახალ სამეურნეო ფორმათა მშვიდობიან მშენებლობაში.

ამიტომ ჩვენი პარტიისათვის ბუნებრივია საბჭოთა კავშირის პროლეტარიატსა და მშრომელ მასების მოთხოვნანი, რომ იგი დარაზმულობისა, მთლიანობისა და შემჭიდროების ნიმუშს წარმოადგენს. კომუნისტური პარტია თანამოაზრეთა ნებაყოფლობით კავშირს წარმოადგენს, იმის მიხედვით, თუ თანამოაზრეთა ეს კავშირი რამდენად ერთსულოვნად აზროვნებს პროლეტარული რევოლუციის ძირითად საკითხებზე, რამდენად შემჭიდროებული გამოდის ეს კავშირი ყველა დანარჩენი კავშირების მიმართ, შეგვიძლია ვივარაუდოთ მთელი კლასის წარმატება. გამარჯვებული პროლეტარიატის პარტიას, რომელიც ყოველის მხრივ გარემოცულია მტრული კაპიტალისტური ელემენტებით, რომელიც ქვეყნის შიგნით სტიხია კერძო სამეურნეო ელემენტების გაავთრებულ წინააღმდეგობას, არ შეუძლია ხელი აიღოს ისტორიული გამოცდილებით შემოწმებულ ბოლშევიზმის შესანიშნავ ორგანიზაციულ პრინციპებზე. რა წამსაც ხელისუფლების სათავეში მდგომი მუშათა კლასის პარტია მთლიანობას დაჰკარგავს, რა წამსაც იგი მერყეობს დაიწყებს ან, ზოგიერთ „კეთილის მსურველთა" რჩევით, გადაიქცევა უსახო მასად, ეს პირველ ყოვლისა დაგვაუძლურებს, მიუხედავად იმისა; გვეყოლება ძლიერი არმია თუ სულ არ იქნება იგი.

ამიტომ ბრძოლა მემარჯვენე უკლონისტებთან, რომლებიც ჩუმ - ჩუმად ეწევიან მავნე მუშაობას, ბრძოლა სხვადასხვა „ულტრა მემარცხენეებთან" და უბრალო „მემარცხენეებთან", ბრძოლა პარტიული დისციპლინის დაცემასთან, შინაპარტიულ მოდუნებასთან, ბრძოლა ყველასთან; ვინც ვერ ხედავს გენერალური ლენინური ხაზიდან გადახვევის საშინელ საფრთხეს, — აბსოლუტურად აუცილებელია, კერძოდ; პროლეტარული რევოლიუციის თავდაცვის გაძლიერებისათვის.

ჩვენი პარტიის ისტორია საერთოდ, და ოქტომბრის შემდეგ განსაკუთრებით, საუკეთესოდ ადასტურებს ზევით ნათქვამს. ყველას გვახსოვს ბრესტის ზავის დადების დროს, იმ მძიმე დღეებში რევოლიუცია სასიკვდილო საფრთხეს განიცდიდა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. აზრების მთლიანობის უქონლობამ ბრესტის ზავის პირობების მიღების საკითხში არაჩვეულებრივად მწვავე ბრძოლა წარმოშვა მარტო ცენტრალურ კომიტეტში კი არა, არამედ მთელს პარტიაშიაც. „ვაი მემარცხენენი", როგორც მათ თავის დროზე უწოდებდა ლენინი, არყევდნენ პარტიული რიგების სიმტკიცეს და მათ მაშინ ჯერ კიდევ განუმტკიცებელი პროლეტარული რევოლიუცია კინაღამ არ დაღუპეს. მხოლოდ უდრეკმა ნებისყოფამ და გენიალობამ დიდი ილიჩისა, რომელმაც თავის გარშემო შემჭიდროვა პარტიის ყველაზე უფრო მტკიცე ელემენტები, უკუაქციეს „ვაი მემარცხენეთა" იერიში. ამ ისტორიულ გაკვეთილს, სამწუხაროდ, ხშირად ვივიწყებთ. ეს გაკვეთილი კი ბევრი რამის მასწავლებელია. იგი საუკეთესოდ ადასტურებს იმ დებულებას, რომ შეხედულებათა და ნებისყოფის მთლიანობა პარტიის რიგებში საუკეთესო საწინდარია რევოლიუციის თავდაცვის უნარიანობისათვის. პირიქით, ბრძოლა პარტიის შიგნით, მისი ძალების დაქსაქსვა ასუსტებს პროლეტარიატის წინააღმდეგობას მისი კლასობრივი მტრების მიმართ.

ამ აზრის სისწორეს ადასტურებს მეორე ისტორიული მაგალითიც. 1920 წლის დამლევს და 1921 წლის დამდეგს არაჩვეულებრივად მწვავე შინაპარტიულმა ბრძოლამ, რომელიც ტროცკისთან და მის თანამოაზრეებთან სწარმოებდა პროფკავშირების საკითხებზე, ძალიან შეარყია პოლიტიკურად და ორგანიზაციულად ჩვენი პარტიის რიგები. ეს გარემოება მაშინვე დაეტყო სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობას. ჩვენი პარტია საბჭოთა ქვეყნის ადამიანთა მასივის ცოცხალ ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველაფერი; რაც პარტიის შიგნით ხდება; ამა თუ იმ ზომით მთელს ქვეყანაზე გადადის.

კრონშტადტის აჯანყება ფლოტში დისციპლინის თვალსაჩინოდ შესუსტება იმ დროის სამხედრო ნაწილებში, სხვადასხვა მერყეობანი მუშათა კლასის ცალკე ფენებში, — ყოველივე ეს იმ შინაპარტიული ბრძოლის პირდაპირი შედეგი იყო, რომლის ზომამ უკიდურეს საზღვრებს მიაღწია. მხოლოდ ახლა, როდესაც საკმაო ისტორიული მანძილის გავლის შემდეგ ცდილობ ხელახლა განიცადო გონებით წარსული, ნათელზე - ნათელი ხდება, თუ რა საფრთხეს ვიმზადებდით ჩვენთვის შინაპარტიული ბრძოლის წყალობით. მხოლოდ მსოფლიოს იმპერიალიზმის სისუსტემ, 1921 წელს ევროპის ქვეყნებზე გადავლილმა რევოლიუციონურმა ქარიშხალმა საშუალება მოგვცა შედარებით უვნებლად გამოვსულიყავით იმ კრიზისიდან, რომელსაც მაშინ განვიცდიდით.

საინტერესოა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი, რომელიც აგრეთვე ადასტურებს ზემოთ ნათქვამს, თუმცა ცოტა სხვა მხრივ. 1923-24 წლების შინაპარტიული ბრძოლა იმით არის დამახასიათებელი, რომ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლით გატაცებულ ტროცკის რამდენიმე თავის თანამოაზრე — სამხედრო მუშაკებთან ერთად მხედველობიდან გაეპარა შინაპარტიული პრობლემები, რომლებიც ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიმწვავით წამოიჭიმნენ. ამ დროისათვის მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასული წითელი არმია შინაგან კრიზისს განიცდიდა. მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, შინაგანი წყობილება, მეთაურთა და პოლიტიკური კადრების პრობლემები, შევსება, სწავლება; შეიარაღება და მომარაგება — ყოველივე ეს თავის გადაჭრას ვერ პოულობდა და გულმოდგინე შესწავლის საგანს არ წარმოადგენდა იმათთვის, ვინც მოვალენი იყვნენ ამ საქმეს გაძღოლოდნენ. მათ საამისოდ არ ეცალათ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკუიქცა ტროცკისთან გამართული შინაპარტიული ბრძოლის ტალღა, ცენტრალური კომიტეტი პირისპირ მიუდგა არმიის მშენებლობის საკითხებს და ფრუნზეს მეთაურობით სამხედრო მუშაკების ახალ ბოლშევიკურ ჯგუფს წილად ხვდა უაღრესად ძნელი და საპატიო ამოცანა — ხელი მოეკიდა შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციისათვის. ახლა თითქმის სრულიად დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ თუ 1923-24 წელს იძულებულნი ვიქნებოდით იარაღისათვის მოგვეკიდა ხელი საბჭოთა საზღვრების დასაცავად, ჩვენს სახელმწიფოს უმძიმესი განსაცდელი მოევლინებოდა. ბრძოლის უნარიანობა შეიარაღებული ძალებისა, რომლებსაც უდიდესი და აუცილებელი შინაური სამუშაო არ შეესრულებინათ, მეტის-მეტად საეჭვო იყო.

მე ვფიქრობ, საკმაოა ამ ფაქტების აღნიშვნა, რომ ყოველმა კომუნისტმა, ყოველმა მუშამ, ყოველმა მშრომელმა შეიგნოს ის უმჭიდროესი და განუწყვეტელი კავშირი, რომელიც არსებობს, ერთის მხრით, ბოლშევიკური პარტიის ძლიერებასა და სიმტკიცესა და, მეორეს მხრით, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის საქმის სიმკვიდრეს შორის, ამიტომ ც. კ.-ის ყველა ღონისძიებანი, რომელთა მიზანს შეადგენს პროლეტარული პარტიის კონსოლიდაცია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე, ამავე დროს წარმოადგენს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც გააძლიერებენ თავდაცვის საქმეს.

მოსკოვის ორგანიზაციის ამბებს, რომლებიც პარტიამ გამოიარა წარსული წლის ოქტომბერსა და ნოემბერში, აუცილებლად უნდა მიეპყრათ წითელი არმიის მთელი პარტიული აქტივის სერიოზული ყურადღება. აქ საკვირველი არაფერია. პროლეტარული რევოლიუციის აშკარა მტრების ბანაკში დაქანებული ტროცკისტული ოპოზიციის ახლახან მომხდარმა ლიკვიდაციამ საშუალება მოგვცა სამხედრო მუშაკებს, რომ წითელი არმიის რიგებში ნამდვილად გაგვეშალა დადებითი მუშაობა შეიარაღებული ძალების პოლიტიკური აღზრდისა და ბრძოლის უნარიანობის გაძლიერების ხაზით. ჩვენს ყურადღებას არ აბნევდა შინაპარტიული ბრძოლა. წითელი არმიის 11 წლის თავზე ჩვენ ისევ შეშფოთებულნი ვართ. პარტიის მემარჯვენე-ოპორტუნისტული ელემენტები, სამწუხაროდ, იარაღს არ ჰყრიან, ისინი ჩუმ-ჩუმად ძირს უთხრიან ლენინური ხაზის საფუძვლებს. ცდილობენ რაიმე ფორმით საეჭვოდ გახადონ ის გენერალ. გეზი, რომლის მიხედვით ვითარდება პარტიისა და მუშათა კლასის პოლიტიკა. ჩვენ გვეშინია, ისევ ხომ არ გაგვაცდენს დადებით მუშაობას შინაპარტიული ბრძოლა? რას იზამ, თუ პარტიას უწერია შინაპარტიული ციებ-ცხელების გამოვლა, ჩვენ, როგორც ლენინური პარტიის ერთგული მებრძოლნი, არ შევანელებთ მუშაობას არმიის შიგნით და შემჭიდროებული რიგებით შევებრძოლებით მემარჯვენე-ოპორტუნისტულ საფრთხეს, პარტიამ ბევრი რამ ისწავლა 11 წლის შემოქმედებითი მუშაობის განმავლობაში, იგი საუცხოვოდ ერკვევა მიმდინარე მომენტის რთულ მოვლენებში. პანიკიორები გაჰყვირიან მაღალ-მაღალ ფრაზებს „მდგომარეობის გადარჩენის, ლენინური ხაზის გამოსწორების შესახებ" და სხვ. და ამ გზით ცდილობენ თავისი ოპორტუნისტული შეხედულებანი მოახვიონ პარტიას. ამ ცდებიდან არაფერი გამოუვათ. მთელი მათი მრავალფეროვნება ჩირის ფასადაც არა ღირს, ჩვენ ღრმად გვრწამს, პარტიას დიდი ენერგიის დახარჯვა არ დასჭირდება, რომ გადაბრუნოს ოპორტუნისტული მერყეობას და წინ გასწიოს ახალი მიჯნისაკენ პროლეტარიატის ისტორიულ გზაზე.

უდავოა და ნათელი, რომ ამაო იქნება სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებაზე ლაპარაკი, თუ ძმური კავშირი არ გვექნება გლეხობის მშრომელ მასებთან. ამ ანბანას თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გვასწავლიდა ლენინი, რომელიც წითელ არმიას ხშირად უწოდებდა მუშებისა და გლეხების შეიარაღებულ კავშირს. ნამდვილად ეს ასეც არის. ამიტომ მემარჯვენე „უკლონისტების" ლაპარაკს იმის შესახებ, რომ პარტია და მისი ხელმძღვანელი ორგანოები ივიწყებენ ან საკმაო ყურადღებით არ ეკიდებიან გლეხობის ინტერესებს, სხვა არაფერი შეგვიძლია უწოდოთ, თუ არა მავნე პოლიტიკური ლაყბობა. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მთელმა პარტიამ მე-12 წელს დაივიწყოს ლენინური ანბანა და უყურადღებოდ დასტოვოს გლეხობის ინტერესები. ეს ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია ის, რომ მთელი მილიონ ნახევრიანი პარტია ერთსა და იმავე დროს გავიჟდეს. მაგრამ შესაძლებელიც და ფაქტიც ის არის, რომ ზოგიერთი ვაი „კომუნისტები" გლეხობას ერთ გროვაში აქცევენ და ვეღარ არჩევენ მის ფლანგებსა და შუა ნაწილებს. ხშირად კულაკური ფლანგის ინტერესებს, ამ ფლანგის ყვირილს მთელი გლეხობის ინტერესებად ასაღებენ, ლენინი გვასწავლიდა, რომ სასტიკად გავარჩიოთ ერთმანეთისაგან გლეხობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფები, დავემყაროთ ღარიბ გლეხობას და მტკიცე კავშირი დავიჭიროთ საშუალო გლეხობასთან სოციალიზმის შეურიგებელ მტრის—კულაკის წინააღმდეგ. ამ ჟამად წითელი არმია 66 პროცენტით გლეხობის არმიას წარმოადგენს. მაგრამ მისი გლეხური ნაწილი მხოლოდ საშუალო და ღარიბი ფენებისაგან შესდგება. გამწვავებული შინაური კლასობრივი ბრძოლის პირობებში ჩვენ განსაკუთრებული სიფხიზლით ვეკიდებით არმიის კლასობრივი შემადგენლობის საკითხს. სწორედ ეს მიგვაჩნია წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის საფუძვლად. როდესაც შარშან, გადამრჩევი კომისიების სუსტი მუშაობის წყალობით, არმიაში მოხვდნენ კულაკები და კულაკების მიმდევრების შვილები, ისინი დაუნდობლად იქნენ იქიდან გამორიცხულნი. მუშათა კლასი გლეხობასთან კავშირს იჭერს არა მუდმივი ერთად ცხოვრების მიზნით, არამედ საერთო მეცადინეობისათვის (მუშათა კლასის ხელმძღვანელობით), რომლის მიზანია ახალი სოციალისტური უკლასო საზოგადოების შექმნა. სოციალისტური მშენებლობა ქალაქს არ სჯერდება, იგი ძალუმად იჭრება წვრილ მესაკუთრე სოფლელთა ურთიერთობაში და აყალიბებს ამ ურთიერთობას ახალ საფუძველზე გლეხობის ძირითადი მასების ინტერესების თანახმად. ლენინი გვასწავლიდა, რომ ამ კავშირში ხელმძღვანელ კლასს წარმოადგენს პროლეტარიატი. ასევე ესმის ეს კავშირი წითელ არმიას. წითელ ნაწილებში აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემის მიზანია ახალგაზრდა გლეხის ხელახალი აღზრდა ლენინის რევოლიუციონური მოძღვრების საფუძველზე. ტყუილად კი არ ეწოდება წითელ არმიას სკოლაც, დიაღ, იქ სწავლობენ, ივსებენ სწავლას და იზრდებიან ჩვენი ხალხის შვილები—ასი-ათასობით. ეს რამდენიმე ასი ათასი წითელ არმიელი სოფელსა და ფაბრიკაში დაბრუნების შემდეგ, ახალი ცხოვრების მშენებლობის საუკეთესო აქტივისტებად ხდებიან. ეს არის მუშათა და გლეხთა კავშირის საუკეთესო ხაზი. ამ კავშირის განმტკიცება შემდგომაც მოხდება, მისი ნაყოფი იქნება სოფლის ცხოვრების თანდათანი გარდაქმნა.

სახელმწიფოს თავდაცვა რომ მტკიცე იყოს, საჭიროა სხვა ანდერძთა შორის ლენინის კიდევ ერთი ანდერძი გვახსოვდეს. „მეურნეობაში ჩვენ არამც თუ უნდა დავეწიოთ, არამედ უნდა გავუსწროთ კიდეც კაპიტალისტურ მსოფლიოს. ერთად-ერთი გზა საამისოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაა, მსხვილი მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის გაშლა-განვითარება, ქვეყნის სამრეწველო ბაზის განმტკიცება საერთოდ. უამისოდ გაგვეჭირდება იმპერიალისტების თავდასხმისაგან დაცვა".

ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის დროს ჩვენ ვემყარებით იმ მოსაზრებას, რომ ჩვენს წინააღმდეგ გამოვლენ არა მარტო სუსტი სახელმწიფოები თავისი მცირე ეკონომიური და ტეხნიკურ-საწარმოო რესურსებით. ფრანგი გენერლების საზაფხულო გასეირნების მხილების გამო, რუმინეთის სამხედრო წრეებმა აღიარეს, რომ ისინი თავის თავს უწოდებენ „წინავე ავანგარდს, რომელმაც უნდა გასძლოს მთავარი ძალების მოსვლამდე", ვინ არიან ეს „მთავარი ძალები?"

ევროპაში გაბატონებული იმპერიალისტური ბლოკი. თუ ლენინი გვასწავლიდა, რომ რაც შეიძლება ჩქარა გადავმსხდარიყავით „გლეხურ სოფლური და გაძვალტყავებული ცხენიდან"... „მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის, ვოლხოვსტროის ცხენზე და სხ. ეს პირველყოვლისა საჭიროა ქვეყნის თავდაცვისათვის თანამედროვე კაპიტალიზმის ამ მთავარი ძალების" უკუსაქცევად. თუ ისინი შეცდებიან კიდევ სინჯონ თავის ძალღონე.

ამიტომ, როდესაც ზოგიერთი ამხანაგები ლაპარაკობენ, რომ ჩვენ ინდუსტრიალიზაციის შეუფერხებელი ტემპი ავიღეთ, რომ ჩვენ ძალიან ვაჩქარებთ სამრეწველო მშენებლობას, ისინი მაშინ ლენინური ენით არ ლაპარაკობენ თავისი სურვილის წინააღმდეგ, ისინი დგებიან დამარცხების მოსურნეთა პოზიციაზე. რადგან ინდუსტრიალიზაციის გარეშე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ვერ უკუაგდებს კლასობრივ მტრებს.

კაპიტალისტური არმიების სამხედრო ტეხნიკა ძალიან განვითარებულია. მაგრამ, როგორც ვიცით, ტეხნიკას ჰქმნის საერთო ეკონომიკა, უმთავრესად, სამრეწველო ბაზა. ჩვენს კლასობრივ მტრებს საუცხოვოდ მოწყობილი სამრეწველო აპარატი აქვთ, რაც საშუალებას აძლევს მათ ჰქონდეთ ძლიერი სამხედრო ტეხნიკა. იმ მიზნით, რომ ჩვენ სათანადო ტეხნიკა გვქონდეს, საჭიროა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მოვახდინოთ.

ჩვენ უკვე გვაქვს საკუთარი ქარხნები, საკუთარი მანქანათმშენებლობა, ქიმია და მეტალურგია, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს საკმაოდ ძლიერი საწარმოო-ტეხნიკური აპარატი, რომელსაც შეეძლება მთლიანად დააკმაყოფილოს ჩვენი საჭიროებანი სამხედრო ტეხნიკის საქმეში. ასეთია მდგომარეობა დღეს, ხვალ კი შესაძლებლობა გვექნება ეს ნაკლი ავიცილოთ, რადგან ინდუსტრიის სწრაფად ზრდა მთლიანად შეასრულებს თავის ამოცანებს თავდაცვის საქმეში.

განვლილი წელიწადი სიძნელეთა წელიწადი იყო არა მარტო პარტიისა და ქვეყნისათვის. შინაურმა სიძნელეებმა უკვალოდ არ ჩაიარეს წითელი არმიისათვისაც. მათ წარმოშვეს სხვადასხვა ავადმყოფური მოვლენები როგორც წითელარმიელთა მასაში, ისე უფროსთა შემადგენლობაში. ყოველივე ამან გამოიწვია სხვადასხვა ხასიათის მერყეობა არმიის მშენებლობის ძირითადი საკითხების გარშემო უფროსთა შემადგენლობის ნაწილში. ბრძოლამ, რომელიც ასტყდა რეზოლიუციების სხვადასხვა ფორმულების გარშემო, თვალსაჩინო შეხლა-შემოხლა გამოიწვია უფროსთა შემადგენლობის ძირითად ჯგუფებს შორის, უმთავრესად, მის პოლიტიკურ შემადგენლობაში. იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც გამოხატავენ პოლიტშემადგენლობის ერთი ნაწილის მერყეობას, განსაკუთრებით სამწუხარო სახელი მოიხვეჭა ეგრეთწოდებულმა ბელორუსულმა რეზოლიუციამ. მასში მოცემულია არმიაში არსებული მდგომარეობის შემცდარი შეფასება, არმიის შიგნით არსებულ სიძნელეთა შემცდარი ანალიზი. მეტის-მეტად შავი ფერადებით არის დახატული ზოგიერთი ავადმყოფური მოვლენანი და გამოყვანილია შემცდარი დასკვნები. მაგალითად, რომელიმე უპარტიო სამხედრო სპეციალისტის წიგნაკიდან ერთს რომელსამე, ჩვენის თვალსაზრისით, არა სწორ ფორმულას იღებდნენ და ამის მიხედვით მთელი სამხედრო ლიტერატურის შესახებ მსჯელობდნენ. ერთს რომელსამე არადამახასიათებელ ფაქტს იღებდნენ უფროსთა შემადგენლობის ცხოვრებიდან და საერთო მოვლენად სახავდნენ და სხვ. გარდა ამისა, ბელორუსულმა დოკუმენტმა (ისევე, როგორც მეორემ ტოლმაჩევის სამხ.-პოლიტ. აკადემიის დოკუმენტმა) საეჭვოდ მიიჩნია ერთ-უფროსობის სისტემა წითელ არმიაში. საეჭვოდ გადააქცევს ამ სისტემის პოლიტიკური მიზანშეწონილება, და, ამის გამო, საეჭვოდ გახადეს საერთოდ პარტპოლიტხელმძღვანელობის სისწორე არმიაში.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს დასჭირდა განსაკუთრებული დაჟინების და ბოლშევიკური სიმტკიცის გამოჩენა, რომ ცენტრალური კომიტეტისა და მთელი სამხედრო პარტორგანიზაც. დახმარებით მოესპო მავნე შინაპარტიული შეხლა-შემოხლა და ამავე დროს ზიანი არ მიეყენებინა არმიის ბრძოლის უნარიანობისათვის და შეიარაღებული ძალების მშენებლობისათვის. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას: შემცდარ ამხანაგების უმრავლესობამ ბოლშევიკური გამბედაობა გამოიჩინა და გულწრფელად, მთლიანად და ბოლომდე აღიარა თავისი შეცდომები. ეს საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს იმისათვის, რომ ყველა კომუნისტის შემდგომი ერთსულოვანი მუშაობა სწარმოებდეს წითელი არმიის რიგებში.

განვლილი წელიწადი გარდატეხის წელიწადს წარმოადგენდა ჯარების საბრძოლო მომზადების საქმეში. 1924 წლის რეფორმის შემდეგ, უფროსთა შემადგენლობის ენერგიული მუშაობის მეოხებით წითელ არმიას წინა წლებთან შედარებით მეტის უფლებით შეეძლო აღენიშნა თვალსაჩინო წარმატება ჯარების სწავლა-მეცადინეობისა და აღზრდის საქმეში, საერთოდ ჩვენ წარმატებით გავიარეთ არმიის მომზადების საშუალო კლასები და თამამად შევდგით ფეხი შემდეგ, უმაღლეს კლასში, რომელშიაც ჯარებმა, მათი რევოლიუციონური ხასიათის თანახმად, უნდა შეითვისონ მოძრაობის, სითამამის და მანევრის უნარიანობის ტაქტიკური გრძნობები.

სამხედრო-რევოლიუციონურმა საბჭომ შემდეგი სიტყვებით ჩამოაყალიბა მიმდინარე წლის ამოცანები: „ხელსაყრელი პირობების შექმნა უფროსთა შემადგენლობის აქტივობისა, თაოსნობისა და პასუხისმგებლობის გამოსაჩენად, წითელ არმიელებში აქტიური დამოკიდებულების განვითარება საბრძოლო მომზადების ამოცანებისადმი, მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობის უმჭიდროესი კავშირი ამ მუშაობაში, პარტორგანიზაციებისა და პოლიტაპარატების ყოველდღიური მონაწილეობა და დახმარება ამ მუშაობაში,—ყოველივე ამან უნდა გამსჭვალოს და შეადუღოს მომდ. წლის მთელი სასწავლო-საბრძოლო მუშაობა".

თავისი არსებობის მეთერთმეტე წელში წითელი არმია გადადის სოციალისტური მეურნეობის ზრდის ნათელი იმედით, მის ლოზუნგებად იქნება—სოციალიზმის განვითარებისა და განმტკიცების ლოზუნგები. მისი ამოცანა იქნება თავისი ძლიერების განვითარება და თავისი საბრძოლო თვისებათა გაუმჯობესება. მისი მიზანი იყო, არის და იქნება—ემსახუროს ერთგულ შეიარაღებულ დასაყრდნობ ძალად პროლეტარიატის დიქტატურას.

კ. ვოროშილოვი.

(გადმოცემულია ტელეგრაფით).

მოსკოვი, 23 თებერვალი.

---

*) ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ამხ. ვოროშილოვის წერილი ვერ წავიდა 24 თებერვლის ნომერში.

თბილისის IX პარტკონფერენცია

თვითკრიტიკა და აპარატის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი 1928 წ. 3 ივნისის მიმართვაში პარტიის ყველა წევრებისადმი აღნიშნავს, რომ „რეკონსტრუქციული პერიოდის ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია მასების გაბედულ, გადამჭრელ და თანდათანობით ჩაბმის გარეშე სოციალისტური მშენებლობის საქმეში, მთელი აპარატის შემოწმებისა და კონტროლის გარეშე ამ მილიონიან მასებზე მხრივ, მისი გაწმენდის გარეშე უვარგის ელემენტებისაგან", რომ „თვითკრიტიკის ლოზუნგი იმის მიუხედავად, თუ ვის შეეხება კრიტიკა, ჩვენი აპარატის კრიტიკის ლოზუნგი დღევანდელი დღის ერთ-ერთ ცენტრალურ ლოზუნგს წარმოადგენს".

მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება უთუოდ მოითხოვს თვითკრიტიკის ლოზუნგის ნამდვილ გატარებას, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას, აპარატის გაწმენდას უცხო და მტრულ ელემენტებისაგან. პარტიის დირექტივა თვითკრიტიკის დარგში არსებითად შეთვისებულია პარტიული ორგანიზაციის მიერ და გადაიქცა მისი დღევანდელი მუშაობის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად. თვითკრიტიკის განვითარებასთან დაკავშირებით იზრდება მასების აქტიური მონაწილეობა სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში, სამეურნეო მუშაობის დეფექტებთან და აპარატის ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში.

უდიდესი მიღწევა თვითკრიტიკის განვითარების საქმეში აქვს პრესის ორგანოების მუშაობას.

დეფექტები თვითკრიტიკის გატარებაში

მაგრამ თვითკრიტიკის ლოზუნგმა ჯერ კიდევ ვერ მოიცვა ფართო პარტიული და განსაკუთრებით უპარტიო მასები. თვითკრიტიკის ტალღამ ქვევიდან ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სათანადო სიმაღლეს. ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ დეფექტებს:

არა საკმაოდ დამუშავება პარტიის დირექტივისა თვითკრიტიკის შესახებ მუშათა ფართო მასებს შორის;

თვითკრიტიკის დირექტივის სუსტი განხორციელება ცალკე საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში, კერძოდ, პროფკავშირების, საბჭოების და კომკავშირის მუშაობაში;

მასიური მუშაობის არა დამაკმაყოფილებელი დაყენება და მუშა-მოსამსახურეთა ჯერ კიდევ სუსტი მონაწილეობა წარმოების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, საბჭოთა სამეურნეო აპარატის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში და სხვ.

სუსტი განხორციელება თვითკრიტიკისა პიროვნების განურჩევლად;

თვითკრიტიკის ზეგავლენის სისუსტე; ხელმძღვანელ ორგანოთა უყურადღებობა მუშაობის იმ დეფექტების აღმოფხვრისადმი, რომლებსაც ამჟღავნებენ მუშათა მასები (აგურის ქარხანა, სარინიდო პარკი, რკინის გზათა სამმართველო და სხვ.);

თვითკრიტიკის ძალით მიჩუმების ფაქტები, აქიდან კი დეფექტების განკრიტიკებლად აშკარად გამოსვლის შიში. ამასთან ერთად — ადგილ-ადგილ თვითკრიტიკის ლოზუნგის დამახინჯება;

საბჭოთა-სამეურნეო აპარატის და წარმოების ცალკე ხელმძღვანელთა მოწყვეტა მუშათა მასებისაგან და მათი ბიუროკრატიული დამოკიდებულება მასების კრიტიკისა და საქმიან წინადადებებისადმი; არ ამოწმებენ მუშათა კრებების გადაწყვეტილებებისა და ინსტრუქციების შესრულებას.

როგორია ჩვენი აპარატის სოც. შემადგენლობა

რამდენი სიტყვა ჩვენი საბჭოთა სამეურნეო აპარატის სოციალურ შემადგენლობის შესახებ. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა მოგვცა საბჭოთა აპარატის შემდეგი შეფასება: „დღევანდელ საბჭოთა აპარატში ჯერ კიდევ ბლომად არიან ძველი მოხელეთა ელემენტები ყოფილ გაბატონებულ კლასების ნაშთები, რომლებშიაც ჯერ კიდევ სცოცხლობს სიძულვილი საბჭოთა წესწყობილებისადმი. ბიუროკრატიული დამახინჯება, უყურადღებობა მშრომელთა საჭიროებებისადმი, აღმაშფოთებელი უგუნურება და საქმის დანაშაულობრივი გაჭიანურება ხშირად ძირს უთხრიან სახელმწიფო ორგანოთა მუშაობას.

სახელმწიფო-კოოპერატიული აპარატის ცალკე ნაწილები პირდაპირ გახრწნამდე მიდიან და ეზრდებიან მოსახლეობის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ელემენტებს, რითაც აუცილებლად ხდიან ამ ორგანოთა გაწმენდას. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო აპარატი მისი ძველი ჩინოვნიკური ფენების სახით თავის დაღს ასვამს მასში მომუშავე კომუნისტური შემადგენლობის განსაზღვრულ ნაწილს".

ამხანაგი ორჯონიკიძე მე-8 ყრილობაზე ამბობდა:

„ამა თუ იმ დავალების ან გადაწყვეტილების შეუსრულებლობაზე ლაპარაკის დროს, უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიიქცეს იმ გარემოებას თუ ვინ და როგორია შემსრულებელი. ეს მიგვიყვანს ჩვენ იმ საკითხამდე, თუ რას წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა აპარატი, მისი პერსონალური შემადგენლობა; ვინ არის ის ხალხი, რომლიმაც უნდა შეასრულოს ჩვენი გადაწყვეტილებები, ჩვენი დირექტივები. ვინ არის ის ხალხი, რომლებმაც ჩვენთან ერთად უნდა აშენოს სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში და, რომელიც უნდა დაგვეხმაროს ჩვენ თავისი მუშაობით დავეწიოთ და გავასწროთ დასავლეთ-ევროპის და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ჩვენი აპარატის შემადგენლობა საერთოდ შეიძლება დაიყოს სამი ტიპის მუშაკებად. ერთი—ეს არის შახტელების ჯგუფი, რომლებიც ყოველი ძალ-ღონით იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ, ესენი აშკარა მტრები არიან. ჩემის აზრით, სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ შახტელების პროცესით ჩვენ სავსებით აღმოვფხვრით შახტელებს ჩვენ დანარჩენ დაწესებულებებში. ასეთი მავნებლები ჩვენს აპარატში ცოტანი არიან. ეს მცირე რაოდენობის უმნიშვნელო უმცირესობაა. მათი ადგილი სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოშია.

ჩვენი აპარატის მეორე ნაწილი—ეს მოხელეებია, რომლებიც ხედავენ, იღებენ ჯამაგირს და სოციალიზმისათვის მაინც და მაინც თავ-პირს არ დაიმტვრევენ. ასეთ უძრავ, მოუქნელ მოხელეების საშუალებით, რა თქმა უნდა, მეტად ძნელია ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების აღმოფხვრა და აპარატის მომარჯვება მუშაობის სწრაფი ტემპისათვის და სხვა.

მესამე ჯგუფი—ეს ძველი და ახალი სპეციალისტები და მოსამსახურენი არიან, რომლებიც აღფრთოვანებით იბრძვიან ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობისათვის.

ჩვენ არ შეგვიძლია დღეს წამოვისროლოთ ლოზუნგი: შორს საბჭოთა აპარატიდან ყველა ის, ვინც თავის კლასიური მდგომარეობით პროლეტარი არ არის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვუთხრათ კიდეც საბჭოთა აპარატის ყოველ მოსამსახურეს, რომ მუშათა კლასი მოითხოვს მისგან სინდისიერად გაატაროს ცხოვრებაში მუშათა მთავრობის გადაწყვეტილებანი, და არ დაუშვას თავის მუშაობაში დამახინჯება, საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი, ხოლო ვისაც ეს არ სურს, მას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი ჩვენს დაწესებულებებში. ასეთ ვაჟბატონს უნდა მიეცეს ისეთი საბუთი, რომელიც სამუდამოდ მოუსპობს მას სამსახურში კვლავ შესვლის შესაძლებლობას.

რა უნდა ვქნათ? უნდა ვსწმინდოთ აპარატი უვარგის და მავნე ელემენტებისაგან. შახტის ტიპის ხალხი პირდაპირ უნდა გაიგზავნოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში, ხოლო ისინი, ვისაც არ სურს დაგვეხმაროს სერიოზად, ვინც არაფერს აკეთებს, ვინც ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას უწყობს ხელს, უნდა განიდევნოს აპარატიდან და მათი ადგილი ახალმა მუშაკებმა უნდა დაიჭირონ. დაწინაურების საქმე ფართო ნიადაგზე უნდა იქნეს დაყენებული. ამ საქმეს სერიოზულად უნდა მივუდგეთ, რომ არ შეიქმნეს შემდეგი მდგომარეობა: მუშას ვაშორებთ ქარხანას, გადაგვყავს იგი აპარატში, მას კი ვერ უპოვია თავისი ადგილი, არ იცის რა გააკეთოს, მას ხვდება მტრული ატმოსფერა, და ბოლოს გამოდის არა დაწინაურება, არამედ უკან დაწევა. აქ, ამხანაგებო, დიდი მუშაობა ეკისრება პარტიას, პროფკავშირებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს, მათ გარდა ამ მუშაობას ვერავინ შეასრულებს".

რა მდგომარეობაა ჩვენში?

საბ. აპარატის გაწმენდისათვის

ქალაქის რაიონში ჩვენ გამოვიკვლიეთ 64 დაწესებულება და მივიღეთ შემდეგი სურათი: 1928 წელს მუშების რიცხვი შემცირდა 5 პროცენტით, პარტიის წევრთა და კომკავშირელთა კადრი გაიზარდა მხოლოდ 1 პროცენტით, თავადაზნაურული ელემენტების რიცხვი გაიზარდა 1 პროცენტით. ეს უკანასკნელნი აღნიშნულ 64 დაწესებულებაში შეადგენენ 18,5 პროცენტს. ამრიგად საბჭოთა აპარატში მცირდება მუშათა კადრი, აპარატის გამუშურების ნაცვლად, ჩვენ ვხედავთ უცხო ელემენტების რიცხვის ზრდას, საკითხავია— როგორ ასრულებენ ამ 64 დაწესებულების ხელმძღვანელები ჩვენი პარტიის დირექტივას. როგორ ახერხებენ ისინი აპარატის კომუნიზაციის ნაცვლად, „აზნაურიზაციის" ჩატარებას. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ უმსგავსოებასთან ბრძოლა სუსტად სწარმოებს, გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს პარტიის დირექტივების შეუსრულებლობას, უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო აპარატის წმენდა უცხო ელემენტებისაგან. ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატებში ჯერ კიდევ ძლიერია პროტექციონიზმი. აღნიშნულ 64 დაწესებულებაში ბირჟისა და პარტიული ორგანოების გარეშე, ასე ვთქვათ, „შემოვლილი გზით" მიღებულია 344 კაცი.

ამხანაგებო, ეს რა „შემოვლილი გზებია"? აქ უთუოდ ადგილი აქვს პროტექციონიზმს. მაშასადამე, პროტექციონიზმის წინააღმდეგ მიმართული ვრცელი რეზოლუციებისა და სათანადო დადგენილებების მიუხედავად, ყველაფერი თავის რიგზე ვერ არის. ამიტომ ბიუროკრატიზმთან და პროტექციონიზმთან ბრძოლის ამოცანა უნდა მოექცეს თბილისის კომიტეტის და ყველა ჩვენი უჯრედების ყურადღების ცენტრში.

დაწინაურება

1927 წლის 1 ივლისიდან 1928 წლის 1 დეკემბრამდე სულ დაწინაურებულია 187 კაცი, აქიდან 24 უპარტიო. ეს არ შეიძლება საკმაოდ ჩაითვალოს. ჩვენ საკმაოდ შესწავლილი არა გვყავს მუშათა აქტივი და დაწინაურება ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებს. ეს მდგომარეობა ნორმალური არ არის და ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ დაწინაურებულ მუშებს მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაში, ამ მხრივ ადგილი აქვს შეზღუდულ მოვლენას. დაწინაურებულ მუშებს დაწესებულებები ხშირად მტრულად ხვდებიან. ერთ-ერთმა დაწესებულების ხელმძღვანელმა დაწინაურებულ მუშის შესახებ განაცხადა, რომ მას შეუძლია იყოს დაწესებულებაში, მხოლოდ როგორც პენსიონერს და იაროს მხოლოდ ჯამაგირის მისაღებადო. ასე უმღერიან ხელს დაწინაურებულ მუშებს ზოგიერთი კომუნისტები იმის ნაცვლად, რომ დაეხმარონ მათ.

პოლიგრაფტრესტში მუშაობს ამხ. ხარაზიანი. ზოგიერთი ადგილობრივი აქტიური კომუნისტები, იმის ნაცვლად, რომ დაეხმარონ, შედიან მასთან და ლანძღავენ მას. თუ ამხ. ხარაზიანი ბიუროკრატია, ეს საკითხი უნდა დასვან სათანადო უჯრედში, განიხილონ იქ და მიიღონ სათანადო ზომები, ხოლო მანამდე კი არ უნდა ლანძღავდნენ, არამედ უნდა ეხმარებოდნენ მას.

ავიღოთ მეორე მაგალითი—ამხ. ფრიდონოვი. განა ფრიდონოვი ცუდი მუშაკია? მაგრამ იმის ნაცვლად, რომ დაეხმარონ მას, პირიქით, ლანძღავენ.

რამდენიმე სიტყვა ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ეს დირექტივა ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. ჩვენ ხელთა გვაქვს 1927—28 წლის პირველი ნახევრის ცნობები.

ავიღოთ ცალკე წარმოებანი და დაწესებულებანი. საპონ-ზეთის ქარხანაში ეს ხარჯები შემცირებულია 86.2 პროც., რასაკვირველია, საპონ-ზეთის ქარხანა არ უნდა ამაყობდეს ამით, ალბად შტატი იყო იქ წინად გაბერილი, და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები —მაღალი. ტყავტრესტში ხარჯები შემცირებულ იქნა 25 პროცენტით, სატყეო ტრესტში—22 პროცენტით, კომუნალურ ბანკში—23,9 პროცენტით. მაგრამ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება 20 პროცენტით, რაიც სავალდებულოა, უმეტეს შემთხვევაში არ ჩატარებულა. თბილისის აღმასკომში მაგალითად, ხარჯების შემცირება შეადგენს 16 პროცენტს, პარტიის და ხელისუფლების ამ სავალდებულო დირექტივის შეუსრულებლობა დაუშვებელია. ბევრ საბჭოთა დაწესებულებაში შტატების შემცირების ნაცვლად ადგილი აქვს გადიდებას. უკანასკნელ წელში 64 დაწესებულებაში შტატი გაიზარდა 7,15 პროცენტით.

ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან

რაც შეეხება ეგრედწოდებულ საქმის გაჭიანურებას, ამ მოვლენის დასახასიათებლად მოგიყვანთ ორ მაგალითს. პირველი მაგალითი შეეხება თბილისის უძრავ ქონებათა სამმართველოს. საკითხი შესწავლილი იყო აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ და გამოირკვა შემდეგი: ბინის მისაღებად კაცმა უნდა გაიაროს 19 ინსტანცია, 19 მაგიდა; ოთახზე ან დარაბაზე ნებართვის აღებისათვის კაცმა მთელი თვე უნდა იაროს ამ ინსტანციებში. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად მოხდება უძრავ ქონებათა სამმართველოს სრული რეორგანიზაცია, რის შედეგადაც წლიურად მივიღებთ 100.000 მანეთის მომგებიანობას და შემოკლდება ბიუროკრატიული შტატი—მუდმივი მუშაკების შტატი შემცირდება 87 კაცით, დროებითი მუშაკების რაოდენობა შემცირდება 30 კაცით. რეორგანიზაციის შემდეგ დარჩება 8 ინსტანცია. რასაკვირველია, ისეც ბევრია; ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ დარჩეს მხოლოდ 2—3 ინსტანცია, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ 8 ინსტანციამდე შემცირებაც დიდი მიღწევა იქნება აღმასკომის აპარატის რაციონალიზაციის საქმეში შემდგომი მუშაობა რაციონალიზაციის დარგში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

მეორე მაგალითი: „რკინის გზის სამმა ხათადარიძე აგინმა თიუზაძემ, ამეროვმა და გარინმა 1925 წლის 18 მარტს სამი სარჩელი აღძრეს შრომის სასამართლოში. ისინი მოითხოვდნენ დიდი ხარჯებს მივლინებისათვის. ამგვარად წარმოიშვა სამი დამოუკიდებელი საქმე. ყოველი ამ საქმეთაგანი რამდენჯერმე გაირჩა სხვადასხვა ინსტანციაში. თიუზაძის საქმე 20-ჯერ, ამეროვის 21-ჯერ და გარინის—22-ჯერ. ამასთანავე ეს საქმეები სახალხო სასამართლოში ცალკ-ცალკე გაირჩა თითოჯერ. სახალხო ინსტანციამ ორჯერ გამოიტანა ერთი და იგივე გადაწყვეტილება და ორჯერ ამის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. შემდეგ ყველა ეს სამი საქმე გაერთიანებულ იქნა ერთ საქმედ და შრომის სასამართლომ 1928 წლის 26 ივნისს გადაწყვეტილება გამოიტანა მოჩივართა სასარგებლოდ.

1928 წლის 4 სექტემბერს უზენაეს სასამართლოს სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება. სამი თვის შემდეგ სახელდობრ 1928 წლის 18 დეკემბერს უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმმა შეიტანა ის საქმე რისპროკურორის პროტესტის გამო და შესწავლაზე იქნა, როგორც ისეთი საქმე, რომელიც სასამართლოს მიერ არ უნდა იქნას გარჩეული ამგვარად. ეს საქმე სხვადასხვა ინსტანციებში მოსმენილ იქნა 65-ჯერ. დაიწყო 1925 წლის 18 მარტს და დამთავრდა 1928 წლის 12 დეკემბერს. ე. ი. გაჭიანურდა 3 წელი და 9 თვე და ბოლოს გამოირკვა, რომ ეს საქმე არ უნდა გაერჩია სასამართლოს.

(დასასრული იქნება)

მერვე სხდომა

მისალმებანი კონფერენციას

22 თებერვლის, საღამოს სხდომაზე კონფერენციას მიესალმნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამხ. ზავრიევი

(პოლიტექნ. ინსტიტუტი)

სოციალისტური მშენებლობა, პარტიის წინაშე აყენებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანებს. ჩვენი სასწავლებელიც სწორედ ამ საქმეს ემსახურება; პოლიტექნიკური ინსტიტუტი ყოველწლიურად სპეციალისტთა ახალ-ახალ კადრებს მატებს საბჭოთა სახელმწიფოს. ის დახმარება, რომელსაც სკოლა ღებულობს პარტიისაგან და ხელისუფლებისაგან, თავდებია იმისი, რომ საერთო ძალ-ღონით ჩვენ შევძლებთ ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანების განხორციელებას.

ამხ. დავიდოვი

(ს. კ. ი. სტუდენტი)

ჩვენი სასწავლებლის ამოცანები გამომდინარეობს პარტიის საერთო ამოცანებიდან. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იზრდება და თეორიულად იჭედება ის ახალგაზრდობა, რომელთა სახითაც პარტიას ეყოლება არა მარტო სპეციალისტები, არამედ საზოგადოებრივი მუშაკებიც.

ამხ. ვასაძე

(რუსთაველის თეატრი)

დღევანდელი დღე ხელოვნების მუშაკთათვის ორნაირად ბედნიერი დღეა: ამ დღეებში სრულდება საქართველოს გასაბჭოების 8 წლის თავი და ქართული საბჭოთა ახალი თეატრის 8 წლის თავი. გაუმარჯოს კლასობრივ კულტურას და გაუმარჯოს მეცხრე პარტკონფერენციის ნაყოფიერ მუშაობას.

მისალმებების მოსმენის შემდეგ გრძელდება კამათი.

ამხ. ლ. სალუქვაძე

ამჟამად ბევრს ვლაპარაკობთ მემარჯვენე გადახრის შესახებ. ეს გადახრა ყოველდღიურად ახალ-ახალ გამოხატულებას პოულობს. თუ წარსულში მემარჯვენე გადახრა გამოიხატებოდა იმაში, რომ ზოგიერთი მერყევი ელემენტი სკეპტიკურად უყურებდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეს, ეხლა ისინი უკვე პოზიციებს უთმობენ კლასობრივ მტერს. რაში გამოიხატება პოზიციების დათმობა?

საბჭოთა აპარატში გაიზარდა თავად-აზნაურთა პროცენტი, მათი სამსახურში მოწყობა კი ხდება ზოგჯერ კომუნისტების დახმარებით. ამავე დროს ეს „კომუნისტები" უარით ისტუმრებენ მათთან სამუშაოდ გადაგზავნილ პარტიულებს და კომკავშირელებს.

საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მომუშავე ბევრი კომუნისტი, სარგებლობს რა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით, ანტი-საბჭოთა ელემენტებს აძლევს ისეთ მოწმობებს, რომლითაც შეცდომაში შეჰყავთ სხვა ორგანიზაციები. ამის დასამტკიცებლად აუარებელი ფაქტის მოყვანა შეიძლება: უნივერსიტეტიდან გააძევეს ანტი-საბჭოთა ელემენტი ჯაყელი, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და ის ბუხჰალტერის თანამდებობაზე მიიწვია სახკინმრეწვმა. კახეთიდან გადაასახლეს ანტი-საბჭოთა ელემენტის ლომიძის ოჯახი. რამდენიმე ხნის შემდეგ ლომიძის ქალს უნივერსიტეტში შემოაქვს განცხადება და თემკომის მიერ ხელმოწერილი მოწმობა: „ლომიძის ქალს არავითარი ქონება სოფლად არ გააჩნია"-ო. (ცხადია. სოფლიდან გადასახლებულს სოფელში ქონება აღარ ექნებოდა). ამ მოწმობის საფუძველზე ლომიძის ქალი მიღებულ იქნა უნივერსიტეტში.

ამხ. ზუდავაძე

სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოების მიერ ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირება არ ტარდება სისწორით.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ შტატი შეამცირა 300 კაცით, მაგრამ ფაქტიურად ამით ხარჯები არამც თუ არ შეამცირა, არამედ კიდევაც გაზარდა მივლინების გაზრდით.

აპარატის გაწმენდის საქმეში ჩვენ მშრომელთა ფართე მასები უნდა ჩავაბათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო კომისიების მუშაობა დიდ ნაყოფს არ მოგვცემს.

ამხ. საკიანი

საზოგადოებრივი კვების საქმე დღემდე სათანადოთ მოწესრიგებული არ იყო. ჩვენ პურის ფასი უცვლელად დავტოვეთ, ამ მდგომარეობას ბოროტად იყენებენ ზოგიერთი მოქალაქენი და პურს უთავბოლოდ ხარჯავენ. რაში გამოიხატება ეს უთავბოლო ხარჯვა?

ზოგიერთი მეეტლები გამომცხვარი პურით კვებავდნენ ცხენებს, რადგანაც პურით ცხენის კვება უფრო იაფად უჯდებოდა, ვინემ თივით. რასაკვირველია ჩვენ ამ მდგომარეობას ვერ შევურიგდებით, იმისათვის, რომ პური რაციონალიზაციურად იქნეს გამოყენებული, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს პურის წიგნაკებით გაცემა. თვითეულ მოქალაქეს მიეცემა პურის განსაზღვრული ნორმა, ხოლო პურის ცხობის მოწესრიგებისათვის ჩვენ ვაშენებთ პურის საცხობ ქარხანას. ანტი-საბჭოთა ელემენტები შეეცდებიან ამ ნიადაგზე ჩვენს წინააღმდეგ ათასგვარი ჭორების გავრცელებას, მაგრამ პარტიამ ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რომ მოსახლეობას შორის წინასწარ ჩატარებული იქნეს პურის გაცემის ახალი სისტემის მიზეზებისა და მნიშვნელობის განმარტება.

ამხ. ხაჯიევი

თბილისის მაზრაში გაერთიანებულია კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილი რაიონები, მაგრამ ამ რაიონებში პარტიული ხელმძღვანელობა მოისუსტებს. პარტ. ორგანიზაციის მცირერიცხოვანობის გამო. თვით ძველი კომუნისტებიც კი მოწყვეტილი არიან პარტორგანიზაციის სისტემატიურ ხელმძღვანელობას, აღბულაღის თემში ზოგიერთ კომუნისტს სანთლიანი ხატები ეკიდა, შვილებს მღვდლით ნათლავდნენ და სხვ.

ზოგიერთი კომუნისტი არ თანხმდებიან სოფლად სამუშაოზე წასვლას, ან სოფელში სამუშაოდ ზოგჯერ ისეთი პირები იგზავნებიან, რომლებიც ქალაქში არ გამოდგნენ. ეს მოვლენა აღმოფხვრილი უნდა იქნეს.

ამხ. ერისთავი

კოოპერატიულ ორგანიზაციებში სუსტად არის დაყენებული კულტმუშაობა. სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებსაც კი ფული შემოაკლდებათ ხოლმე, კოოპერაციას მიმართავენ. მაგალითისათვის მოგიყვანთ შემდეგს ფაქტს: ფოთში შენდება საციარი, რომელთანაც კოოპერაციას არავითარი საერთო არა აქვს, მიუხედავად ამისა კოოპერაციას წინადადება მიეცა შეიტანოს ფული ამ საციარის აგების ფონდში.

ამხ. გორდელაძე

ხშირად განსაკუთრებით მახინჯდება ჩვენი პარტიის დირექტივები, როგორც პარტიულ, ისე სხვა ორგანიზაციების მიერ, რითაც სარგებლობენ ჩვენთვის მოუღებელი პირები. მაგალითისათვის მოგიყვანთ შემდეგს ფაქტს: მარტყოფის თემაღმასკომის თავმჯდომარე შუამდგომლობს ტყის გამგის წინაშე, რომ მან კულაკს მისცეს შეშის უფასოდ მოჭრის ნებართვა. თავის მოქმედებას აღმასკომის თავმჯდ. ასე ასაბუთებდა: „უკანასკნელი (კულაკი) თუმცა ღარიბი არ არის, მაგრამ ბევრი სახელმწიფო გადასახადი აქვს შეწერილი, რომლის გადასახდელად შეშა მაინც გაყიდოსო".

აღბულაღის თემკომმა გამოიტანა დადგენილება, რომ ყველა კატეგორიის გლეხებისათვის შემოღებული იქნეს თანასწორი საწევრო შესატანი გლეხკომში.

ამხ. კალანდაძე

სახკინმრეწვის შტატი უმთავრესად ყოფ. თავად-აზნაურებისაგან შესდგება, ამას „ხსნიან" იმით, რომ „ამ როლებისათვის აზნაურები კარგს ტიპაჟს წარმოადგენენო".

ამხ. კოჭლაძე

ხშირად აქვს ადგილი პარტიის დირექტივების შეუსრულებლობას და ბევრი სოფლელი კომუნისტი მოყოლილია კულაკის გავლენის ქვეშ, ამიტომ პარტიისა და აპარატის წმენდა პირველ რიგში სოფლიდან უნდა დავიწყოთ. გომბორის თემში ყოფ. „სტრაჟნიკებს" და „გოროდოვოებს" უჭირავთ საპასუხისმგებლო თანამდებობები.

ამხ. ვ. ბოლქვაძე

ზოგიერთი პასუხისმგებელი მომუშავე იმდენად დატვირთულია სხვადასხვა სხდომებით, რომ ვერ იცლის იმუშაოს იმ დაწესებულებაში, რომელიც მას აბარია, ამიტომაა, რომ მოქალაქეებს მთელი კვირაობით უხდებათ დაწესებულებებში სიარული იმისათვის, რომ ნახონ იგი. საჭიროა მუშაკთა განტვირთვა ზედმეტი, უსარგებლო სხდომებისაგან, რადგან აღნიშნული მოვლენა აფერხებს ჩვენი დაწესებულებების მუშაობას და ხელს უწყობს საქმის გაჭიანურებას.

აგურის ფასი სხვადასხვა ქარხნებში სხვადასხვანაირია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქარხნები ერთი-მეორისაგან არ განსხვავდებიან მოწყობილობით.

ერთი კუბიკური მეტრი კედლის აშენება აღმასკომს უჯდება 17 მან. 40 კაპ. „ხამშენს" კი—20 მანეთი. ასეთი სხვადასხვაობა აიხსნება მმართველი ორგანოების დაუდევრობით და იმით, რომ ეს უკანასკნელნი თავს არ იტკივებენ ზედნადები ხარჯების შემცირებისათვის.

საჭიროა ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოები: მჭირავი, ტყავტრესტის სახელოსნოები, პოლიგრაფიული ტრესტის წარმოებები და სხვა აღმასკომს გადაეცეს.

ამხ. ავაქოვი

ამხ. ბოლქვაძე მართალია, როცა ლაპარაკობს, რომ აგურის თვითღირებულება იზრდება სპეციალისტების უყურადღებობის წყალობით. წინადადება ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე წარმოებების აღმასკომისათვის გადაცემის შესახებ მისაღები და მიზანშეწონილია, ეს ღონისძიება განავითარებს წარმოებას და გააძლიერებს ქალაქის ბიუჯეტსაც.

ამხ. ნასარიძე

ბიუროკრატიზმს მაგრად აქვს გადგმული ფესვი სასამართლოს ორგანოებში. სასამართლოს წესით 1922 წელს აღძრული საქმე (შორაპნის მაზრაში) დღემდე არ არის დამთავრებული.

ამხ. სალუქვაძე სწორად აღნიშნავს, რომ საჭიროა პარტმუშაობის გაძლიერება იმ კომუნისტებს შორის, რომლებიც გამოსული არიან სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებიდანო.

ამას წინედ „ახალგაზრდა კომუნისტში" დაბეჭდილი იყო წერილი იმის შესახებ, რომ კოწია სულაქველიძემ კომკავშირელებს „ბანდა" უწოდა. პარტიამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ასეთ თავხედურ გამოსვლებს.

ხელოსანთა სარეწაო კოოპერაციას მეტი დახმარება უნდა გაუწიოს ნედლი მასალის მიწოდების საქმეში და გაძლიერებული უნდა იქნეს პარტიული ხელმძღვანელობა აღნიშნულ კოოპერაციის საქმიანობისადმი.

მეცხრე სხდომა

28 თებერვლის დილის სხდომაზე გრძელდება კამათი ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ანგარიშის გარშემო.

ამხ. დათიაშვილი

ჭიპორტ-საგურამოს თემში (ტფილ. დუშეთის მაზრა) მიწები სისწორით არ არის განაწილებული. ეს თემი ძალზე ჩამორჩენილია, კულტურულად. თემში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის (ოსები) მუშაობა არ სწარმოებს. არსებული სკოლები ადგილობრივ პარტიისა და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობის გარეშეა დარჩენილი. მასწავლებელთა შემადგენლობა არ არის დამაკმაყოფილებელი. რამოდენიმეჯერ სცადეს ადგილობრივმა ორგანოებმა სკოლაზე ხელმძღვანელობის გაძლიერება, მაგრამ მასწავლებლები ასე უპასუხებენ. „ჩვენ მხოლოდ განათლების სახალხო კომისარიატს ვემორჩილებით და თქვენ არ გიცნობთო".

ამხ. ჩანკვეტაძე

პარტიის ორგანიზაცია ზოგჯერ სათანადოთ ებრძვის ყოველგვარ გადახრებს, მაგრამ ამავე დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ გადახრებთან შემარიგებელ ტენდენციებს.

საკონტროლო ორგანოებმა მეტი საქმიანობა უნდა გამოიჩინონ პარტიის რიგების და სახელმწიფო აპარატის გაწმენდის საქმეში გახრწნილ, ანტი-კომუნისტურ და ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან.

ამხ. ანდრიაძე

ქალთა შორის მუშაობას პარტიული კომიტეტები ხშირად მეორე ხარისხოვან მნიშვნელობას აკუთვნებენ და აწარმოებენ მას სათანადოთ.

ქალთა შორის მუშაობა პარტუჯრედებში და თემკომებში ამოიწურება ხოლმე იმით, რომ დროგამოშვებით ისმება ქალთა ორგანიზატორების მოხსენებები, ყოველდღიურ მუშაობაზე სისტემატიური ხელმძღვანელობას კი ადგილი არ აქვს.

სუსტია აგრეთვე პროფკავშირების მონაწილეობა ქალთა შორის მუშაობაში ბევრი კომუნისტი კი ქალთა დაწინაურებას სკეპტიკურად უყურებს. ამით აიხსნება, ალბად, ის გარემოება, რომ თბილისში დაწინაურებულ 137 მუშიდან ქალი მხოლოდ ცამეტია.

საჭიროა ქალთა ორგანიზატორების უზრუნველყოფა მატერიალურად დღემდე ბევრ ქალთა ორგანიზატორს ან სულ არ ეძლევა ჯამაგირი, ან თუ ეძლევა, ისიც ძალიან მცირე.

ამხ. ბაბაკოვა

კოოპერაციამ უნდა გააძლიეროს კრედიტის მიცემა მუშა-მოსამსახურეებზე.

მილიციაში ბევრი ხულიგნური ყოფა-ქცევის ხალხია მოკალათებული, რომლებიც სახელს უტეხავენ საბჭოთა მილიციას. მილიცია უნდა გაიწმინდოს ასეთი ელემენტებისაგან.

ამხ. საროკინი

ზოგიერთ სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები არამც თუ არ ფიქრობენ წარმოების რაციონალიზაციაზე, არამედ იწინააღმდეგებიან კიდევაც მას. ხე-ტყის სახერხ პირველ ქარხანაში მუშამ შემოიტანა საქმიანი წინადადება, რომელმაც ქარხანას 12.000 მანეთის მოგება მისცა. ამის შემდეგ მუშამ მოითხოვა კანონიერი ჯილდო, მაგრამ ადმინისტრაციამ ის დაჯილდოვების მაგივრად კიდეც გალანძღა.

ამხ. ყურულაშვილი

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მემარჯვენე გადახრებში შემჩნეულ. მერყევ პირებს; პარტია ასეთ პირებს ებრძვის, მაგრამ ეს ბრძოლა ხშირად შეტევის ხასიათს არ ატარებს, უკლონისტები სულ არ ისჯებიან და თუ ისჯებიან ისიც უმნიშვნელოდ.

ხშირად წარმოების რაციონალიზაცია არ შეეფერება მუშების ცალკე ჯგუფთა ინტერესებს, რაც იწვევს მათ წინააღმდეგობას. ასეთი მუშებში ხშირად კომუნისტებიც ყვებიან, რაც მოწმობს იმას, რომ მათ საკმაოდ შეგნებული არა აქვს წარმოების რაციონალიზაციის მნიშვნელობა, ან და თავის პირად კეთილდღეობას უფრო მაღლა აყენებენ, ვინემ სოციალისტური მრეწველობის საერთო ინტერესებს. პროფკავშირები და პარტუჯრედები კი ასეთ მუშების მიმართ არ იღებენ საკმაო ზედმოქმედებით ზომებს.

ამხ. ბოლქვაძემ და ავაქოვამ აქ წამოაყენეს წინადადება იმის შესახებ, რომ აღმასკომს გადაეცეს ისეთი წარმოებები, რომლებსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. როცა ამხ. ავაქოვი ს. მ. უ. ს.-ში მუშაობდა, მაშინ იგი ეწინააღმდეგებოდა ასეთ აზრს, ეხლა კი, როცა იგი აღმასკომში მუშაობს, მან საწინააღმდეგო ლაპარაკი დაიწყო; წარმოება ჩემოდანი არ არის, რომ სადაც წავალთ თან წავიღოთ. ასეთი „საწარმოო პატრიოტიზმი" დაუშვებელია. იმისათვის, რომ აღნიშნული წარმოებები გაძლიერებულ იქნენ. პირველ წლებში ამ წარმოებების მიერ მოცემული მოგება დამატებით თანხებთან ერთად ისევ წარმოების გაუმჯობესებას უნდა დაეხმაროს, თბილისის აღმასკომს კი მილიონი მანეთების დაბანდება ამ წარმოებებში არ შეუძლია. მაშასადამე მათი აღმასკომზე გადაცემას შედეგად მოჰყვება წარმოების არა განვითარება, არამედ ერთ წერტილზე გაყინვა.

ამხ. გიგაევი

სოფ. მჭადის ჯვარში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, რომელიც პარტიული ხელმძღვანელობის სისუსტის გამო ერთ წერტილზეა გაყინული. კოლექტივის წევრთა შორის ადგილი აქვს უთანხმოებას.

კობის მინერალური წყალი „ნარზანი", რომელსაც მრავალი სამკურნალო თვისება აქვს და აგრეთვე სასმელადაც კარგია, უყურადღებოდაა მიტოვებული. საჭიროა მისი ექსპლოატაციის მოწესრიგება.

ამხ. მიხა ცხაკაია

ამხანაგებო, პარტია, რომელიც ყოველთვის იმარჯვებდა, იმარჯვებს და გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში, რომელიც გამომხატველია ქალაქის და სოფლის მშრომელთა ინტერესებისა, რომელსაც აქვს ბრძოლის აუარებელი გამოცდილება—არის კომუნისტური პარტია.

ჩვენს წინაშე აუარებელი ეკონომიური ამოცანებია, რომელთა გადაწყვეტაც ჩვენგან მოითხოვს მთელი ძალ-ღონის და ენერგიის დაძაბვას. ჩვენ ინდივიდუალურად არა ვცხოვრობთ, დიდი კოლექტივის ნაწილები საერთო ძალით ემსახურებიან ერთ საქმეს, თვითოეული ჩვენთაგანს ამა თუ იმ საკითხის გადაჭრის დროს უნდა ახსოვდეს, რომ იგი ბოლშევიკია, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ლენინის მიერ მოცემული ხაზი, რაც თავდებია ჩვენი გამარჯვებისა. სწორედ ამიტომ ჩვენ სასტიკი უნდა ვიქნეთ ყველა მათ წინააღმდეგ, რომლებიც მერყეობას შეიტანენ ჩვენს კოლექტივში, ან შეეცდებიან ჩვენი მუშაობისთვის ხელის შეშლას.

მაშინ, როდესაც ერთად-ერთ სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ გაცოფებული ემზადებიან ბურჟუაზიული ქვეყნები და ის ყვითელი პოლიტიკურ პარტიები, რომლებიც თავიანთ თავს სოციალისტურს უწოდებენ, ჩვენ მეტი ენერგიით უნდა ვაწარმოოთ სოციალისტური მშენებლობა და მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოთ ყველა იმათ, ვინც ჩვენს გვერდით, ჩვენს ქვეყანაში შეეცდება ლენინური ხაზის გაშრუდებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ კონფერენცია თავის მუშაობას ჩაატარებს ლენინიზმის პრინციპების დაცვის საფუძველზე.

ამხ. მაკარჩიკი

კომუნისტები და კომკავშირელები მაგალითის მიმცემი უნდა იქნენ უპარტიო მუშებისათვის. მაგრამ ზოგიერთი კომუნისტი და კომკავშირელი თვითონ აცდენს სამუშაო საათებს.

მიუხედავად არსებული დადგენილებისა წითელი მეთაურები ბინებით მაინც არ არიან უზრუნველყოფილი. არ სრულდება აგრეთვე დადგენილება არმიის მოსამსახურეთა მედიკამენტებით უფასოდ უზრუნველყოფის შესახებ აფთიაქებიდან.

ამხ. კობიძე

უჯრედების ბიუროების გადარჩევის დროს ერთ-ერთ უჯრედის ბიუროს წინადადება მიეცა მოეშორებინა დაწესებულებიდან 5 თავად-აზნაური, მაგრამ ამის მაგივრად ეხლა იქ თავად-აზნაურ „თანამშრომელთა" რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა.

ვინმე დუდუჩავა, რომელიც გამსახლში ოჯახის ბიუროკრატიზმისათვის, გამსახლიდან გამოშვებისთანავე დიდ სამსახურში მოეწყო და ბინაც იმავე დღეს იშოვა. ყველაფერი ეს მოწმობს რომ მას მზრუნველად ვინმე პასუხისმგებელი მომუშავე ყავს. ასეთი ამბები ხშირად ხდება.

სისხლის სამართლის დამნაშავე უსტიაშვილის შესახებ გაზ. „კომუნისტში" დაიბეჭდა მამხილებელი კორესპონდენცია. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ კორესპონდენციაზე მოთავსებული იყო საპასუხო წერილი. მე მივიტანე უარყოფის უარყოფა რედაქციაში, მაგრამ აქ მომუშავე ამხ. ჭყონიამ უარი განაცხადა ჩემ მიერ მიტანილი მასალის გამოქვეყნებაზე. მიწსახკომში ბევრია არა საბჭოთა ელემენტები, საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ამ დაწესებულების გასაწმენდად ანტი-საბჭოთა ელემენტებისაგან.

ამხ. ვართანოვი

პროფკავშირებში, კომფრაქციების სუსტი მუშაობის გამო, ადგილი აქვს ბიუროკრატიზმს. ხშირად პროფკავშირების ძირითად უჯრედებში მომუშავეების გადარჩევა თავის დროზე არ ხდება, რწმუნების ვადის გაგრძელება დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

ამხ. მესხი

კომუნალური ბანკიდან კრედიტების გაცემა სხვადასხვა მშენებლობისათვის ძალზე მოკლე ვადიანია. აგურის ქარხნები, ჩამოერთვა ს. მ. უ. ს.-ს და გადაეცა აღმასკომს, რომელმაც აღნიშნული ქარხნების გასაუმჯობესებლად გაიღო 850,000 მანეთი. ეხლა ქარხნებს ისევ ს. მ. უ. ს. უბრუნებენ. ეს არ არის სწორი, ადგილობრივი მნიშვნელობის წარმოებები აღმასკომის განკარგულებაში უნდა იყოს.

ამხ. შოგირაძე

სამეურნეო მშენებლობაში მუშათა ფართე მასების ჩაბმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თბილისის კომიტეტს ამ მხრივ მიღწევები მოეპოვება, რაც აიხსნება თვითკრიტიკის გაშლით. მაგრამ ჩვენ ამ საქმეში მიღწევებთან ერთად დღემდე დეფექტებიც ბლომად გვაქვს. ისეთ ნებაყოფლობით ორგანიზაციებში, როგორიცაა პროფკავშირები, კომკავშირი და სხვა თვითკრიტიკა სუსტად ვითარდება. საკმაოდ არ ტარდება ლოზუნგი „თვითკრიტიკა პიროვნებათა მიუხედავად".

საჭიროა სოფლის პარტორგანიზაციის სოციალური შემადგენლობის უკეთესად აღრიცხვა.

ამხ. სტეფანოვი

ბევრი ორგანიზაციები საშეფო მუშაობას უყურადღებოდ ეკიდებიან. ხშირად ადგილობრივი სოფლის ორგანოებიც საჭირო დახმარებას არ უწევენ იქ მოსულ შეფებს.

მეათე სხდომა

ამხ. გიგილაშვილი

კობის მინერალური წყალი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, უყურადღებოდ იყო და არის მიტოვებული ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ამ წყლის ანალიზმა ნათელ ჰყო მისი სამკურნალო თვისებები. ამავე კობის რაიონში მოიპოვება აზბესტის და გრაფიტის ბუდობები, არც ამ მადნების დამუშავებას ექცეოდა ყურადღება, ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ აზბესტის და გრაფიტის დამუშავებას შეუდგა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელმაც 70.000 მანეთი გადაიხადა აგრეთვე კობის „ნარზანი"-ს ექსპლოატაციისათვის.

კობის თემში წერა-კითხვის უცოდინარნი 60 პროცენტს შეადგენენ. თემაღმასკომმა თავის ბიუჯეტში შეიტანა ხარჯები წერა-კითხვის უცოდინართა 6 სალიკვიდაციო სკოლის მოსაწყობად, მაგრამ დაგვიმტკიცეს მხოლოდ 3 სკოლის ხარჯები, რაც ძალიან ცოტაა.

ამხ. არეშინი

წარმოების რაციონალიზაციის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და სხვა საქმეში „მსუბუქი კავალერია" მუშათა და გლეხთა ინსპექციას უდიდეს დახმარებას უწევს. „გრუზგოსტორგში" ბევრი თანამშრომლები პროტექციით ბირჟის გარეშე იქნენ მიღებული. ამ მიღებულთა რიცხვში ყოფ. ვაჭრებიც კი ერია. „მსუბუქმა კავალერიამ" ეს აღმოაჩინა. როცა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ამის გამო პასუხი მოსთხოვა აპარატში მომუშავე პასუხისმგებელ პირს, მან თავი იმით „იმართლა", რომ შრომის ბირჟას აღრიცხვაზე ჩამოსაყვანელები არ მოიპოვებოდნენო და აღნიშნული ვაჭარი დროებით არის მიღებულიო მიუხედავად ამისა ეს „დროებითი" მომუშავე შემდეგ შტატიან თანამდებობაზე გადაიყვანეს. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ზოგიერთ პასუხისმგებელი მომუშავეებს (მათ რიცხვში პარტიულებსაც) აშკარად ემჩნევათ ანტისაბჭოთა ელემენტების მფარველობის ტენდენცია.

უკანასკნელ ხანებში ანტირელიგიური მუშაობა მოდუნებულია, რითაც სარგებლობენ ყოველგვარი რელიგიური სექტები (მალაკნები, დუხობორები, ევანგელისტები და სხვ.); რომლებიც სცდილობენ გააფართოვონ თავიანთი მუშაობა და ნაწილობრივად კიდევაც აღწევენ ამას. ლოის ამ სექტანტებში ჩვენ შევხვდებით ახალგაზრდებსაც. კომკავშირმა განსაკუთრებით უნდა მიაქციოს ყურადღება ახალგაზრდობას შორის ანტირელიგიურ მუშაობის წარმოების საქმეს.

ამხ. თევდორაძე

თბილისის კომიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს წევრთა ყოველმხრივად შესწავლის საქმეს, რომ ამით შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება შესაფერ სამუშაოზე.

სახკინმრეწველობაში როგორც რეჟისორთა, ისე აქტიორების შემადგენლობაში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვებიან ყოფ. თავად-აზნაურები, რომლებიც სარგებლობენ რა თავიანთი მდგომარეობით, კინო-აქტიორებად იწვევენ თავიანთი ოჯახის წევრებს, ნაცნობ-მეგობრებს და სხვ. ამას კი ხსნიან იმით, რომ „ამ როლისათვის შესაფერისი სხვა არავინ მოიძებნებაო".

ამხ. რონზანი

უჯრედები (განსაკუთრებით კი სოფლის) ვერ ერკვევიან მემარჯვენე საფრთხის საკითხებში. ეს საკითხი საკმაოდ სერიოზულობით არ იყო დამუშავებული ადგილებზე. საჭიროა ამის განმარტება. საბინაო მშენებლობა წესიერად არ მიმდინარეობს. მას თითქმის ახასიათებს. განაპირა უბნებში შენდება 3-4 ოთახისაგან შემდგარი სახლები, რაც არ არის მიზანშეწონილი.

ამხ. აბაზოვი

ქალთა შორის მუშაობა ძალზე მოისუსტებს; ქალთა განყოფილებამ ქალთა შორის მუშაობა თემკომების ანაბარა მიატოვა და თვითონ კი უმოქმედობას იჩენს.

ადგილობრივი საკითხები და სხვადასხვა კამპანიები პრესაში ნაკლებად შუქდება, მიუხედავად იმისა, რომ მასალები ეგზავნებათ.

შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. კახიანის სიტყვა. დასასრულ კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია — მოწონება მემარჯვენე გადახრისა და ტროცკისტური ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

საბჭოთა არჩევნები

1927 წელში ჩატარებულ არჩევნებთან შედარებით ამომრჩეველთა აქტივობა გაიზარდა 18 პროცენტით.—განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა აქტივობის ზრდა —პირველი ადგილი უჭირავს ქუთაისის, ოზურგეთის და კახეთის მაზრებს.—ქალთა აქტივობასთან შედარებით საბჭოებში არჩეულ ქალთა რიცხვი მცირეა.—პარტიის დირექტივა საბჭოებში ქალთა ჩაბმის შესახებ უნდა განხორციელდეს

როგორ მიმდინარეობს არჩევნები

საბჭოების გადარჩევა მთელს საქართველოში გაცხოველებით მიმდინარეობს. პარტიამ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი არჩევნების მიმდინარეობას და უდიდესი აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიაში.

მაზრებიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობების მიხედვით, რომელიც დღევანდელ გაზეთშია გამოქვეყნებული და აგრეთვე ცენტრალურ საარჩევნო კომისიის რწმუნებულების და ადგილებიდან წარმოდგენილ მოხსენებების მიხედვით, შეგვიძლია გამოვიტანოთ ერთგვარი დასკვნა საარჩევნო კამპანიის მიღწევებისა და დეფექტების შესახებ.

მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელი თვისება უპირველეს ყოვლისა არის საერთოდ ამომრჩეველთა დღემდე გაუგონარი აქტივობა. რვა მაზრიდან (ქუთაისი, კახეთი, ზუგდიდი, სენაკი, ზემო-სვანეთი, ოზურგეთი, შორაპანი, თბილისი) და აფხაზეთიდან მიღებული ცნობების მიხედვით, სადაც არჩევნები დამთავრებულია 127 თემში, ამომრჩეველთა საერთო აქტივობა უდრის 69,6 პროც. (1927 წ. უდრიდა 51 პროც.), ხოლო ცალკე მაზრებში—მეტსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია უდიდესი აქტივობა ქუთაისის მაზრაში (81,6 პროც.).

აქტივობის ასეთი ზრდა გამოწვეულია იმ დიდი საორგანიზაციო მუშაობით, რომელიც პარტორგანიზაციებმა, საბჭოთა და პროფორგანოებმა ჩაატარეს ადგილებზე.

ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეთა წინასწარ ჩატარებულმა საარჩევნო კრებებმა უდიდესი როლი ითამაშეს ამ მხრივ. გარდა ამისა, ეს აქტივობა, რასაკვირველია, იმისი შედეგია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ნიადაგზე მშრომელი მოსახლეობის ფართე მასა პოლიტიკურად და კულტურულად იზრდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა აქტივობა არჩევნებზე. მათი დასწრების პროც. უდრის 61 (1927 წ. უდრიდა 37,1), ცალკე მაზრებში კი გაცილებით მეტს. მაგალითად, კახეთის მაზრაში—64,6, ქუთაისის—78,6.

ყველა ცნობები და მასალები ამტკიცებენ იმას, რომ ამომრჩეველთა ეს აქტივობა არ შენელდება საარჩევნო კამპანიის დარჩენილ პერიოდშიაც.

საარჩევნო კამპანიის მეორე დამახასიათებელი თვისება არის—საბჭოების შემადგენლობის გაუმჯობესება ყველა ნიშნების მიხედვით.

თუ 1927 წ. არჩევნების დროს ჩვენ სათემო საბჭოებში ან სულ არ მოგვეპოვებოდა, ან ძალიან იშვიათად, მოჯამაგირეები, წელს კი უკვე ჩამოყალიბებულ ახალ თემსაბჭოებში მოჯამაგირეები შეადგენენ 3,0 პროც. გარდა ამისა საგრძნობლად გაიზარდა საბჭოებში ღარიბი გლეხების მონაწილეობა, რაც უდრის იგივე თემებში 48,5 პროც.

ეს გარემოება ნათლად ადასტურებს ღარიბი გლეხობისა და, კერძოდ, მოჯამაგირეთა პოლიტიკური აქტივობის ზრდას. ღარიბი გლეხობა იგებს თავის პოლიტიკურ როლს საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში. ღარიბი გლეხობა საარჩევნო კრებებზე პარტორგანიზაციასთან ერთად ადგენს საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა სიას და შეკავშირებულად, ერთსულოვნად აძლევს ხმას თავის კანდიდატებს.

აღსანიშნავია კომკავშირელთა ზრდა საბჭოებში. აღნიშნულ თემების საბჭოებში კომკავშირელები შეადგენენ 14,2 (1927 წ. კი,— 8,6 პროც.).

ეს უდავოდ იმის შედეგია, რომ კომკავშირმა წელს დიდი ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარა და აგრეთვე გაიზარდა მშრომელ მოსახლეობაში კომკავშირის ავტორიტეტი.

ამ უდიდეს მიღწევებთან ერთად უსათუოდ უნდა აღინიშნოს ერთი დიდი დეფექტი, რომელიც ახლავს მიმდინარე არჩევნებს. ესაა **საბჭოების შემადგენლობაში ქალების მცირე პროცენტი.**

აღნიშნულ საბჭოების შემადგენლობაში არჩეულ ქალთა რიცხვი უდრის საშუალოდ 15,2 პროც., მაშინ, როდესაც ქალთა მონაწილეობა საარჩევნო კრებებზე უდრის 54,0 პროც.

ზოგიერთ მაზრებში ქალთა მონაწილეობა საბჭოებში კი უფრო ნაკლებია, მაგ., თბილისის მაზრაში—12,7 პროც., შორაპნის—10,1, სენაკის—13,0, ყოვლად დაუშვებელია ასეთი შეფარდება.

არჩევნებში ქალთა მიერ გამომჟღავნებული აქტივობა უნდა განმტკიცდეს მათი დაწინაურებით საბჭოებში.

ეს დეფექტი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოსწორებული ადგილებზე.

საარჩევნო კამპანიის მესამე დამახასიათებელი თვისებაა—დიდი აქტივობა განაწესის (ნაკაზის) დამუშავებისა და მიღების დროს.

ყველა საარჩევნო კრებაზე იხილავენ განაწესს, რომელსაც აძლევენ ახლად არჩეულ საბჭოს დეპუტატებს. თუ წინეთ განაწესს ამუშავებდნენ ზევიდან და იგი უფრო დეკლარაციას წარმოადგენდა. წელს განაწესებში აღნიშნულია, ადგილობრივი პირობების მიხედვით, ის ღონისძიებანი, რაც უნდა განახორციელოს ახლად არჩეულმა საბჭომ თემის თუ ქალაქის ფარგლებში.

განაწესები შეეხებიან მხოლოდ და მხოლოდ ყოველდღიურ პრაქტიკულ ამოცანებს როგორც საამშენებლო, ისე სოფლის ცხოვრების სხვა დარგებში.

ამომრჩევლები ავალებენ საბჭოს ისეთი საქმის გაკეთებას, რომელიც ძალუძს თემს და წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას მოსახლეობისათვის. ამავე დროს საარჩევნო კრებები სრული პასუხისმგებლობის შეგნებით აღუთქვამენ საბჭოს განაწესში გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებაში სრულ დახმარებას.

დ. ქუჩულორია.

არჩევნების შედეგები

(საარჩევნო კომისიის ცნობებით)

23 თებერვლამდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნების შედეგების შესახებ მიღებულია ცნობები 127 თემიდან. მათ შორის ახალციხის მაზრიდან—4 თემის, კახეთის მაზრიდან—21 თემის, თბილისის მაზრიდან — 11 თემის, ზემო-სვანეთის მაზრიდან—14 თემის, ზუგდიდის მაზრიდან—12 თემის, ოზურგეთის მაზრიდან—22 თემის, სენაკის მაზრიდან—7 თემის, ქუთაისის მაზრიდან—11 თემის, შორაპნის მაზრიდან—8 თემის და აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკიდან—17 სასოფლო საბჭოს.

1927 წელში ჩატარებულ საბჭოთა გადარჩევების ცნობები აღნიშნულია იმავე თემებიდან.

ამომრჩეველთა აქტივობა

	მამაკაცები	ქალები	სულ
ამომრჩ. რაოდენ.	137789	132516	27035
არჩ. მონ. მიიღეს	106590	81426	188016
პროცენტებში	77,4	71,4	69,6
1927 წ. პროც.	65,4	37,1	51,4

ამომრჩეველთა საერთო აქტივობა და კერძოდ ქალთა აქტივობა ცალკე მაზრების მიხედვით პროცენტულად

	საერთო აქტ.		ქალ. აქტ.	
	1927	1929	1927	1929
ახალც. მაზრაში	46,5	71,3	23,3	60,7
კახეთის მაზრ	58,8	69,4	48,5	64,6
თბილ. მაზრაში	53,8	62,3	39,0	51,4
ზემო-სვანეთ. მაზრ.	48,9	57,3	46,9	62,9
ზუგდ. მაზრაში	48,1	66,0	31,9	57,7
ოზურგ. მაზრაში	43,4	73,2	32,7	60,4
სენაკის მაზრაში	60,0	65,0	40,0	52,1
ქუთ. მაზრაში	56,3	81,6	45,3	78,6
შორაპ. მაზრაში	47,9	61,9	28,1	48,8
აფხაზეთის ს.ს.რ.	54,8	69,3	33,3	47,4

ახალი საბჭოების შემადგენლობა

127 სათემო და სასოფლო საბჭოებში სულ არჩეულია 5.906 დეპუტატი, მათ შორის 895 ქალი.

ქალების მონაწილეობა თემსაბჭოებში

ქალები	1927	1929
საარჩევნო კრებებზე მონაწ.	37,1	54,0
თემსაბჭოებში არჩეულია	9,2	15,2

ქალები კომპარტიის წევრები და კანდიდატები და ლენ. კომკავშირის წევრები (პროცენტებში) დეპუტატ ქალების საერთო რიცხვიდან

გორის მაზრაში	9,7
კახეთის მაზრაში	17,7
ზემო-სვანეთის მაზრაში	13,3
ოზურგეთის მაზრაში	28,5
სენაკის მაზრაში	13,3
აფხაზეთის ს.ს.რ.	11,1

(დანარჩენი მაზრებიდან ჯერ-ჯერობით ცნობები არაა მიღებული)

ქალთა მონაწილეობა საბჭოებში მაზრების მიხედვით

	1927	1929
ახალციხის მაზრაში	6,5	15,8
კახეთის მაზრაში	11,6	15,5
თბილისის მაზრაში	7,7	12,7
ზემო-სვანეთის მაზრაში	2,4	12,5
ზუგდიდის მაზრაში	9,4	16,4
ოზურგეთის მაზრაში	11,1,	15,5
სენაკის მაზრაში	10,4	13,0
ქუთაისის მაზრაში	7,1	17,4
შორაპნის მაზრაში	6,8	10,1
აფხაზეთის ს.ს.რ.	10,8	15,4
სულ	9,2	15,2

უნდა აღინიშნოს ქალთა აქტივობის უდიდესი ზრდა საარჩევნო კრებებზე და ამასთანავე შედარებით მათი არასაკმაოდ მონაწილეობა თემსაბჭოებში (არასაკმაოდ იქნა გამოყენებული ქალთა მასიური მონაწილეობა საარჩევნო კრებებზე).

ახალი თემსაბჭოების პარტიული შემადგენლობა

	1927	1929
კომპარტ. წევრ. და კანდიდ.	25,4	25,1
კომკავშ. წევრები და კანდ.	8,6	14,2
უპარტიოები	66,0	60,7

პარტიული შემადგენლობა მაზრების მიხედვით (პროცენტებში)

კომპ. წევრები და კანდ. კომკავშ. წევრ. და კან. (პროც:)

	1927	1929	1927	1929	1927	1929
ახალც. მაზ.	21,0	19,5	9,4	11,4	69,6	69,1
კახეთ. მაზ.	27,0	24,1	10,9	17,0	62,1	58,9
თბილ. მაზრ.	26,0	24,4	8,1	10,8	65,9	64,8
ზემო-სვ. მაზრ.	25,0	35,0	5,6	17,5	69,4	47,5
ზუგდიდის მაზ.	26,0	26,5	8,0	10,3	66,0	63,2
ოზურგ. მაზრ.	38,6	40,3	3,9	11,8	57,5	47,9
სენაკის მაზრ.	32,8	28,3	6,0	13,9	61,2	57,8
ქუთაისის მაზ.	23,9	19,5	7,5	14,6	68,6	65,9
შორაპნ. მაზრ.	25,1	25,4	6,8	15,3	68,1	59,3
აფხაზეთ.	13,2	14,6	12,1	17,2	74,7	68,2
სულ	25,4	25,1	8,6	14,2	66,0	60,7

უნდა აღინიშნოს კომკავშირის წევრებისა და კანდიდატების საგრძნობი ზრდა და მონაწილეობა საბჭოებში.

მოჯამაგირეები და ღარიბები თემსაბჭოებში

(1927 წლის ცნობები არ არის)

	მოჯამაგ.	ღარიბები
კახეთის მაზრაში	6,7	46,8
თბ. მაზრ. ცნ. არ არის		49,0
ზემო-სვანეთიდან	0,8	52,5
ოზურგეთის მაზრ.	0,4	39,5
სენაკის მაზრაში	0,9	55,2
ქუთაის. მაზრაში	1,6	53,0
აფხაზეთში	3,0	53,7
სულ	3,0	48,5

ღარიბ გლეხთა მონაწილეობა თემსაბჭოებში, რამოდენიმე მაზრაში შეიძლება ჩაითვალოს არასავსებით საკმაოდ (ოზურგეთის მაზრა). საშუალო გლეხობის შესახებ ჯერ-ჯერობით კონკრეტული ცნობები არ არის მიღებული. მოჯამაგირეები და ღარიბები შეადგენენ დაახლოებით 50 პროცენტს. დანარჩენი 50 პროცენტი მოდის საშუალო გლეხობაზე, მუშებზე და მოსამსახურეებზე. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენს თემსაბჭოებში მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი აღწევენ 15—20 პროცენტამდე, უნდა ვიფიქროთ, რომ თემსაბჭოებში საშუალოთა რიცხვი უდრის 30—35 პროცენტს.

არჩევნები თბილისში

საარჩევნო კამპანიის შედეგები ლენრაიონში

არც ერთი კამპანია არ ჩატარებულა ისეთი წარმატებით და მუშათა ფართო მონაწილეობით, როგორც საბჭოთა საარჩევნო კამპანია. თავიდანვე საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა გაცხოველებული ტემპით დაიწყო. ლენინის უბნის მუშები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობაში და ხელს უწყობდნენ მის წარმატებით ჩატარებას.

საბჭოთა საანგარიშო კამპანია თვითკრიტიკის ფართო გაშლით ჩატარდა. ამომრჩევლები მოურიდებლად აკრიტიკებდნენ როგორც საბჭოს მთლიან მუშაობას, ისე კერძოდ თვითეული დეპუტატის მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში და აყენებდნენ ღონისძიებებს საბჭოს მუშაობის უფრო გასაცხოველებლად. საანგარიშო კრებებზე დამსწრეთა საერთო რაოდენობა ლენინის უბანში უდრის დაახლოებით ამომრჩეველთა 85 პროცენტს. ასე, რომ 19451 ამომრჩევლიდან საანგარიშო კრებებს დაესწრო 17150 კაცამდე. კამათში გამოსულ ორატორების რაოდენობამ კი მოლოდინს გადააჭარბა; არ ყოფილა ისეთი საანგარიშო კრება, სადაც ათი-ხუთმეტი მუშა არ გამოსულიყოს საბჭოს მუშაობის ირგვლივ გამართულ კამათში და კრიტიკის ქარცეცხლში არ გაეტარებინოს საბჭოს მუშაობა. ასე, მაგალითად, 20 საანგარიშო კრებაზე გამოვიდა სამასზე მეტი ამომრჩეველი. აქედან ნათლად ჩანს, რომ საანგარიშო კამპანია ლენინის რაიონში წარმატებით ჩატარდა.

საბჭოს საარჩევნო კამპანია არამც თუ მუშათა ფართო მონაწილეობით ჩატარდა, არამედ ეს კამპანია მშრომელი ხალხის ზეიმის სახეს ატარებდა. წარმოება-დაწესებულებები და მუშ. კლუბ. მორთული იყო ლოზუნგებით და პლაკატებით საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობის შესახებ. მუშა-ქალებისა და დიასახლისების საარჩევნო კრებებზე დასასწრებლად, მუშათა კლუბებში მოეწყო საბავშვო ოთახები, სადაც მუშა და დიასახლისი ქალები აბარებდნენ თავიანთ ბავშვებს და თითონ კი მიდიოდნენ საარჩევნო კრებებზე.

საარჩევნო კრება ჩატარდა 60 ადგილას. ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან (19.451), საარჩევნო კრებებს დაესწრო 17133 კაცი, ე. ი. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 88 პროცენტამდე. დამსწრეთა რაოდენობა 90 პროცენტამდე ვერ ავიდა იმიტომ, რომ ლენინის უბნის ზოგიერთ წარმოებაში მუშაობის პირობების გამო საანგარიშო კრებას დაესწრო მხოლოდ ამომრჩეველთა 50—55 პროც.

მაგალითად, ტრამვაის მოძრაობის დარგში, სადაც ითვლება 928 ამომრჩეველი,—საანგარიშო კრებას დაესწრო მხოლოდ 516 კაცი, ე. ი. 55,2 პროც. ასეთივე მდგომარეობა იყო რკინის გზის მოძრაობის დარგში, დეპოს ორთქლმავალთა ბრიგადებში, სავაგონო პარკის მოძრაობაში და სხვ. ასეთ პირობებში რასაკვირველია, რომ შეუძლებელი იქნებოდა დამსწრეთა რაოდენობის 90—95 პროცენტამდე აყვანა.

ლენინის უბანში არჩეულ იქნა სულ საბჭოს 808 დეპუტატი. ამათში 258 მუშები არიან, 50 მოსამსახურე და 18 ქალი.

საარჩევნო კრებები ყველგან დიდის აქტიობით ჩატარდა. მუშები ყურადღებით არჩევდნენ თბილისის საბჭოსათვის მისაცემ განაწესს და თავის მხრივ უმატებდნენ მრავალ მუხლებს. აღსანიშნავია დიასახლის ქალთა აქტიობა საარჩევნო კრებებზე. ისინი არამც თუ აყენებდნენ ახალ მოთხოვნილებებს განაწესში შესატანად, არამედ მოითხოვდნენ, რათა საბჭოში არ გასულიყვნენ ისეთი პირები, რომელნიც მხოლოდ ტრამვაის უფასო ბილეთით სარგებლობენ და საბჭოს მუშაობაში კი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ. ამასთანავე დიასახლისთა კრებებზე არც ერთი მამაკაცი არ იქნა არჩეული საბჭოში. მიუხედავად ამისა, საბჭოს წევრ ქალთა რაოდენობა ნაკლებია იმაზე, რამდენიც უნდა ყოფილიყო არჩეული. საბჭოს წევრებად 20 პრ. ქალები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ არჩეულია მხოლოდ 17 პროც.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ანტისაბჭოთა გამოსვლებს არც საარჩევნო და არც საანგარიშო კრებებზე ადგილი არ ჰქონია. მუშა-მოსამსახურეებიდან კი შავ სიაში მოხვდა მხოლოდ ტრამვაის მოძრაობის დარგის ხუთი თანამშრომელი. რომლებიც ძველი პოლიციელები აღმოჩნდნენ, ასეთია საარჩევნო კამპანიის შედეგები ლენინის რაიონში.

ვ. ნ.

საარჩევნო დებულების დარღვევის ფაქტები

(ავჭალის თემ, თბილ. მ.)

ახლო მომავალში მთელ საქართველოში დასრულდება საბჭოთა არჩევნები. დღემდის მიღებულ ცნობებიდან აშკარაა, რომ საარჩევნო კამპანია განსაკუთრებული აქტივობით და წარმატებით მიმდინარეობს, როგორც ქალაქად, ისე სოფლადაც. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად უსათუოდ უნდა აღინიშნოს ის დეფექტებიც, რომლებსაც ზოგიერთ საარჩევნო კრებებზე ჰქონდა ადგილი. ეს მით უმეტეს საჭიროა დღეს, სანამ საარჩევნო კამპანია დამთავრდებოდეს.

დეფექტების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს გაზ. „კომუნისტი"-ს 20 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული წერილი სოფ. დიდი-გლდანიდან (ავჭალის თემი). ხსენებულ წერილში აღნიშნული იყო, რომ დიდ-გლდანში საარჩევნო კრება უნდა ჩატარებულიყო კვირას, 17 თებერვალს. ამ დღისათვის ქონდათ ჩაბარებული უწყებები ამომრჩეველებს. მიუხედავად ამისა, ავჭალის თემაღმასკომის თავმჯდომარე სილვა ივანიშვილმა წინა დღით შეკრიბა ამომრჩეველთა მცირე ნაწილი, კრება კანონიერად გამოაცხადა და ჩაატარა არჩევნები. უფრო აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ აღმასკომის თავმჯდომარემ კრებაზე დამსწრე გლეხობას ძალათ მოახვია თავზე მისთვის სასურველი კანდიდატები იმ დროს, როცა ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც კრებას დაესწრო, მათი წინააღმდეგი იყო.

თითქმის ასეთივე შინაარსის კორესპონდენცია მიღებულია იმავე ავჭალის თემიდან, რომელიც ეხება არჩევნების უკანონოდ ჩატარებას ზემო-ავჭალაში 17 თებერვალს. ამ კორესპონდენციის მოკლე შინაარსი შემდეგია: „ზემო-ავჭალაში, 17 თებერვალს, დილის 10 საათზე მოწვეული იყო საარჩევნო კრება. გლეხობა 12 საათამდე ელოდა საარჩევნო კომისიის წევრებს, მაგრამ არავინ სჩანდა. გლეხობის მეტი ნაწილი წავიდ-წამოვიდა. პირველ საათზე გამოცხადდა აღმასკომის თავმჯდომარე ს. ივანიშვილი და თემკომის მდივანი თათულა ვარდანაშვილი. დაუძახეს გლეხობას კრებაზე, სადაც ამომრჩეველთა 49 პროცენტიც აღარ იყო. ბევრი საარჩევნო უწყება ბავშვებმა მოუტანა კომისიას. კრება გახსნა ივანიშვილმა. თემკომის მდივანმა გამოაქვეყნა ასარჩევ კანდიდატების სია ისეთი პირებისაგან, რომელიც მას ესიამოვნებოდა და მოითხოვა მათი უსათუოდ გაყვანა საბჭოში. გლეხობამ წამოყენებულ კანდიდატებზე უარი განაცხადა და დაასახელა თავიანთ კანდიდატები, მაგრამ კენჭის ყრის დროს თუ ვარდანაშვილის კანდიდატის წინააღმდეგი იყო 60 კაცი—სწერდნენ 8-ს, ხოლო კრების მიერ დასახელებულ კანდიდატებს თუ ათი აძლევდა წინააღმდეგ, სწერდნენ 50. კენჭის ყრის შედეგები თავისუფლად გამოიანგარიშეს და საბჭოში არჩეულად გამოაცხადეს ისინი, ვინც ერთ ჯგუფს უნდოდა".

ზემოხსენებული კორესპონდენციები ცხადყოფს, რომ ავჭალის თემის ზემოხსენებულ ორ უბანში საბჭოს არჩევნების ჩატარების დროს დარღვეულია საარჩევნო ინსტრუქცია და ამასთან ერთად საარჩევნო კომისიის წევრები თვითონვე უწყობდნენ ხელს კრებებს ამომრჩეველთა ნაკლები რიცხვი დასწრებოდა და გლეხობის ინიციატივისათვის გასაქანი არ მიეცათ.

თბილისის სამაზრო საარჩევნო კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა შეამოწმოს ავჭალის თემში ჩატარებული არჩევნები და დაშვებული შეცდომა უნდა გამოასწოროს.

ს—ე.

ადგილებზე

ზუგდიდის მაზრაში

არჩევნები დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ზუგდიდი, 26 თებერვალი. ზუგდიდის მაზრაში არჩევნები დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. არჩევნები ჩატარებულია 17 თემში. ამომრჩეველთა საშუალო დასწრება უდრის —69,6 პროცენტს, ქალთა დასწრება— 65 პროც. თემსაბჭოს თავმჯდომარეებათ სამ თემში არჩეულია ქალები.

ქ. ხომერიკი.

კახეთის მაზრაში

ჯუგაანის თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

ქვემო-მაჩხაანი, 24 თებერვალი. 21 თებერვალს ჯუგაანის თემის 4 საარჩევნო უბანში ჩატარდა არჩევნები, მიუხედავად იმისა, რომ ამ დღის განუწყვეტლივ თოვდა, კრებებს მაინც დაესწრო ამომრჩეველთა 75 პროცენტი, ქალები—72 პროცენტი. თემსაბჭოში არჩეულია 84 წევრი და 10 კანდიდატი, მათ შორის კომუნისტი—11, კომკავშირელი—7, უპარტიო 21. ქალი—7, საშუალო გლეხი—7, მოჯამაგირე—5, მოსამსახურე—5, ღარიბი გლეხი—20.

თემსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. ილია ზედელაშვილი.

ფოფუა.

როგორ იყენებენ სახელმწიფო ქონებას

(წერილი სამტრედიიდან)

საბჭოთა არჩევნებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ყველა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მაგრამ ყოფილა ისეთებიც, რომელთაც სრულიადაც არ აინტერესებს საბჭოთა არჩევნები. დავასახელებთ ამის ერთ მაგალითს: სამტრედიის ფოსტა-ტელ. კანტორის გამგე რ. ფარცხალაძესთან მიდიოდნენ რაიკომიდან თემებზე მიმაგრებული ამხანაგები და სთხოვდნენ მიეცა თუ არა გომის თემში საფოსტო ეტლი. რითაც ხსენებული ამხანაგებიც გაემგზავრებოდნენ დანიშნულ ალაგას არჩევნების ჩასატარებლად, მაგრამ ფარცხალაძემ უპასუხა, რომ დღეს და ხვალ ფოსტის ეტლი არ წავა გომში, ვინაიდან არავითარი ამანათები არ არის გასაგზავნიო. ამ პასუხის შემდეგ მიმაგრებული ამხანაგები გაუდგნენ გზას ფეხით. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩავიდნენ გომში დაღლილნი და დაისვენეს. ორი საათის შემდეგ გომის სამმართველოში მოვიდა სამტრედიის ფოსტის ეტლი, რომელშიაც ისხდნენ რ. ფარცხალაძე და მისი ნაცნობი ქალი.

ალბად ასეთებს ფარცხალაძე ბევრჯერ ჩაიდენს თუ მას დროზე არ მოეთხოვა სათანადო ორგანოდან პასუხი სახელმწიფო ქონების თავის ნაცნობებისათვის გამოყენებისათვის.

ხ. ფშანისპირელი.

თბილისის ახლად არჩეულ საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა

ორშაბათს, 25 თებერვალს, საღამოს რუსთაველის თეატრში შესდგა თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის საბჭოს ახალი შემადგენლობის პირველი პლენარიული საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრენ აგრეთვე თბილისის მე-9-რე პარტკონფერენციის და წითელ არმიელთა და პროფორგანიზაციების წარმომადგენელნი.

სხდომა გახსნა ამხ. ვანო ბოლქვაძემ.

ამხ. გ. ბოლქვაძის მოხსენება

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის საბჭოს პირველი პლენუმი იკრიბება სწორედ იმ ისტორიულ დღეს, როდესაც საქართველოს მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ ჩვენი ქვეყანა გაანთავისუფლეს შინაური ბურჟუაზიის და უცხოეთის კაპიტალისტების ბატონობისაგან, და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ განვითარებას. ამ ისტორიულ დღეს საბჭოთა ხელისუფლება მშრომელ მოსახლეობას აბარებს ანგარიშს იმის შესახებ, თუ რა გააკეთა მან მისთვის, დაუახლოვდა თუ არა იგი მშრომელ მოსახლეობას. გადაიქცა თუ არა იგი ნამდვილ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებად.

ამ კითხვებზე სწორ პასუხს გვაძლევს ეხლახან დამთავრებული არჩევნების წინასწარი შედეგები, რომლებიც მოწმობენ, რომ წლიდან-წლამდე ჩვენი საბჭოები უფრო და უფრო უახლოვდებიან ჩვენ მოსახლეობას და ხდებიან მათი ნებისყოფის გამომხატველნი. ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ გაიზარდა მასების მონაწილეობა, როგორც საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, ისე საბჭოების მიერ შესრულებულ მუშაობის განხილვა-შეფასებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ წლიდან-წლამდე უფრო და უფრო იზრდება ქალთა მონაწილეობა და მუშათა გავლენა ჩვენს საბჭოებში.

რას გვეუბნებიან ციფრები?

ეხლახან დამთავრებულ არჩევნების ჩასატარებლად მოწვეული ყოფილა სულ 424 კრება, ორი წლის წინად კი საარჩევნო კრებების რიცხვი 247-ს არ აღემატებოდა. ამრჩეველთა რიცხვი გაიზარდა 155860-მდე, ე. ი. 6.000-ით მეტი, ვიდრე 1927 წელს იყო, აქედან ამომრჩეველ ქალთა რიცხვი უდრიდა 69.648-ს; 27 წელს კი ქალთა რიცხვი 53600-ს არ აღემატებოდა.

საარჩევნო კრებას დაესწრო სულ 129827, ე. ი. ამომრჩეველთა 83.5 პროც., 1927 წელს კი 83.522 (57.6 პრ.), აქედან ქალი 51.947 (74.6 პროც.); 1927 წელს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 28.471 ქალმა (53.2 პრო.). საბჭოში არჩეულია სულ 1248 დეპუტატი (ნაცვლად წინანდელი 970-ისა). აქედან ქალია 216, ანუ 17,3 პროც. 1927 წელთან შედარებით ქალთა პროცენტი გაიზარდა 2,7 პროც. სოციალური მდგომარეობის მიხედვით დეპუტატებს შორის მუშებია 772, ე. ი. გადიდებულა 1,7 პრ.; მოსამსახურეები 315, ე. ი. შემცირებულა 6,1 პროცენტით. წითელ არმიელები—31 (ზრდა უდრის 0,1 პრ.), დიასახლისი—54, (ზრდა უდრის 2,1 პროც.), დანარჩენები: (შინამრეწველნი, ხელოსნები და სხვ.) 46, ე. ი. გადიდებულა 2,2 პროც.

პარტიული მდგომარეობის მიხედვით საბჭოში არჩეულია სულ 788 კომუნისტი, ე. ი. მთელი შემადგენლობის 63,1 პროც. (1927 წელთან შედარებით კომუნისტების რიცხვი გადიდებულია 3,8 პროც.), კომკავშირელები 97 (მთელი შემადგენლობის 7,8 პროც.), ე. ი. 1927 წელთან შედარებით გადიდებულა 3,5 პროც. უპარტიონი—363, ე. ი. მთელი შემადგენლობის 29,1 პროც. ე. ი. დაკლებულია 6,3 პროც.

თუ ამ ციფრებს სათანადოდ დაუკვირდებით, მივალთ დასკვნამდე, რომ საბჭოს არჩევნებში თბილისის მუშათა კლასს მიუღია აქტიური მონაწილეობა.

შემდეგ მომხსენებელი მოკლე მიმოხილვას უკეთებს გასულ მოწვევის საბჭოს მუშაობას სამეურნეო ფრონტზე და ამბობს, რომ ორი წლის განმავლობაში კოოპერატიული ქსელის გაფართოებით საბჭომ შესძლო კერძო ვაჭრების განდევნა ბაზრიდან. სავაჭრო წერტების ქსელი 814-დან გადიდებულ იქნა 709-მდე, ხოლო წევრთა რიცხვი 57.000-დან 91.000-მდე; საპაიო თანხა 800.000-დან 1800000-მდე, ხოლო ბრუნვა 23.800.000-დან 55800000-მდე.

იზრდება აგრეთვე სახელმწიფო მრეწველობა და ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობა. საერთო პროდუქცია სახელმწიფო მრეწველობაში ერთი წლის განმავლობაში უდრიდა 4.000.000 მანეთს, ხოლო ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია 1926 წლის 1.100,000 მანეთიდან გაიზარდა 3.392.000-მდე. ამჟამად მიმდინარეობს მთელ რიგ საწარმოების მშენებლობა, რომელიც ამ უახლოეს წლებში მოგვცემს თვალსაჩინო ნაყოფს.

ასეთია მოკლედ ის შედეგები, რომელიც მოგვცა თბილისის საბჭოს მუშაობამ ორი წლის განმავლობაში.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

ამხ. მიხა ცხაკაიას გამოჩენას ტრიბუნაზე საბჭო მქუხარე ტაშით ეგებება

ა.-კ. და საქართველოს მთავრობის სახელით —ამბობს ამხ. ცხაკაია, მხურვალეთ მივესალმები თბილისის პროლეტარიატს, მის უმაღლეს ორგანოს—მეშვიდე მოწვევის საბჭოს ახალ შემადგენლობას. დღეს საქართველოს მშრომელი მოსახლეობა ორ უდიდეს დღესასწაულს ზეიმობს: სახელოვანი წითელი არმიის არსებობის მეთერთმეტე წლის თავს, და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერვე წლის თავს. ჩვენ ამ ორ დღეს ვუქმობთ, მაგრამ ჩვენი უქმობა არ არის უქმად ყოფნა და მხოლოდ ზეიმი,—ეს დღესასწაული არის ჩვენ მიერ შესრულებული მუშაობის შემოწმება და ახალი ამოცანების დასახვა სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაფართოებისა და განვითარებისათვის.

შემდეგ ამხ. მიხა ცხაკაია საკმაოდ ვრცელ მიმოხილვას უკეთებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებულ მუშაობას მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის და სახალხო განათლების დარგებში, ადარებს დღევანდელ მიღწევებს მენშევიკების დროს არსებულ მდგომარეობას და დასკვნის, რომ ასეთი სწრაფი ნაბიჯით ზრდა შესაძლებელი იყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, რომელმაც ამ.-კავკასიის ყველა ხალხებისათვის შექმნა მშვიდობიანი პირობები თავისუფალი შრომისათვის. ამ პირობების შექმნაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მუშურ-გლეხურ წითელ არმიას, რომელიც ცოცხალ გუშაგათ სდგას მთელი საბჭოთა კავშირის და, მათ შორის, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს სოციალისტურ მშენებლობის სადარაჯოზე.

ამხ. მუსაბეკოვის მისალმება

შემდეგ საბჭო ისმენს რადიოთი აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. მუსაბეკოვის მისასალმებელ სიტყვას.

ამხ. მუსაბეკოვი აღნიშნავს რა, საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერ მუშაობას საქართველოში, უსურვებს საქართველოს პროლეტარიატს მხნეობასა და ენერგიას,—სოციალისტური აღმშენებლობის გასაფართოებლად.

ატმოსფერული მიზეზების გამო ამხ. მუსაბეკოვის სიტყვა გარკვევით არ ისმოდა.

ამხ. ავქსენტიევსკის სიტყვა

საბჭო ოვაციებით ეგებება კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სარდალს ამხ. ავქსენტიევსკის.

მუშურ-გლეხური წითელი არმია, იწყებს ამხ. ავქსენტიევსკი,—რომლის არსებობის წლის თავი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლის თავს ხვდება, მხურვალედ მიესალმება თბილისის პროლეტარიატის უმაღლეს ორგანოს.

როგორც მომხსენებლებმა აღნიშნეს, ამ ზეიმის დღეს ჩვენ ჯამს ვუკეთებთ ჩვენს მიღწევებს. ამხ. ბოლქვაძემ და ამხ. მიხა ცხაკაიამ საბჭოს მოახსენეს, თუ რა მიღწევები აქვს საბჭოთა ხელისუფლებას კულტურულ-სამეურნეო ფრონტზე. მე ვეცდები საბჭოს გავაცნო საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის, ჩვენი არმიის მშენებლობაში. ჯარის სამხედრო უნარიანობის გამოსაცდელად ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მანევრები. ეხლახან ჩატარებულმა საშემოდგომო მანევრებმა ჩვენ გვირჩვენეს, რომ მუშათა და გლეხთა დიქტატურის ქვეყანას ყავს სამხედრო ტექნიკის ცოდნითა და საუკეთესო მომზადებით აღჭურვილი სამხედრო ძალა, რომელიც სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნების ჯარებიდან განსხვავდება იმით, რომ მას, მუშურ-გლეხურ წითელ არმიას, გარკვევით შეგნებული და ნათლად გათვალისწინებული აქვს თავისი მიზნები და დანიშნულება, რომ არმიამ ძალიან კარგად იცის, რომ იგი კლასიური არმიაა, რომ მის ერთად-ერთ ამოცანას შეადგენს მუშათა და გლეხთა ინტერესების სადარაჯოზე დგომა. ეს შეგნება აძლევს მას უდიდეს მორალურ მხნეობას და აორკეცებს მის სამხედრო უნარიანობას. ნივთიერად და მორალურად გაკაჟებული იგი ყოველ წუთს მზად არის კომუნისტური პარტიის და ხელისუფლების მოწოდებისთანავე ეკვეთოს მუშათა ხელისუფლების მტერს, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი. (მქუხარე ტაში).

ამხ. ანთიძის სიტყვა

საქართველოს პროფკავშირებში გაერთიანებულ მრავალ ათასიან მუშა-მოსამსახურეთა სახელით მივესალმები თბილისის საბჭოს ახალ შემადგენლობას და მათი სახელით აღვუთქვამ საბჭოს, რომ პროფკავშირები მომავალში კიდევ უფრო მეტ მონაწილეობას მიიღებენ საბჭოების მიერ წარმოებულ მუშაობაში და კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და სიმტკიცით გაატარებენ ცხოვრებაში მის მიერ წამოყენებულ ლოზუნგებს.

ამხ. აზარაშვილის სიტყვა

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის სახელით საბჭოს მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ამხ. აზარაშვილი, რომელიც საბჭოს ახალ შემადგენლობას აღუთქვამს, რომ კომკავშირი საბჭოსთან ერთად არ დაზოგავს თავის წევრების ცოდნასა და ენერგიას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გასაღრმავებლად და გასაფართოებლად.

მუშათა რაიონების წარმომადგენელთა მისალმებები

შემდეგ ლენინის რაიონის მუშათა სახელით სიტყვას ამბობს ამხ. კილაძე, 26 კომუნარის სახელობის მუშათა სახელით ამხ. ოზანოვი, ქალაქის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა სახელით ამხ. ფერაძე, რომელნიც აღუთქვამენ ახალ საბჭოს დახმარებას მიმდინარე მუშაობაში.

მილოცვების დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია წინანდელი საბჭოს მიღწევები მეურნეობისა და სახალხო განათლების დარგში.

საბჭომ მიიღო მისალმების დეპეშები საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტისა და სახ. კომისართა საბჭოს, კ. წ. დ. არმიის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს და ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელზე.

თბილისის საბჭოს მისალმებანი

საქართველოს ცაკსა და სახ. კომისართა საბჭოს

თბილისის მეშვიდე მოწვევის საბჭოს საზეიმო სხდომა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერვე წლის თავზე მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს—საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს..

საქართველოს კომუნისტური პარტიის ლენინური ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლებამ ამ რვა წლის განმავლობაში უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია სამეურნეო, კულტურულ და სახელმწიფო მშენებლობის ყველა დარგებში. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ერთგული მშვიდობიანობის დამყარებით და გლეხობისა და პროლეტარიატის შორის კავშირის განმტკიცებით უზრუნველყო სახალხო მეურნეობის სოციალისტური განვითარება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის საფუძველზე.

თბილისის საბჭო გამოსთქვამს ულრმეს რწმენას, რომ საბჭოთა ხელისუფლება უკვე მოპოვებულ მიღწევების საფუძველზე კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წაიყვანს ქვეყანას ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის გზით.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ა.-კ. ს. ფ. ს. რ.!

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს

მეშვიდე მოწვევის თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა მუშურ-გლეხურ წითელ არმიის მეთერთმეტე წლის თავზე თქვენი სახით მხურვალედ მიესალმება კავკასიის წითელ დროშოვან არმიის უმაღლეს ხელმძღვანელობას, წითელ არმიელთა, უფროსთა და პოლიტშემადგენლობას.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ახალ იმპერიალისტური ომების საფრთხის წინაშე კომპარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო შეამჭიდროვებს თავის მებრძოლთა რიგებს რევოლიუციონურ მონაპოვართა დასაცავად.

თბილისის პროლეტარიატის და მთელი მშრომელი მოსახლეობის სახელით ჩვენ აღუთქვამთ კავკ. წით. დროშოვან არმიას ყოველ მხრივ დახმარებას.

გაუმარჯოს მ. გ. არმიის მე-11 წლის თავს.

გაუმარჯოს წითელ არმიას—პროლეტარულ სახელმწიფოს ერთგულ დარაჯს!

თბილისის საბჭოს აღმასრულებელ ორგანოების არჩევა

საბჭოს თავმჯდომარე

თბილისის საბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა მქუხარე ტაშის ცემით ერთხმად აირჩია ამხ. ვანო ბოლქვაძე. თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ვ. ავაქოვი, პასუხისმგებელ მდივნად ამხ. ოდილავაძე.

საბჭოს პრეზიდიუმი

საბჭოს პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულია შემდეგი 27 წევრი და 9 კანდიდატი: ვ. ბოლქვაძე, ავაქოვი, ლ. სუხიშვილი, ასრიბეკოვი; თხილავა; ასრიევი; ოდილავაძე; ქაცარავა, ფანცხავა, ნიკიტინი; ხმალაძე, ფარნიევი, მაშკევიჩი; იუსუპოვი, ტაქტაევი; შ. ოკუჯავა, ერისთავი, ჭკვიანოვა, ნინო ასათიანი; გელაშვილი; კაკაბაძე, ჯანჯღავაზოვი; გეგუშიძე, შველაძე; გრიცენკო, აზარაშვილი; ანდრიაწოვა; კანდიდატებად: გელაშვილი, ნუცუბიძე, სოსიანი; მარიამიძე, სიხარულიძე, თავდგირიძე; ლაპშინა; ლომთათიძე და გაგაშელი.

განყოფილების გამგეები

განყოფილების გამგეებად საბჭომ გამოყო შემდეგი ამხანაგები: ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ ამხ. ფანცხავა, სახ. განათლების განყ. გამგედ ქაცარავა, კომუნალური მეურნეობის—ასრიევი, ორგანიზაციული განყოფილების გამგედ და საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად ოდილავაძე, საფინანსო განყ. გამგედ და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ავაქოვი, სტატისტიკური განყ. გამგედ—შ. გომართელი, ადგ. მრეწველობის განყ. გამგედ თხილავა, ადმინისტრატიულ განყ. გამგედ—ხმალაძე, საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ აბაშელი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ამხ. ი. ტაგიევის დანიშვნა

ა.-კ. სახკომსაბჭოს რწმუნებულის მოადგილედ გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში დაინიშნა ამხ. ი. ტაგიევი.

ამხ. ა. ურუშაძის დანიშვნა

ა.-კ. გზატკეცილების და ავტოტრანსპორტის სამმართველოს უფროსად დაინიშნა ამხ. ა. ურუშაძე.

ადგილობრივი მრეწველობის გეგმა

ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკურ სახკომისართა საბჭოებს დავალონ ქალაქის საბჭოებს დაჩქარებით შეადგინონ ადგილობრივი მრეწველობის 1928-29 წლის საკრედიტო გეგმა და ამ გეგმის შედგენის დროს მხედველობაში მიიღონ ადგილობრივი მრეწველობის განვითარების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებები.

გეოლოგიურ სამუშაოთა გეგმა

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის გეოლოგიურ სამუშაოების გეგმა, რომლის ხარჯთ-აღრიცხვა უდრის საქართველოში — 200.000 მანეთს, აზერბეიჯანში — 230.000 მანეთს და სომხეთში — 200.000 მ.

ბამბის ნათესების გაფართოება

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, 1929 წელში ბამბის ნათესები ამიერ-კავკასიაში გადიდებული უნდა იქნეს 158.400 ჰექტარამდე. (აზერბეიჯანში— 134.050 ჰექტარი, საქართველოში — 8.000 ჰექტარი და სომხეთში — 15.350 ჰექტარი).

85.000 მან. საქ. წყალთა მეურნეობას

ბორჩალოს მაზრაში ბამბის ნათესი მოედნის გასაფართოებლად ა.-კ. სახკომსაბჭომ საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს სესხად მისცა 85.000 მანეთი.

ლიტერატურული კრიტიკა

ანუ

როგორ მოსპო ჟურნ. „განათლების მუშაკ“-მა კლასიური ბრძოლა მწერლობაში

გარდამავალ პერიოდს ახასიათებს კლასების არსებობა და ბრძოლა ამ კლასებს შორის. პროლეტარიატი ჩვენში გაბატონებული კლასია, მაგრამ მას უხდება ახალი საზოგადოების შენება, ამ საზოგადოების მშენებელ კადრების აღზრდა და ახალი საზოგადოების იდეოლოგიის გამომუშავება სხვა კლასებთან ბრძოლაში. კლასიური ბრძოლა ჩვენში ერთი წუთითაც არ წყდება, შესაძლებელია მხოლოდ მისი თანდათანობითი შენელება იმის და მიხედვით, თუ რამდენათ მტკიცდება პროლეტარიატის პოზიციები რამდენად მცირდება ის სამეურნეო სფერო, რომელიც კაპიტალისტურ და ნახევრად კაპიტალისტურ ელემენტებს ეკუთვნის, რამდენად იზრდება პროლეტარული სახელმწიფოს განსაზოგადოების პროცესი და ითხრება ამგვარად მატერიალური საფუძველი მოწინააღმდეგე კლასების არსებობს.

კლასიური ბრძოლა შესამჩნევია ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში,ც მაგრამ მისი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ წინააღმდეგ კაპიტალიზმისა ეს ბრძოლა კი არ მწვავდება, ღრმავდება და ფართოვდება. არამედ თვითვე ამზადებს პირობებს იმისათვის, რათა ის მოისპოს, „მოკვდეს“. თუ პროლეტარიატი და მისი პარტია ძალაუფლების ხელში აღებამდე მიისწრაფვიან იქითკენ, რათა გაამწვავონ კლასიური ბრძოლა, ააფეთქონ მთელი საზოგადოება „პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში პროლეტარიატის პარტიის წინაშე სდგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დაუახლოვდეს გლეხობას და თანდათანობით გადაამუშაოს ის; საკითხი იმის შესახებ თუ როგორ იქნას დაშვებული განსაზღვრული თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან და როგორ იქნას ის თანდათან გაძევებული; საკითხი იმის შესახებ თუ როგორ უნდა გამსახურონ რევოლიუციას ტექნიკური და სხვა ინტელიგენცია და იდეოლოგიურად გამოვსტაცოთ ის ბურჟუაზიას“. (ს. კ. პ. (ბ) ცეკას რეზოლიუციიდან პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში).

კლასიური ბრძოლა—ნათქვამია ამ რეზოლიუციაში—როგორც არ წყდება ჩვენში საერთოდ, ისევე არ წყდება ის ლიტერატურულ ფრონტზე. ახალი ბურჟუაზია ქმნის ახალ იდეოლოგიას, ყოფს საზოგადოებრივ სიღრმიდან თავის იდეოლოგიურ აგენტებს. ამიერკავკასიაში და კერძოთ საქართველოში კი როგორც ნათქვამია საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის რეზოლიუციაში მხატვრულ ლიტერატურის დარგში მუშაობის შესახებ. ეს ნიადაგი, პირობები კლასიურად უცხო იდეოლოგიის და „იდეოლოგიურ აგენტების“ წარმოშობისა. ერთი-ორათ რთულდება და იზრდება. „დამატებითი სიძნელე და სირთულე იქმნება იმ გარემოებით, რომ ამიერ კავკასია არის გლეხური ქვეყანა, რომელშიაც ჯერ კიდევ ცოცხლობს, და საგრძნობლად მაგრად,—წინა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნაშთები—არსებობს ჯერ კიდევ სუსტი პროლეტარული კერები.“ აგრეთვე იმით, რომ ამ „რესპუბლიკათა ეროვნებანი წინეთ იჩაგრებოდა. აქ ცარიზმი ქმნიდა და აღვივებდა შუღლს ეროვნებათა შორის, იწვევდა თავისი კოლონიზატორული პოლიტიკით მებრძოლი შოვინიზმის ზრდას“.

ამით აიხსნება, რომ საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის რეზოლიუცია აღნიშნავს მწერლობის დიფერენციაციას, „თანამგზავრთა“ ნაწილის პროლეტარულ მწერლობასთან დაახლოვებას. ნაწილის კი ჩამორჩენას საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ან კლასიურ მტრის ბანაკში პირდაპირ გადასვლას, „მოკ-და მწერალთა ჯგუფის აქტივიზაცია, რომელიც მოწინააღმდეგე იდეოლოგიას წარმოადგენს“ ნათქვამია ამ რეზოლიუციაში.

ყოველივე ეს ნათელი უნდა იყოს ჩვენში ყველასათვის და პირველ რიგში ლიტერატურულ კრიტიკოსისთვის, რომელიც სისტემატიურად იწევს (ავად თუ კარგად) მოღვაწეობას ლიტერატურული კრიტიკის ასპარეზზე. მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არაა. მწერლობაში კლასიური ბრძოლის არსებობა თურმე არ ყოფილა ყველასათვის ცხადი, და რაც მთავარია, ჩვენი ზოგიერთი ბეჭდვითი ორგანოებისთვისაც კი. ლიტერატურაში კლასიური ბრძოლის მიჩქმალვის და უარყოფის შესახებ ჩვენში სწერენ წერილებს. მათ „ასაბუთებენ“ და ითანხმებენ მათზე ბეჭდვითი ორგანოს რედაქციასაც.

თანხმობით ძირითადი მოსაზრების გაზიარებით უნდა აეხსნათ ის ფაქტი, რომ ჟურნალ „განათლების მუშაკი“ (№ 5—6) ყოველგვარი შენიშვნის გარეშე ათავსებს მოქ. თ. ბეგიაშვილის წერილს—„ქართული მწერლობა 1928 წელში“.

რას ამტკიცებს ბეგიაშვილი ამ წერილში? იმას, რომ ყოველივე წესიერად, მშვიდობიანად მიმდინარეობს. რომ ქართული მწერლობა მთლიანად (?!) (სულ უმნიშვნელო გამონაკლისით) დაირაზმა მუშურ-გლეხური ლიტერატურის გარშემო და ერთსულოვნად ქმნის და აღრმავებს მშრომელთა კულტურას. ბეგიაშვილი ერთის ხელის დაკვრით შლის ყოველგვარ კლასიურ ზღუდეებს სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა შორის და ამტკიცებს ჩვენს მწერლობაში გამეფებულ „ჰარმონიას“. ბეგიაშვილი და „განათლების მუშაკი“-ს რედაქცია არ იზიარებენ ამგვარად მწერლობაში არსებულ დიფერენციაციას, იმას, რომ ქართულ მწერლობაში არსებობს როგორც პროლეტარულ რევოლიუციასთან ახლო მდგომი ლიტერატურული ჯგუფები, ისე მერყევი და აშკარად მოწინააღმდეგენიც.

ბეგიაშვილს გასული 1928 წელი მეტად დიდი მნიშვნელობის გარდატეხის წლად მიაჩნია. „ქართველ მწერალ-პოეტების შემოქმედების ტემპი ჩვეულებრივი იყო. (?!) იდეოლოგიური მხარე მისი უფრო გამოირკვა, უფრო ჩამოყალიბდა. 1928 წლის მწერლობაში იშვიათად ღა შეხვდებით მისტიურ ხასიათის ნაწარმოებს, მეტაფიზიკურ ძიებას ბურჟუაზიული იდეოლოგიით დატვირთვას და პოლიტიკურ გაორებასაც კი, ერთის შეხედვით ქართულ მწერლობაში თითქოს სხვადასხვაობა გაქრა, ჯგუფობრივი დარაზმვა მინიმუმამდე დავიდა, იდეოლოგიური წინააღმდეგობანი შენელდა და ქართველი მწერლები ერთძალოვნად და ერთსულოვნად ქმნიან მუშურ-გლეხურ ლიტერატურას, მშრომელთა კულტურას. მცირე გამონაკლისს ყურადღებას არ მივაქცევთ.. ზღვარის დადებაც ძნელიც კი, თუ სად თავდება პროლეტარული პოეზია და სად იწყება თანამგზავრული (ძველი ტერმინებზე რომ ვიხმაროთ). იდეოლოგიურად, იშვიათ გამონაკლისის გარდა, ამ სხვაობის აღმოჩენა ძნელიც კი გახდა იმდენად ქართული პოეზია გარკვეულ გზას დაადგა“. (ხაზი ჩვენია—დ. გ.).

ნუ თუ ყოველივე ეს მართალია. ნუ თუ ბეგიაშვილის ამ მოსაზრებას იზიარებს „განათლების მუშაკი“-ს რედაქცია, რომელიც იმდენად განათლებული მაინც უნდა იყოს, რომ ესმოდეს პარტიული პოლიტიკის ანბანი მხატვრულ ლიტერატურაში? საიდან გამოყავს მაინც მოქ. ბეგიაშვილს ასეთი ახირებული დასკვნა? თურმე იქიდან, რომ „ძმიმე ინდუსტრიის განვითარება. წარმოების ილექტროფიკაცია და დანარჩენი ტექნიკური გაუმჯობესებანი მოსახლეობის სოციალურ ნიველირებას ხელს უწყობენ, კულტურულ სფეროშიაც დამყარებენ იგინივე ამ ნიველირებას, რომელსაც ჩვენ ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში აშკარად ვამჩნევთ“. (იხ. „განათლების მუშაკი“ № 5—6).

მოქ. ბეგიაშვილი ძალიან შორს გარბის და არსებულ სინამდვილის გვერდს უვლის. ბეგიაშვილი თავს გვახვევს ჩვენ სოციალურ ნიველირებას და ივიწყებს მოცემულ კონკრეტულ მომენტში კლასთა ბრძოლას ქალაქად და სოფლად, რომელიც ჩვენს თვალწინ ვითარდება, რომლის შესახებ ამდენს ლაპარაკობენ, ამდენი იწერება და რომლისაკენაც მიპყრობილია მთელი პროლეტარული საზოგადოებრივობის ყურადღება. ბეგიაშვილი არ ცნობს იმას, რომ წინაკაპიტალისტური ფორმების შედარებით დიდი ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში, ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო მეტად გლეხური (ე. ი. წვრილ მწარმოებრივი, ინდივიდუალურ მესაკუთრეობრივი) ხასიათი, ნაციონალიზმი და სხვა აბრკოლებენ. აგვიანებენ ქართულ მწერლობაში სხვადასხვაობის გაქრობას. ის ვერ მიმხვდარა, რომ სოციალური ნიველირებაცა და, რაც საყურადღებოა, იდეოლოგიაში ნიველირებაც შეუძლებელია მანამ, სანამ არსებობენ კლასები, კლასიური სახელმწიფო და კლასიური საზოგადოება. ბეგიაშვილი ხელს აფარებს იმას, რაც ყველასათვის დასანახია და რაც კარგა ხანია აღნიშნა კომუნისტურმა კრიტიკამ. იმის შემდეგ, რაც 1928 წელს ჩვენ მივიღეთ „დამპატიჟე“, „შავი კლდე“, „ჯამუ“ და საეჭვო სიმბოლიზმით გაჟღენთილი „[illegible] შადური“, როგორ შეიძლება ლაპარაკი რომ „იდეოლოგიური წინააღმდეგობანი. შენელდა“. „არიფიონი“-ს მოწამეს როგორ შეუძლია ამტკიცოს, რომ 1928 წლის მწერლობაში იშვიათად-ღა შეხვდებით მისტიურ ხასიათის ნაწარმოებს, მეტაფიზიკურ ძიებას, ბურჟუაზიული იდეოლოგიით დატვირთვას და პოლიტიკურ გაორებასაც კი“. მ. ჯავახიშვილი, რომელიც ჩვენს სოფელში ვითომდა არსებულ ვითარების ბნელ სურათს გვიხატავს, პროტესტს აცხადებს მწერლობაში ქურდის მკერწყლავებისა და ჩეკის მშენდავების შემოჭრის წინააღმდეგ—განა აქ არ ჩანს ბურჟუაზიული იდეოლოგიით დატვირთვა და პოლიტიკური გაორებაც? ავტორის მხედველობიდან გამოეპარა მიხეილ ჯავახიშვილის „დამპატიჟე“-ს „შავი კლდე“. ის ჯავახიშვილს ქებას ასხამს. დიდ დამსახურებას მიაწერს ქართული პროზისთვის ახალ მიზნების დასახვაში და სხვა და ის კი არ უნდა გაიგოს, რომ ჯავახიშვილმა დიდი ნაბიჯი გადადგა უკან, ცუდისაკენ,

ბეგიაშვილს არ სურს ილაპარაკოს კ. გამსახურდიას შესახებ, რადგან ის „მცირე გამონაკლისს შეადგენს“ და ყურადღების ღირსათ არ თვლის მას. მაგრამ სწორედ გამსახურდია წარმოადგენს ძველი საქართველოს „იდეოლოგიურ აგენტს“, კაცს, რომელიც შენატრის მუსოლინის მთლიან იტალიას და ფაშიზმის სასწაულთმოქმედების (იხ. „ახალი ევროპა“) გამსახურდია (იხ. მოთხრ. „ჯამუ“). ამართლებს მშრომელთა დოვლათის გატაცების ცდას. ხოტბას ასხამს ყაჩაღ ინდივიდს, რომელიც მოსკოვის ერთ-ერთ ბანკს დაეცა, გამსახურდია ამართლებს ინდივიდის, რადგან გადაგვარებულ ავაზაკში მან იცნო თავისი „რასის ქედმაღლობა“. რომელია გამსახურდიას ის ქედმაღალი რასა, რომლის ყაჩაღებსაც თავის შვილებათ სთვლის. რისთვის დასჭირდა მოქ. ბეგიაშვილს მისტიკის და მეტაფიზიკური ძიების უარყოფა ქართულ მწერლობაში, მაშინ როდესაც უხვად მოიპოვება ისინი იმავე გამსახურდიას 1928 წლის შემოქმედებაში. თავს იჩენს მით გრ. რობაქიძის „ფალესტრა“, რომელიც ერთის მხრივ წარმოადგენს დაცემის გზაზე შემდგარ ბურჟუაზიული ევროპის „შეშლილი ქანქების“ იდეალიზაციას და ადოლფ უნგარებისა და პერეცების (რობაქიძის გმირებია) სახით უხვად აქსოვს მისტიკასა და მეტაფიზიკას მარგალიტებ.

ნუ თუ იქვე შეგვიძის თვით პოლიტიკურ გაორებაზე, (თუ უფრო მეტი არა) როდესაც ქიქოძეებს საეჭვოთ მიაჩნიათ ჩვენი ყოველგვარი წამოწყება, როდესაც ჯვარის მონასტრის მონუმენტალობას უფრო მაღლა აყენებენ ჩვენი აღმშენებლობის სიმაყე ზაჰესთან შედარებით მიკიბულ-მოკიბულად ამტკიცებენ ჩვენი ე.ი. პროლეტარული კულტურის) ბარბაროსულ ხასიათს და მის უიდეობას. როგორ შეიძლება დავივიწყოთ ვალერიან გაფრინდაშვილი (და არა მარტო ის—„ცისფერი ყანწები“-ს ორდენიდან), რომელიც მსოფლიო რევოლიუციისათვის წამებულთ—საკოსა და ვანცეტის ქრისტეს ჯვარცმას ადარებს და ზეციურ სამოსელში ხვევს.

ზედმეტია სათითაოდ მისტიური ძიების. პოლიტიკური გაორების და კლასიური წინააღმდეგობის სხვა ფაქტების ჩამოთვლა. ჩვენი ლიტერატურის ობიექტიურ მეთვალყურეს არ შეუძლია ვერ დაინახოს ამ ფაქტებს და არ დაინახოს ის, რაც თვითეული ჩვენთაგანის თვალწინ ხდება. ყალბია ამის გამო „კრიტიკოს“ ბეგიაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „იდეოლოგიური წინააღმდეგობანი ლიტერატურაში შენელდა“. რომ „ქართველი მწერლები ერთძალოვნად და ერთსულოვნად ქმნიან მუშურ-გლეხურ ლიტერატურას, მშრომელთა კულტურას“. ჩვენში დღითი-დღე იზრდება და მტკიცდება პროლეტარული მწერლობა, ნელა, დიდის წინააღმდეგობით და უკან-უკან ცქერით, იქმნება ნამდვილ თანამგზავრთა კადრი, მაგრამ მეორის მხრით, ნაწილი გუშინდელი თანამგზავრების პირდაპირ და უშუალოდ გადადის კლასიური მტრის მხარეზე, ხდება მტრული იდეოლოგიის მატარებელ მწერალთა ჯგუფის აქტივიზაცია, როგორც ამბობს პარტიის საოლქო კომიტეტის რეზოლიუცია. აქვე უნდა ითქვას, რომ ბეგიაშვილს ტერმინი „თანამგზავრი“ უკვე მოძველებულად მიაჩნია, რადგან მან უკვე გამოაცხადა ქართული მხატვრული ლიტერატურის „ნიველირობა“.

ის ფაქტი, რომ საერთო ჯამში მწერალთა დაჯგუფების საკითხი ჩვენს სასარგებლოდ წყდება, არ გვაძლევს მაინც იმის უფლებას, რომ ქართველი მწერლები (ძალიან მცირე გამონაკლისით) პროლეტარული ლიტერატურის, მშრომელთა კულტურის სამსახურში ჩავთვალოთ. ჩვენ ერთი წუთითაც ვერ დავივიწყებთ კლასიურ ბრძოლას, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში სწარმოებს, ჩვენ ვერ გამოვაცხადებთ ხელაღებით, რომ გაქრა ქართული მწერლობიდან მისტიური და მეტაფიზიკური ძიება, ნაციონალისტურ ბურჟუაზიული ტენდენციები და მტრული იდეოლოგიის გამოვლინება. როგორ არ მოიხსენება ჩვენი „კრიტიკოსს“, რომელიც ძალიან ცდილობს მარქსისტულად აზროვნებას, რომ დღემდე გამოურკვეველია. მთელი რიგ მწერალთა ფიზიონომია, რომ პროლეტარულ მწერლობას უხდება ბრძოლა მრავალ ფრონტზე და დიდი სიძნელითა გადალახვა განვითარების გზაზე, რომ ჩვენ გვყავს შინაური ემიგრანტები მწერლობაში და ისეთები, რომელნიც სხვადასხვა „მოსაზრებათა“ გამო მიყუჩებული არიან.

სწორედ 1928 წელმა მოგვცა ჩვენ უმთავრესად „არიფიონის“ სახით საუკეთესო ნიმუში კლასიური ბრძოლისა ქართულ მწერლობაში, სწორედ გასული წლის მთელ რიგ ლიტერატურული ფაქტებით გამომჟღავნდა ჩვენი მწერლობის მრავალი ბუნდოვანი მხარეები და ასეთ პირობებში იმის გაბედვა მტკიცება, რომ ყოველივე რიგზეა. რომ „ჯგუფობრივი დარაზმვა მ-ნიმუმამდე დავიდა“. იდეოლოგიური წინააღმდეგობანი შენელდა“—არის სინამდვილის უხეში დამახინჯება და მეტად მავნე ილიუზია, რომელსაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია მით უმეტეს, როდესაც ის საღდება საბჭოთა ჟურნალის მოხიბით.

დ. გვაზავა.

25 თებერვალი თბილისში

ლიტერატურული საღამო

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების რვა წლის თავის აღსანიშნავად საქ. მწერალთა ფედერაციამ 25 თებერვალს, მეცნიერთა კავშირის კლუბში მოაწყო დიდი ლიტერატურული საღამო. საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა მწერლების ფედერაციის თავმჯდომარემ ამხ. ს. თოდრიამ. რომელმაც ხაზი გაუსვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ წინსვლას რვა წლის განმავლობაში. ჩვენს წინაში გადაუდებელ ამოცანად სდგას კულტურული რევოლიუცია, რომლის განხორციელებაში მწერლობას მინიჭებული აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ჩვენი საღამო—სთქვა ამხ. თოდრიამ ატარებს საზეიმო და საანგარიშო ხასიათს, დღეს ჩვენ ჯამს ვუკეთებთ იმ ნაკლსა და მიღწევებს, რომელიც ახასიათებს ქართულ მწერლობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების რვა წლის თავზე.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გრიგოლ რობაქიძემ. რომელმაც აღნიშნა მწერლობის მნიშვნელოვანი დაშორება თანადროულობისაგან.

საქ. პროლეტმწერალთა სახელით ილაპარაკა ამხ. ბენიტო ბუაჩიძემ.

ლექსები წაიკითხეს: ა. მაშაშვილმა, გ. ტაბიძემ, კ. ნადირაშვილმა, გ. ქუჩიშვილმა, გ. ცეცხლაძემ, ს. ჩიქოვანმა, კ. ლორთქიფანიძემ, ს. შანშიაშვილმა, ტ. ტაბიძემ ი. ხოშტარიამ, ვ. ჟღულმა, კ. ბობოხიძემ და პ. იაშვილმა. დასასრულ გაიმართა კონცერტი. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

მელითონეთა საზეიმო სხდომა

25 თებერვალს, საღამოს 8 საათიდან მელითონეთა კლუბის ვეებერთელა დარბაზი გაივსო საზეიმო სხდომაზე მოსული მუშებით. სხდომაზე 25 თებერვლის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვანო სტურუამ. რომელმაც დაახასიათა მენშევიკების დროინდელი საქართველო, მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის აღმავალი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა და აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის და კულტურული რევოლიუციის ფრონტზე. მომხსენებლის მახვილი სიტყვები მქუხარე ტაშით იქნა დაფარული.

სხდომა მქუხარე ტაშით შეხვდა სამთავისის კომუნის წარმომადგენელ გლეხის მისასალმებელ სიტყვას.

საზეიმო სხდომის შემდეგ კლუბთან არსებულ დრამწრის მიერ დაიდგა პიესა—„ღვდევა“.

ნარიმანოვის სახელობის კლუბში

23 თებერვალს ნარიმანოვის სახელობის კლუბში შესდგა ხარფუხის უბნის მასწავლებლებისა და მოსწავლეების საზეიმო სხდომა საქ. საბჭ. ხელისუფლების დამყარების და წითელ ჯარის არსებობის 11 წ. თავის აღსანიშნავად. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ თბ. კომიტეტის, ამ. პიონერ კოლექტივის და თბ. განათლ. განყ. წარმომადგენელნი და ქართულ, თურქულ და სომხურ სკოლების მასწავლებლები და მოწაფეები.

სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა.

საცეკვაო ხელოვნების სკოლაში

24 თებერვალს განსახკომის ხელოვნებათა მთავარსამმართველოს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საცეკვაო ხელოვნების № 2 სკოლაში შესდგა საზეიმო სხდომა. სკოლის დარბაზი მორთული იყო პლაკატებით, ლოზუნგებით და ბელადების სურათებით. სხდომა გახსნა ამხ. მ. მახნიაშვილმა, ხელოვნების მთავარსამმართველოს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საცეკვაო სკოლების სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ქ. კობახიძემ. საქართ. საბჭ. ხელისუფლების დამყარების 8 წლის თავის და წითელი არმიის არსებობის 11 წლის თავის აღსანიშნავად მოხსენება გააკეთა ამხ. ა. რუხაძემ. საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა უფასო საღამო.

ცენტრალური ზოოტექნიკური და მანქანა-იარაღების საცდელი სადგურების გახსნა

24 თებერვალს სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის შენობაში მოხდა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ინიციატივით მოწყობილი ცენტრალური ზოოტექნიკური და მანქანა-იარაღების საცდელი სადგურების საზეიმო გახსნა.

საზეიმო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მიწადმოქმედების სახ. კომისარი ამხ. ს. ჯუღელი. მან დაახასიათა ცენტრალური ზოოტექნიკური და მანქანა-იარაღების საცდელი სადგურების დაარსების მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საქმეში და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველო, როგორც სოფლის მეურნეობის ქვეყანა, აღორძინების გზაზე დადგა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

— ჩვენი სოფლის მეურნეობა, ამბობს ორატორი, ჩამორჩენილი იყო და იგი პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 8 წლის თავზე, ჩვენ მოწმენი ვხდებით, თუ როგორი დიდი ნაბიჯია ამ მხრივ გადადგმული წინ და როგორ გაიზარდა ჩვენი სოფლის მეურნეობა, აღნიშნული სადგურების გახსნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-8 წლის თავზე უტყუარი საბუთია იმის, რომ საბჭოთა სოციალისტური მშენებლობა ჩვენში მიმდინარეობს მეტად სწრაფი ტემპით და შორს აღარაა ის დრო, როცა ჩვენი სოფლის მეურნეობა უკან ჩამოიტოვებს კაპიტალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობას. საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ უფრო რაციონალურ ნიადაგზე იქნეს დაყენებული ჩვენი სასოფლო მეურნეობა. დღეს გახსნილი საცდელი სადგურების მთავარი მიზანიც იმაში მდგომარეობს, რომ მათი საშუალებით უფრო გაადვილდეს სოფლის მეურნეობის რაციონალიზაცია და რეკონსტრუქცია.

შემდეგ ამხ. ს. ჯუღელი აღნიშნავს იმ დიდ დამსახურებას, რომელიც მიუძღვის აღნიშნული სადგურების ორგანიზაციის საქმეში პროფ. ი. ჟანდიერს და კ. ამირეჯიბს.

ამხ. ჯუღელის სიტყვის შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიის დადგენილება იმის შესახებ, რომ ცენტრალური ზოოტექნიკურ სადგურს ეწოდოს ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელი. საზეიმო სხდომა მქუხარე ტაშით ხვდება დადგენილებას.

სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა აგრეთვე მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის ბრძანება, რომლითაც მადლობა აქვს გამოცხადებული პროფ. ი. ჟანდიერს იმ ნაყოფიერი და ენერგიული მუშაობისთვის, რომელიც მან გამოიჩინა ცენტრალური ზოოტექნიკური სადგურის ორგანიზაციის საქმეში.

საზეიმო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: მთავრობისა და კომუნისტური პარტიის სახელით—ამხ. ს. თოდრია, თბილისის მეცხრე პარტკონფერენციის სახელით—ამხ. ლომთათიძე და პოპოვი. სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სახელით—ვ. კანდელაკი და თამამშევი. ა.-კ. სავეტერინარო ინსტიტუტიდან—პროფ. მოსინი. განჯის სასელექციო სადგურიდან—ი. იანუშევსკი, თბილისის ბოტანიკური ბაღიდან—ი. ლომაური და საქ. ექსპერიმენტალური აგრონომიული ინსტიტუტიდან—აგრ. ბ. რუხილაძე.

მისალმებათა შემდეგ წაკითხულ იქნა მრავალი მისასალმებელი დეპეშები საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და სამეცნიერო დაწესებულებიდან.

დასასრულ, ორივე აღნიშნული სადგურის მოწყობისა და მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთეს—პროფ. ი. ჟანდიერმა და კ. ამირეჯიბმა. მოხსენებათა შემდეგ დამსწრეებმა დაათვალიერეს სადგურები.

მცხეთის სახერხი ქარხნის გახსნა

25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლის თავზე, მოხდა მცხეთაში ახლად აგებული სახერხი ქარხნის საზეიმო გახსნა. ქარხნის გახსნაზე დასასწრებლად თბილისიდან გაემგზავრნენ პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. მაჩაიძე სხოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ი. პავლოვი. სატყეო მრეწველობის ტრესტის მმართველი ამხ. ნ. ბრეგვაძე, ხეზე მომუშავეთა პროფკავშირის თავმჯდომარე ამხ. დემეტრაშვილი და სხ.

12 საათზე ქარხნის შენობაში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც ქარხნის მუშების გარდა დაესწრნენ მახლობელი სოფლების გლეხობა და თბილისიდან ჩასული სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და წარმოებების წარმომადგენლები.



ქარხნის მთავარი შენობა

ქარხნის გახსნის გამო მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ნ. ბრეგვაძე, რომელმაც ხაზი გაუსვა ჩვენი სატყეო მრეწველობის ზრდას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და განმარტა რა მნიშვნელობა ექნება აღნიშნული ქარხნის ამუშავებას სატყეო მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი, სთქვა ამხ. ბრეგვაძემ—ჩვენი პროლეტარიატის სიამაყის—ზაჰესის აგება, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს აღწევს პროლეტარიატი გამარჯვებებს აღმშენებლობის ფრონტზე. დღეს ჩვენ ვზეიმობთ მორიგ გამარჯვებას სოციალისტურ მშენებლობაში და სრული დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგი წლები კიდევ ახალ-ახალ გამარჯვებებს გვიმზადებენ.

ამხ. ი. პავლოვი თავის მისასალმებელ სიტყვაში ეხება საკითხს და მოყავს ინდუსტრიალიზაციის საკითხს და მოყავს ცნობები თუ რამდენათ იზრდება და ვითარდება ჩვენი მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

პროფსაბჭოს სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. ბ. მაჩაიძე.

— ის გულწრფელი სიხარული, ამბობს ამხ. მაჩაიძე, რომელიც დღეს მოფენილია ყველა აქ დამსწრის სახეს, თავდებია იმისა, რომ დღეს ამუშავებულ ქარხანაში მომუშავე მუშები მუდამ თავის მოვალეობის სიმაღლეზე იქნებიან და ყოველმხრივ შეეცდებიან გააუმჯობესონ და გაადიდონ ქარხნის პროდუქცია ახალ ქარხნებში ჩვენმა მუშებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

მოგესალმებით პროფსაბჭოს სახელით და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ამ ქარხანაში.

ამხ. მაჩაიძის შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. დემეტრაშვილმა და ადგილობრივი მუშების წარმომადგენლებმა.

მიტინგის დამთავრების შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს სამანქანო განყოფილება. მანქანებისა და მოწყობილობის დაწვრილებით დათვალიერების შემდეგ მიტინგის მონაწილეთა თანდასწრებით ამუშავებულ იქნა სახერხი დაზგა.

მანქანების საცდელის ამუშავების დროს აუშვეს ქარხნის საყვირი, რითაც დამთავრდა ზეიმი.

გუშინ დილიდან ქარხანა უკვე შეუდგა მუშაობას. ნედლი მასალით ქარხანა უზრუნველყოფილია.

მეორე საკავშირო საფილოქსერო თათბირი

მე-5 და მე-6 დღე

23 და 24 თებერვალს, თათბირის მეხუთე და მეექვსე დღის სხდომებზე მოსმენილ იქნა პრინცის, კალანდაძის და ალექსიძის მოხსენებები ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდების შესახებ. მომხსენებლებმა თათბირს გააცნეს ქიმიური ბრძოლის სხვადასხვა მეთოდები, მათი ხასიათი და მიზანშეწონილობა. ერთი ასეთი მეთოდთაგანია გოგირდ-ნახშირბადის ძველებური წესით გამოყენება და მისი საშუალებით დასნეულებული ლერწამის მოსპობა, რადიკალურ მეთოდს ეკუთვნის აგრეთვე წესი, რომელიც ამჟამად ძალიან გავრცელებულია გერმანიაში: სახელდობრ — დაუზიანებელი სარტყლის და ავადმყოფობის ბუდის წინასწარი დეზინფექცია. ფართოდ არის აგრეთვე გავრცელებული მკურნალობის კომბინაციური მეთოდი, რომელიც გულისხმობს ავადმყოფობის ბუდის და დაუზიანებელი სარტყლის მოსპობას და მეორე მხრით, დაუზიანებელ სარტყლის ახლო მდებარე ვაზის ნაწილის მკურნალობას.

დეზინფექციის საშუალებებს წარმოადგენენ: გოგირდ-ნახშირბადი, ტეტრაქლორეტანი, პარადიქლორბენზოლი, ნავთი წმინდა სახით და აგრეთვე ამ ნივთიერებათა ნარევი და ემულსია.

ზემოხსენებული ქიმიური საშუალებებით ბრძოლის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წელიწადის დრო, ამინდი და ნიადაგის და ქვენიადაგის ხასიათი, ვაზის მოვლის წესი და მისი მდგომარეობა.

შემდეგ კომისიებში მოსმენილ იქნა კიდევ რამოდენიმე მოხსენება მევენახეობის სხვადასხვა რაიონებში ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

კვირას საღამოს თათბირმა მიიღო თეზისები გაკეთებულ მოხსენების გარშემო რის შემდეგაც თათბირი დაიხურა.

საბავშვო სანატორიუმის მოწყობა კობულეთში

ცეკთან არსებულ უპატრონო ბავშთა დამხმარე კომისიის გადაწყვეტილებით მომავალი გაზაფხულიდან ქობულეთში გაიხსნება საბავშო სანატორიუმი 50 საწოლით. ჯანმრთელობის კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს დასკვნით ქობულეთში სანატორიუმი უნდა გაიხსნას უმთავრესად ჯირკვლებისა და ძვლების ჭლექით დაავადებული ბავშვებისათვის.

საკუროტო სამმართველოს დავალებული აქვს დაამუშაოს და ახლო ხანში წარადგინოს ჯანსახკომში სანატორიუმის მოწყობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. წინასწარი ვარაუდით სანატორიუმის სრული მოწყობა დაჯდება დაახლოებით 154.000 მანეთი.

სანატორიუმის გასახსნელ ადგილად დასახელებულია დეინიენკოს ყოფილი აგარაკი.

საქ. ს. მ. უ. საბჭოს შემადგენლობა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობა სახკომსაბჭომ შემდეგი სახით დაამტკიცა: ამხ. გ. ყურულაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ი. პევცოვი, ი. ქელიძე, ა. კალანდაძე, ლ. ელბაქიანი, ნ. იორამაშვილი, კ. მოდებაძე, ვ. ავაქოვი, ნ. აივაზოვი, დ. მახარაძე, ვ. ფრიდონოვი, გარინი, ლ. მანჯგალაძე, დ. რუხაძე, რონზანი, ამირალოვი, ვ. ორეშიძე, სუგაკი, ალლაძე, ზანთარია, გაგლოევი, ი. ბრეგაძე, ბ. მაჩაიძე, ს. გოდაბრელიძე, ს. ხვედელიძე, მატინიანი, [illegible], [illegible]ძე, გოზალოვი, შანშიაშვილი, ნ. ნიკიტინი, კ. [illegible], ს. გამეზარდაშვილი, გოგეშვილი, კრავცოვი, ხუბულოვა, ერქომაიშვილი (ქუთაისიდან), ილ. კალანდაძე, ფარნიევი, ბაიდაშვილი, იუზბაშიანი, კაკაბაძე (ინჟ. ბიურო), პროფ. თვალჭრელიძე, ინჟ. მელიქ-ფაშაევი, ინჟ. წულუკიძე, პროფ. ჯანელიძე, ხარაზიანი, მზარეულიშვილი და ს. კუბალეიშვილი.

ქრონიკა

ს. მ. უ. საბჭოს პლენუმი გადადებულია

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პლენუმი, რომელიც უნდა გახსნილიყო 27 თებერვალს, გადადებულია 6 მარტისათვის.

საექსპორტო ხე-ტყის დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის დავალებით საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი ამჟამად აწარმოებს საექსპორტო ხე-ტყის დამზადებას. ჩეხო-სლოვაკიაში გასატანად მზადდება 5 ვაგონი ე. წ. ჯადარიანი ბოკვის მერქანი, რომელსაც ხმარობენ სხვადასხვა მუსიკალური იარაღების, უმთავრესად სკრიპკების დასამზადებლად.

თბილისის აღმასკომში

◆ ექსპონატების გაგზავნა ბაქოს გამოფენაზე. ბაქოს ბაზრობაზე მოიწყობა დიდი სამრეწველო გამოფენა, რომელზედაც საქართველოს მრეწველობას დათმობილი ექნება ცალკე პავილიონი. თბილისის აღმასკომმა დაავალა თავის წარმოებებს შეუდგნენ შესაფერი ექსპონატების დამზადებას და გაგზავნას.

◆ წყალდიდობასთან საბრძოლველად. კომუნალური განყოფილება შეუდგა სამზადისს მდ. მტკვარის ნაპირების გასამაგრებლად ქალაქის იმ რაიონებში, სადაც შესაძლებელია წყალდიდობის დროს ქალაქს ზიანი მიადგეს.

საქ. მთიელთა საზოგადოებაში

საქ. მთიელთა კულტ-საზოგადოების გამგეობამ თებერვალში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები დაარსა სოფ. ჯუთაში, ბარისახოში და არხოტში (ხევსურეთში), გარდა ამისა დაარსებულია საზოგადოების ქვედა უჯრედები ხევსურეთში, ფშავში, მთიულეთში, ზემო და ქვემო სვანეთში და მთის რაჭაში. ყველა უჯრედს გამოეწერა გაზეთები. ქ. თბილისში საზოგადოებამ რიყეზე გახსნა სამკითხველო, რომელშიც ყოველდღიურად სწარმოებს გაზეთების ხმა-მაღლა კითხვა და ტარდება საუბრები.

სხვადასხვა

◆ დახმარების გაცემა. სოც. დაზღვევის კომიტეტმა დახმარების სახით თბ. თავდაცვაავიახიმს გადასცა 250 მანეთი.

◆ სანიტარული ავიაციის საერთაშორისო კონგრესი. საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებაში მიღებული ცნობებით მაისში პარიზში მოწვეულია სანიტარული ავიაციის საერთაშორისო კონგრესი. რომელსაც დაესწრება საქართ. წითელი ჯვრის წარმომადგენელი.

◆ მოძრავი სამკითხველოების მუშაკთა მომზადება. მიწა-ტყის მუშაკთა პროფკავშირთან გაიხსნა მოძრავი სამკითხველოების ხელმძღვანელთა მოსამზადებელი 2 თვიანი კურსები.

◆ დღეს, ოთხშაბათს, 27 თებერვალს, საღამოს 8 საათზე სოციალური ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქუჩა № 12), შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა საერთო კრება.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ტირაჟი გურჯაანში

გურჯაანში დამთავრდა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მესამე ტირაჟი.

გურჯაანიდან დაბრუნებულმა საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსმა ნ. ქოიავამ ტირაჟის შედეგების შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

ტირაჟი განსაკუთრებულის ინტერესით და წარმატებით ჩატარდა. სესხის გათამაშებას სამი დღის განმავლობაში დაესწრო 9.000 გლეხი. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ტირაჟზე გლეხობა ჩამოდიოდა კახეთის შორეულ კუთხეებიდან.

სატირაჟო კომისიების სხდომებზე გლეხობას შემოჰქონდა მრავალი სხვადასხვა გვარი კითხვები სახელმწიფო სესხების შესახებ.

შენობაში, სადაც ტირაჟი მიმდინარეობდა, მოწყობილი იყო ცნობათა მაგიდა, რომელიც იმდენად იყო დატვირთული, რომ ვერ ასწრებდა პასუხის გაცემას გლეხობის ყველა შეკითხვებზე.

ადგილობრივ გაცემულ იქნა ოცდაათზე მეტი მოგება.

სატირაჟო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე გლეხებმა სატირაჟო კომისიას გადასცეს წითელი დროშა.

ორგანიზაციული მხრივ ტირაჟი კარგად ჩატარდა, რაც უნდა მიეწეროს სამაზრო აღმასკომის და სამაზრო საფინანსო განყოფილების ენერგიულ მუშაობას.

რკინის გზებზე

თოვლი რკინის გზებზე

24 თებერვლიდან ა.-კ. რკინის გზების ყველა უბანზე დაიწყო ძლიერი თოვა.

გზის სამხრეთ უბანზე, კაალტახჩიდან-ლენინაკანამდე მუშაობდენ თოვლმწმენდავი მანქანები.

აღმოსავლეთ უბანზე (აჯიქაბული-ბალაჯარის შუა) ადგილი ჰქონდა ძლიერ ქარბუქს. სადგ. კილიაზში (დერბენტის უბანზე) სადგურის ყველა ხაზები დაფარა თოვლმა, რის გამო ჩქარი მატარებლის ორთქლმავალმა ვერ შესძლო წყალის აღება.

დილით. 25 თებერვალს, ქარბუქი დაიწყო კასპის ხაზზე. დღის 12 საათისათვის ხაზზე გაგზავნეს თოვლწმენდი მანქანა.

უკანასკნელ დღეების განმავლობაში გზის ყველა უბნებზე განუწყვეტლივ მუშაობდენ თოვლწმენდები. მატარებლების ნორმალური მოძრაობა არ დარღვეულა.

26 თებერვალს დილით ქარბუქი რკინის გზებზე შეწყდა.

მთვრალი მემანქანე

25 თებერვალს აჰსტაფიდან ფოილოში გაგზავნეს ორთქლმავალი სახალხო მატ. № 3-ის დასახმარებლად.

ორთქლმავლის სადგ. შაქარლიში მისვლის დროს გამოირკვა, რომ მემანქანე ტოფჩიშვილი მთვრალი არის და აჰსტაფიდან თანაშემწე არ წამოუყვანია.

ორთქლმავალი მთვრალი მემანქანით დააკავეს სადგურში და გამოიწვიეს მეორე ორთქლმავალი.

ამ შემთხვევის გამო მატ. № 3-მა დაიგვიანა გზაში და გარდა ამისა მოიხსნა მთელი რიგი მატარებლები.

დაჯახება

24 თებერვალს, მისრი მარტიროსოვმა სადგ. სანაინიდან მიმავალი სატვირთო მატარებლის შეცდომით გაუშვა მეორე მატარებლით დაკავებულ ხაზზე.. მოხდა დაჯახება.. დაჯახების გამო ლიანდაგიდან გადავარდა და დაზიანდა ორი დატვირთული ვაგონი,

ქ უ თ ა ი ს ი

აბრეშუმის ძაფ-საღები ქარხნის საზეიმო გახსნა

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-8 წ. თავის და მუშურ-გლეხური წითელი არმიის არსებობის მე-11 წლის თავის დღესასწაულთან დაკავშირებით ქუთაისში მოხდა ახლად დამთავრებული აბრეშუმის ძაფ-საღები ქარხნის საზეიმო გახსნა. დღესასწაულის აღსანიშნავი მიტინგის დამთავრების შემდეგ. ზღვა ხალხი მწყობრი რიგებით გაიმართა ქალაქის ქვედა უბანში,—(საღორიასაკენ), სადაც—ახლად დამთავრდა, აბრეშუმის და ბამბის დიდი ქარხნები. მალე ქარხნის ეზო ხალხით გაიჭედა, ტრიბუნაზე ავიდენ—ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ყურულაშვილი, პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. ხოფერია და მაზრის პასუხისმგებელი მუშაკები. საზეიმო კრება გახსნა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ, ამხ. უ. ღვამიჩავამ. რომელმაც შესავალ სიტყვაში სხვათა შორის სთქვა შემდეგი: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლის თავზე ქუთაისის სამაზრო ხელისუფლება მხურვალე მუშურ სალამს უძღვნის ახლად ამუშავებულ აბრეშუმის ქარხანას. მთავრობა გამოსთქვამს რწმენას, რომ ქარხანა ღირსეულად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანას და ის გახდება ერთ-ერთი სამაყო ქუთაისის მაზრის მშრომელი მოსახლეობისათვის.

ამხ. ყურულაშვილის მისალმება

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ საქართველოს ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს სახელით, საქართველოს მუშების და გლეხების განთავისუფლების მე-8 წლის თავზე გადმოგცეთ მხურვალე სალამი. 8 წლის წინად, როდესაც ჩვენ მენშევიკურ-წვრილ-ბურჟუაზიულ მთავრობას გავდევნიდით საქართველოდან, ისინი მშრომელთა ფართო მასაში ყურისხმად გაჰყვიროდენ. რომ ბოლშევიკები მათ ქარხნებს მისცემდენ დანგრევის და განადგურების მეტს. მაგრამ არ გამართლდათ მათ ასეთი სისინი, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შესძლო დანგრეულ და განადგურებულმა საქართველოს მრეწველობამ, და მეურნეობამ აღდგენა და ასეთ, ბუმბერაზ. სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლა, ჯერ კიდევ თავიდანვე საქართველო ცნობილი იყო ბუნებრივ სიმდიდრეთა ქვეყნად. მხოლოდ დღეს შესძლეს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით ამ სიმდიდრეთა შესაფერი გამოყენება. კიდევ მეტი, ჩვენ შევსძელით აზვირთებული მდინარის ტალღების ისე დამორჩილება, რომ ის გამოგვეყენებია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის კოლექტიური მეურნეობის მშენებლობის ბაზათ. ქუთაისის აბრეშუმის ძაფ-საღები ქარხნის გახსნა. ეს დიდი ეკონომიური ნაბიჯია, ქუთაისის მშრომელი მასებისათვის სოციალიზმისაკენ. გისურვებთ მომავალში მრავალ ასეთ გამარჯვებებს სამეურნეო აღმშენებლობის ფრონტზე. შემდეგი მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. გოგოჭურმა (სამაზრკომის სახელით), მანჯგალაძემ (აბრ. ტრესტიდან), ხოფერიამ (საქ. პროფსაბჭოს სახელით), სხირელმა (სამშრომთბიუროს სახელით), ფანცხავამ (ქალთა ორგანიზაციის სახელით). კონსტანტინოვამ (წითელი ჯარის ქართული და რუსული ნაწილებიდან), ინჟ. ყიფშიძემ (საქ. ინჟ.-ტექნიკოსთა ცენტრ. ბიუროს სახელით), და მუშა ქალმა ამხ. თავდიშვილმა (ქარხნის მუშების სახელით). სიტყვების შემდეგ, ამხ. ღვამიჩავამ, საზეიმო კრებას წაუკითხა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. მიხა ცხაკაიას მისასალმებელი დეპეშა. საპასუხო დეპეშები ქარხნის 1000 მუშის სახელით გაიგზავნა, საქარ. და ა.-კ. ცაკებს. დეპეშის ტექსტის წაკითხვის შემდეგ, საზეიმო კრება დახურულად გამოცხადდა.

გრ. სვანიძე.

მიწათმოწყობა

ქუთაისი, 25 თებერვალი. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების თათბირზე შემუშავებულ იქნა მიწათმოწყობის სამუშაოთა გეგმა, რომლის თანახმად მიწათმოწყობა პირველ რიგში ჩატარდება კოლექტიურ მეურნეობებში. განზრახულია 1929 წლის 1 აგვისტოსათვის მიწათმოწყობა ჩატარდეს 757 ჰექტარზე. ამასთან ერთად იწარმოებს მუშაობა ზედმეტი მიწის ნაჭრების ჩამოსართმევად. (ადს).

მიღებულ მანქანებს ნაწილები აკლია

ქუთაისი, 25 თებერვალი. სადგურ ქუთაისში მიღებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, რომლიც ეკუთვნის ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას. დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ ბევრ მანქანას და იარაღს აკლია ცალკე ნაწილები. სწარმოებს გამოძიება დამნაშავეთა აღმოსაჩენად. (ადს).

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მე-7 მოწვევის მე-3 პლენუმის მორიგი სხდომა,

რომელიც უნდა შემდგარიყო 27 თებერვალს, საღამოს 6 საათ.

გადადებულია

და შესდგება სამშაბათს, ა. წ. 5 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე.

ნ. 2301

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

„მეფის საცოლე" მუს. რიმსკი-კორსაკოვისა.

მოთხრობა იმაზე, თუ როგორ „გაბედნიერა" თავისი ბოროტებით განთქმულმა ხელმწიფემ „იოანე მრისხანემ" უბრალო მოსახლის სობაკინის ქალიშვილი, მართა და რა შედეგი მოიტანა ამ „გაბედნიერებამ"—თანამედროვე მაყურებლებისათვის უცხო და მოსაწყენია. თვით ხელმწიფის სცენაზე ვერ ვხედავთ, აგრეთვე დაჩრდილულია მისი გამხრწნელი ზეგავლენა რუსეთის ყოფა-ცხოვრებაზე. და შემდეგ პირების მორალურ გახრწნილებას მიზეზად დასაბუთებულია რაღაც „ვულკანიური ლტოლვა" ბომელისა (მოლჩანოვი) ლიუბაშასადმი, ლიუბაშისა (რებზოვა)—გრიაზნოვისადმი და გრიაზნოვისა (მიგაი) მეფის საცოლის, მართასადმი (სტეპანოვა), ეს „სამსართულიანი" ლტოლვა დაბოლოვდება გრიაზნოვის სიკვდილით, ლიუბაშის სიკვდილით და მართას ჭკუა-გონების დაბნევით, ესე იგი მოცემულია ყველა აქსესუარები მეშჩანური მელოდრამისა. ამის მხრივ, ლიბრეტო სრულებით გამოუსადეგარია თანამედროვეობისათვის.

მიუხედავად ყველა ამისა, „მეფის საცოლეს" თვალსაჩინო ადგილი უკავია საბჭოთა ოპერის სცენაზე, ვინაიდან თანამედროვე ხელოვნება ანგარიშს უწევს ამ ოპერის მუსიკალურ შინაარსის სიმდიდრეს და რიმსკი-კორსაკოვის ნიჭიერებას. როგორც თემატიურად, ისე ტექნიკურად, ეს ოპერა მძლავრი და სანიმუშოა, რუსული მუსიკის სტილიური თვისებანი მასში გატარებულია სრული სიმტკიცით და გამშვენებული შესანიშნავი ინსტრუმენტალობით. ვოკალური პარტიები დამუშავებულია ძრიად ლამაზად, დიდი ცოდნით და მომღერლებს აძლევენ დიდ გასაქანს.

როგორც მიგაი, ისე სტეპანოვა აღზრდილი არიან რუსეთის სცენაზე და რუსული მუსიკის პირობებში, სადაც „მეფის საცოლე"-ს იყენებენ როგორც თვალსაჩინო ნიმუშს. არა მარტო ოპერის სცენაზე, არამედ კონსერვატორიაში მოსწავლეთათვისაც კი, არ არის ამიტომ საკვირველი დიდი სიძლიერე როგორც მიგაისა, ისე სტეპანოვისა, გრიაზნოვის და მართას როლებში. დაკვირვებული დამუშავება ამ როლების წვრილმან დეტალებისაც კი. ყოველივე ეს, დაკავშირებული ხსენებულ მშვენიერ ვოკალურ მასალასთან და სცენიურ გამოცდილებასთან ისეთი აკადემიურად მომზადებულ მომღერლებისა, როგორც სტეპანოვა, მიგაი და ნიკოლსკი (სობაკინის როლში),— იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას. მშვენივრად ჩაატარეს თავისი როლები სხვა მონაწილე ძალებმაც, როგორც რებზოვამ (ლიუბაშა), კანსბურგმა (ლიკოვი) და კატაევამ (დომნა საბუროვისა).

არის მთელი რიგი ოპერებისა, სადაც სახ. არტისტი ი. ფალიაშვილი, როგორც ლოტბარი, თითქმის შეუდარებელია. მათ რიცხვში უპირველესად უნდა მოვათავსოთ „მეფის საცოლე". დიდი სიფრთხილე, რომლითაც ი. ფალიაშვილი ეკიდება ამ ოპერას, ორკესტრის ჯგუფებისა სრული შეგრძნებით ამოძრავება და რიმსკი-კორსაკოვის განზრახვათა საკუთარ გაქანებასთან მიზანშეწონილი შეზავება— ახასიათებენ ი. ფალიაშვილის უტყუარ სალოტბარო ნიჭიერებას.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

ქუთაის-ბათომის სახელმწიფო დრამის გასტროლების გამო

ქუთაის-ბათომის სახელმწიფო დრამის გასტროლებზე, რომელიც იწყება 3 აპრილიდან, სახელმწიფო საოპერო თეატრის დირექციის მიერ პროფკავშირების წევრებისათვის გამოშვებული იყო ორი აბონიმენტი. ორივე აბონიმენტი უკვე სავსებით განაწილებულია ფაბქარხადგილკომებს შორის.

ვინაიდან მოთხოვნილება ბილეთებზე დიდია, ორ აბონიმენტს კი არ შეუძლია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება მოლაპარაკებას აწარმოებს ოპერის ადმინისტრაციასთან, რათა გამოშვებული იქნეს დამატებით მესამე აბონიმენტი.

— **ურთიერთობა ხელოვნებათა მეცნიერების აკადემიასთან.** განათლების კომისარიატის ხელოვნების მთავარმა სამმართველომ გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს უხელმძღვანელოს რუსეთის ხელოვნებათა მეცნიერების აკადემიასთან ურთიერთობის საქმეს. ყველა დაინტერესებულმა დაწესებულებებმა და პირებმა, რომელთაც სურთ ურთიერთობა იქონიონ ხსენებული აკადემიის ქართული ხელოვნების განყოფილებასთან, უნდა მიმართონ აღნიშნულ კომისიას.

— **მასალები ქართული მუსიკის შესახებ.** სახელმწიფო კონსერვატორიამ დაამზადა და ამ დღეებში გაგზავნის მოსკოვში, ხელოვნებათა აკადემიის ქართული განყოფილებისათვის ჩაწერილ ქართულ ხალხურ სიმღერებს და ქართულ მუსიკის მასალებს.

— **კომპოზიტორ ქალის თამარ შავერზაშვილის ნაწარმოებათა საღამო.** პარასკევს, 1 მარტს, თბ. სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ახალგაზრდა კომპოზიტორ ქალის თამარ შავერზაშვილის ნაწარმოებათა საღამო, საღამო შესდგება როგორც ინსტრუმენტალურ, ისე ვოკალურ განყოფილებებისაგან და მასში ავტორთან ერთად მონაწილეობენ სახელმწიფო ოპერის და კონსერვატორიის საუკეთესო ძალები: დანელიანი, სანდრო ინაშვილი, ნ. ქუმსიაშვილი, კაპელნიცკი, ვ. სვიმონიშვილი, მადლ. ივთიაშვილი და სხვ.

შემთხვევები

რუსთაველის პროსპექტზე მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამორკვევა

გუშინ გამომძიებელმა ამხ. ძაგანიამ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეების. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ვატმანებს ივანე პორონშინს და იაკობ ისკანდერს ვაგონები დიდი სისწრაფით მიჰყავდათ. საქმის შემოწმებით მეფურგონე გრიგოლ არუთინოვი მთვრალი აღმოჩნდა. ირკვევა აგრეთვე, რომ ვატმანებმა ვაგონების გაჩერება ვერ მოახერხეს ლიანდაგის სიძველის გამო. ვატმანები და მეფურგონე დაპატიმრებულია.

ხულიგნობა

გუშინწინ, საღამოს 11 საათზე, მთვრალმა იკოფ არუთინოვმა და ბაირამ ჯაფაროვმა აბანოს ქუჩაზე რამოდენიმეჯერ გაისროლეს რევოლვერიდან. როცა საგუშაგოზე მყოფმა მილიციელმა მოუწოდა მათ წესიერებისაკენ, ხულიგნები გაბრაზდნენ და განიზრახეს სროლის გაგრძელება. ამის შესახებ აცნობეს სისხლის სამართლის მილიციის ინსპექტორს ამხ. შ. გრიგოლიას, რომელმაც დიდის დაი-ვაგლახით ორივე ხულიგანი დააპატიმრა. ს. ს. მილიციის ცნობით, დაპატიმრებულებს აქვთ ქურდობის და ჯიბგირობის რამდენიმე რეგისტრაცია. გაჩხრეკისას მათ აღმოაჩნდათ ნაგანისა და ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი ვაზნებით.

თავის დაწვა

სოფიო გიორგის ასულმა იაშვილმა (მცხ. საბჭოთა ქ., № 31), თვითმკვლელობის მიზნით ნავთი გადაისხა ტანსაცმელზე და ცეცხლი წაუკიდა.

ყვირილზე მისულმა მეზობლებმა იაშვილს ქალი დაწვას გადაარჩინეს.

დაჯახება

კვირას, 24 თებერვალს, სასწრაფო დახმარების ავტო-მანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი სერგო შუტოვი, კახეთის ქუჩაზე (№ 41 სახლის პირდაპირ) დაეჯახა ტრამვაის რკინის ბოძს. დაჯახების დროს დაშავდა სანიტარი არამ გრიგოლისძე ავეტისოვი. იგი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. ავეტისოვს ნაღრძობი აღმოაჩნდა მარჯვენა ხელი, რომელიც ოპერაციის დროს მოსჭრეს.

— საბჭოთა ქუჩაზე ეტლი, რომელიც მიჰყავდა მირან გაგოშიანცს, დაეჯახა თამარა ამოს ასულს ჯალაშვილს, რომელიც მსუბუქად დაშავდა.

ქურდების დაპატიმრება

მილიციამ დააპატიმრა: ლუსია არუთინის ასული პეტროსიანცი (უბინაო), არამ არშაკისძე გონოსიანცი, აშოტ სიმონისძე ბაბასჩიანი, თედო ივანესძე გუსჩევი, სერგო ოგანესისძე დინოსოვი (უბინაო) და მუშეგი ალოზვესძე ბალდასარიანცი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ავიაქიმში

მიღება სამხედრო საავიაციო სკოლებში

რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარ სამმართველოს მიერ შემუშავებულია საავიაციო სკოლებში მიღების ვადები.

სამხედრო-თეორეტიულ სკოლაში მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 15 ივნისიდან. სამხედრო-ტეხნიკურ სკოლაში—15 აგვისტოდან. სამხედრო ავიატეხნიკურ კურსებზე—15 აგვისტოდან.

იმ ახალგაზრდებმა, რომლებსაც სურთ შესვლა ხსენებულ სკოლებსა და კურსებზე, უნდა მიმართონ საქ. თავდაცვა-ავიაქიმს.

იურიდიული წევრობა

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა კამპანიის ჩატარებას იურიდიული წევრების მისაზიდათ საზოგადოებაში.

თბილისის ფარგლებში კამპანიის ჩატარება დაევალა ავიაქიმის თბილისის საბჭოს.

იურიდიული წევრების მიღება თავდაცვა-ავიაქიმში გასტანს მიმდინარე წლის 1-ლ მაისამდე.

ავიაქიმის საზამთრო მუშაობა

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, საზამთრო მუშაობის პროგრამა ავიაქიმის ორგანიზაციების მიერ შესრულებულია მთლიანად.

ბევრ ადგილას იწყობოდა საზამთრო ლაშქრობები, მანევრები, სროლა.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათს, 27 თებერვალს თბილისის რადიო-გადამცემი სადგური გადასცემს შემდეგ პროგრამას:

ოქტომბრის საათი—კონცერტი; მოხსენება „კოოპერაცია და თესვის კამპანია"—ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; პოპულიარული გლეხური კონცერტი; საუბარი სანიტარიისა და ჰიგიენის შესახებ ქართულ ენაზე; „კრასნი ვოინ"-ი რადიოთი (წითელარმიელთა გაზეთი რუსულ ენაზე); მოხსენება „შემნახველი სალაროების ორკვირეული" რუსულ ენაზე; კონცერტი. ახალი ამბები, ამინდის ბიულეტენი და დროის შემოწმება.

ნარევი

თოვლის დნობა გეიზერების ორთქლით

სიერა-ნევადის მთებში (ამერიკაში) უღელტეხილი ექვსი თვის განმავლობაში დაფარულია თოვლით, რაც ძლიერ აბრკოლებს მიმოსვლას. უღელტეხილის ახლო არის ცხელი წყაროები (გეიზერები). განზრახულია მილების საშუალებით ორთქლის გაყვანა უღელტეხილზე და თოვლის გადნობა ამ გზით.

მინერალური წყაროები ლენინგრადში

ლენინგრადში, ფულების საჭრელი ქარხნის ეზოში და აბანოების ეზოში (მოიკაზე) მიწის სამუშაოების დროს აღმოაჩინეს მინერალური წყაროები, რომელთა წყალი ჰგავს კრეიცნახის ცნობილ მინერალურ წყაროებს (გერმანიაში).

ყველაზე დიდი ფრინველების სამოშენებლო

მოსკოვიდან 16 კილომეტრის მანძილზე, მოსკოვის ზოოტეხნიკური ინსტიტუტის მეურნეობაში („ლიპოვკა") მოეწყო საბჭოთა კავშირში პირველი უდიდესი ამერიკული ტიპის ფრინველების სამომშენებლო და უზარმაზარი ინკუბატორი „გიგანტი"—წიწილების ხელოვნურად გამოსაჩეკად. ინკუბატორში შეიძლება 1.000 კვერცხის ჩადება ერთდროულად.

დედამიწის მოსახლეობა

საერთაშორისო სტატისტიკურ ბიუროს ცნობით, დედამიწის მოსახლეობა, რომელიც 1910 წ. 1.600.000.000 შეადგენდა, 24 პროცენტით გაიზარდა და ახლა 2.000.000.000 უდრის.

უძველესი ცხოველის ჩონჩხის პოვნა

ცნობილმა მოგზაურმა როი ჩამპენ ენდრიუსმა გობის უდაბნოს (ცენტრალური აზია) სამხრეთ-ნაწილში იპოვა უძველესი უზარმაზარი ცხოველის ჩონჩხი. ეს ცხოველი, როგორც ფიქრობენ, რამოდენიმე ასეული ათასი წლის წინათ ცხოვრობდა. ნაპოვნი ძვლები შესაძლებლად ხდიან ცხოველის ფორმის აღდგენას. დაახლოებით მისი ტანის სიგრძე უდრიდა 240 მეტრს. ცხოველის თვითეული ნაბიჯი 40 მეტრს აღწევდა.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ „კომუნისტში" შემდეგი:

ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო კანტორის საშუალებით (ქვ. № 46-53 და 47-53) მე გამოვიწერე შემდეგი გაზეთები და ჟურნალები: „კომუნისტი", „ზარია ვოსტოკა"; ჟურნალები: „ვსემირნი სლედოპიტ"-ი მე-3 აბონიმენტი, „კრასნაია პანორამა"—დამატებით, „ოგონიოკ"-ი მე-4 აბონიმენტი. შემდეგი მისამართით: თბილისი, კობის ქ., № 13. დავით ს. კილაძეს.

დღემდი „კომუნისტი"-ს და „ზარია ვოსტოკას" გარდა არც ერთი ჟურნალი არ მიმიღია, მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ მივმართე როგორც თბილისის, ისე ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებს. მუდამ დაპირებებით მისტუმრებენ და დღემდე ვერაფერს ვიღებ.

ნუ თუ დასაშვებია ამგვარი დამოკიდებულება კლიენტებთან, რაც მათ სრულებით უკარგავს ხალისს?

ამას უნდა მიექცეს ულოდნელად სერიოზული ყურადღება და აღმოიფხვრას ეს არანორმალური მოვლენა.

დავით ს. კილაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 27 თებერვალს, დღის 11 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ხაჭაპურიძე (ამ.-კავკ. კომ. უნივერსიტეტი), პოლოსოვი (ცენტრ. პარტსკოლა), სიმონ ხუნდაძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), კვიცარიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), ორაგველიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), ჰუმბურიძე (განათლების სახალხო კომისარიატი), გორგაძიძე (განათლების სახალხო კომისარიატი), მთვარელიძე (ქართული მუზფაკი). ბუჯიაშვილი (კომკავშირის ცეკა), ჩხარტიშვილი (პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო).

—:—

ქ. თბ. სახ. უნ-ტის პარტიის და კომკავშირის ბიურო-კოლექტივები აცხადებს, რომ ამა 27 თებერვალს, საღამოს 6 საათზე უნ-ტის კლუბში მოწვეულია სტუდენტთა საერთო კრება რეზერვის უჯრედების ჩამოყალიბების მიზნით. დასწრება პარტიის და კომკავშირის წევრთათვის სავალდებულოა.

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება იწვევს, რომ დღეს, 27 თებერვალს, დღის 2 საათზე მოწვეულია თათბირი. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: კობახიძე (მუშათა და გლეხთა ინსპექციის სასოფლო-სამეურნეო სექცია), მანჯგალაძე (საქართველოს აბრეშუმი), ლიცინოვი (საქართველოს ღვინო), განიერიშვილი (საქართველოს მებამბეობის კომიტეტი), ვადარელი (კოლმეურნეობათა ცენტრი). ბუაძე (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი), ნასიძე (სასოფლო-სამეურნეო ბანკი), დოგლაძე („სოფლის კავშირი").

27 თებერვალს, დღის 11 საათზე ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: 1) ქუთნია („კომუნისტი"), 2) სიხარულიძე („მუშა"), 3) გრიგორიანი („რაბოჩაია პრავდა"), 4) ვოლსკი („ახ. კომუნისტი"), 5) მელიქიანი („პროლეტარი"), 6) ბარათაშვილი („ახალი სოფელი"). 7) ტაგიევი („ენი - ქენდი").

—:—

თბ. სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო-კოლექტივი აცხადებს, კომკავშირის ყველა წევრ-კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ ისინი დღეს, 27 თებერვალს, დღის სრულ 3 საათზე უნდა გამოცხადდნენ ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში (ყოფ. არამიანცის საავადმყოფო).

—:—

დღეს, 27 თებერვალს, დღის 1 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: მარიამ ორახელაშვილი, ჩხარტიშვილი (პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო), მიქაძე, ჭელიძე (საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება), პატარაია (ქართული დივიზია), სნეგიროვი (პოლიტსამმართველო), სოსიანი (თბილისის პოლიტგანი), ჩხეძე (ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო), ვარალოვი (ცეკავშირი), კალინინი (სკოლის გარეშე განათლების სახლი), დოლიძე (ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყ.), დავითიანი (პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო), სანტალოვი (აგიტპროპმუშაკის კაბინეტი), შანსიანი (თბილისის პოლიტგანი). ძიძიგური (თბილისის პოლიტგანი).

ვლადიმერ მანჯგალაძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამხ. ლავრენტი ქართველიშვილის

პატარა ლენას

უდროოდ გარდაცვალების გამო. (შ)

თავზარდაცემული დედა მინადორა, დეიდა მარუსა, დები: თამარა და მარგალიტა ონიანები, ბიძები: ბიქტორ და იასონ სოფრომაძეები და მამიდაშვილი დანიელ ფოჩიანი აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას გარდაიცვალა ძვირფასი და დედის ერთადერთი ნუგეში, სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი

ალიოშა ონიანი

გამოსვენება ქ. პირველ საავადმყოფოდან 27 თებერვალს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ქუთაისში 28 თებერვალს. (შ)

საქ. უნივ. ა.ლ.კ.კ. ბიურო—კოლექტივი და პედ. ფაკ. ორივე უჯრედის ბიუროები ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 24 თებერვალს უდროოდ გარდაიცვალა ამავე ბიურო კოლექტივის წევრი და კომკავშირის თავდადებული მუშაკი ამხ.

ალექსანდრე (ალიოშა) ონიანი

გამოსვენება 1-ლ საავადმყოფოდან 27 თებერვალს 3 ნახ. საათზე. 616

სახ. უნივ. სტ. ადმახბიურო და განათლების მუშაკთა პროფ-სექცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს განათლების კავშირის პროფკომის აქტიური წევრის ამხ.

ალიოშა (ალექსანდრე) ონიანის

გარდაცვალების გამო. 615

სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული დარგის სტუდენტები: აკ. ქავთარაძე, ს. ყალიჩავა, ნ. ბაბილოძე, ჟ. თვალიაშვილი, ჟ. შავგულიძე, მ. გოგოშიძე, ლ. ტიტვინიძე, გ. ტუღუში ღრმეს მწუხარებით იუწყებიან

ალიოშა ონიანის

უდროოთ გარდაცვალებას. 621

სახ. უნივერ. სტუდენტები: დ. აბუთიძე, გ. ქელიძე, შ. სალუქვაძე, ქ. ქაჯაია, ლ. მეგრელიშვილი, ო. ბახტაძე, დ. სილაგაძე, დ. კუბლიაშვილი, ს. ყალიჩავა და მ. მჟავია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ძვირფასი ამხანაგის

ალიოშა ონიანის

უდროოდ დაკარგვის გამო. 617

სტუდენტები: შ. ფაჟავა, თ. ზანთარაია, ვ. იმნაიშვილი, ს. ძნელაძე, შ. გობრონიძე, ა. გეგენავა, ქ. ბახტაძე, პ. ხელაძე, ზ. რამიშვილი, ი. მაისურაძე ღრმეს მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამხ.

ალიოშა ონიანის

გარდაცვალებას. 619

გულდაწყვეტილი ამხანაგები: გ. ხეცურიანი, ათანასე და ალექსანდრე ჩხეტიანები; გიორგი, ქვაჭვალა და აბესალომ სვანიძეები, ნინა ბრეგვაძე და ქ. მუშკუდიანი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ.

ალიოშა ონიანის

უდროოდ დაკარგვის გამო. (შ)

დ. ფოჩიანი, სანდრო და გრიგოლ გაბიანები, ვასილ, ვატი, ქელეშბი, პილი და გრიგოლ ონიანები, ო. თედორაძე და ვ. ჯინჭარაძე აუწყებენ ამხანაგებს საყვარელ მეგობრის

ალიოშა ონიანის

გარდაცვალებას. (შ)

ღრმად დამწუხრებულნი და ლუნა, სიძე შალვა ქაჯაია შვილებით—როზიტა, ომარი, შარლოტა და ციალათი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 22 თებერვალს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

შალიკო ელეფთერის-ძე დგებუაძე

დაკრძალვა 28 თებერვალს, ვერის სასაფლაოზე გამოსვენება კომუნალური ქუჩა № 55, დღის 4 საათზე. 604

გულდათუთქულნი დეიდები—აგრაფინა, მინადორა და დესპინე, ბიძები—პლატონ და ლონგინოზ წულეისკირები აუწყებენ ნათესავებს, რომ 22 თებერვალს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

შალიკო ელეფთერის-ძე დგებუაძე

დაკრძალვა 28 თებერვალს, 4 საათზე, ვერის სასაფლაოზე თბილისში. 604

დამწუხრებული მეგობრები ისაკი, ანიჩკა, შვილით ნადარეიშვილები აუწყებენ ნაცნობმეგობრებს დაუვიწყარ მეგობრის

შალვა ელეფთერის-ძე დგებუაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 2313

გულდამწვარი დედა სოფიო (გოგოლა) მიხეილის ასული და ძმა ალექსანდრე (ალიოშა) ბოკერიები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტის

მიხეილ (მიშა) სამსონის-ძე ბოკერიას

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ოთხშაბათს, 27 თებერვალს, 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი 3 ნახ. საათზე ვარდისუბნის ქ. № 7. 607

ივანე გრიგორის-ძე ამირალოვი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფას და საყვარელ მეგობრის

მიხეილ (მიშა) ბოკერიას

უდროოთ გარდაცვალების გამო. გამოსვენება საკუთ. ბინიდან 27 თებერვალს, 4 საათ. (ვარდისუბნის ქ. № 7). 623

შალვა კილაძე, პროკოფი ნემსაძე, დათიკო მესხი და პოკო გოცირიძე ვგლოვთ ძვირფას მეგობრის

მიშა ბოკერიას

უდროოთ დაკარგვას. 622

უზომოთ დამწუხრებული ტატიანა ბესარიონ გაბუნიას ასული, შალვა და პიქიკო გაბუნიები აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი მეგობრის

მიხეილ (მიშიკო) სამსონის-ძე ბოკერიას

უდროოთ დაკარგვას. 610

უღრმესად დამწუხრებული ბიცოლა ეკატერინა ბოკერიასი შვილებით—პეტრე, პავლე და ქეთო აუწყებენ საზოგადოებას

მიხეილ (მიშიკო) სამსონის-ძე ბოკერიას

უდროოთ დაკარგვას. 608

უღრმესად დამწუხრებული ბიძაშვილები: პლატონ, იასონ და სერგო ბოკერიები ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და საზოგადოებას ძვირფასი ძმის, პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტის

მიხეილ (მიშა) სამსონის-ძე
ბოკერიას

უდროოთ დაკარგვას. გამოსვენება ოთხშაბათს, 27 თებერვალს 4 საათზე, ვარდისუბნის ქ. № 7. 606

ღრმათ დამწუხრებულნი ელისაბედ ანდრიას ასული გუგუშვილისა, რძლით თამარა პეტრეს ასულით, შვილებით თამარა, გოგი, მეგრელა, ზალიკო, ნატალო, შვილიშვილი თინიკო აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას მამიდაშვილის, უკანასკნელის ბიძის

მიხეილ (მიშა) სამსონის-ძე
ბოკერიას

უდროოთ გარდაცვალებას. 618

უღრმესად დამწუხრებული უახლოესი მეგობრები: მანუელ აფხაიძე, ვანიკო აბაშიძე, ალიოშა შელია და ტიტიკო ბაქრაძე აუწყებენ მეგობრებს და ამხანაგებს პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტის

მიხეილ (მიშიკო) სამსონის-ძე ბოკერიას

უდროოთ გარდაცვალებას. 609

თავზარდაცემული მეუღლე ვალოდია და შვილი ლილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

თამარა ნარიმანის ასული ებრალიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ჩოხატაურში, ხუთშაბათს, 28 თებერვალს. დეპ.

გრიგოლ ზურაბის-ძე და ნადეჟდა ივანეს ასული შვილებით: ზურაბი მეუღლე მარიამით, ვერა, ეკატერინე, ვლადიმერ, სიმონ, სოფიო, ანა, ბარბალე და ივანე თავიანთი ოჯახებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ქ. ბათომში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ალექსანდრე ზურაბის-ძე
წერეთელი

დაკრძალვა ქალ. ბათომში ოთხშაბათს, 27 თებერვალს. 613

თამარა ივანეს ასული აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ქალ. ბათომში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი მისი მეუღლე

ალექსანდრე ზურაბის-ძე
წერეთელი

დაკრძალვა ქალ. ბათომში ოთხშაბათს, 27 თებერვალს. 612

სახელმწიფო კინოები

განთიადი	არაჩვეულებრივი სურათი	ყინულთა სამეფოში (ლაშქრობა ყინულებში)
აპოლო	მხატვრული სურათი	სალამანდრა სცენარი ა. ლუნაჩარსკის და გ. გრებნერის
მინიონი		რეჟისორი როშალი. ოპერატორი ფორესტიე
სოლეი	მხოლოდ ერთ დღის	ორი ქმრის ცოლი
არფასტო	უკანასკნელი დღე	მეშვიდე ცაზე ლოიდ გაროლდის მონაწ.
პალასი	ნინალი მხატვრულ სურათში	ქარიშხლის კანონები
დარბაზი		ტარზანი—ჯუნგლების მბრძანებელი 3 და 4 სერია
პროლეტარი ავლაბარი	მხატვრული სურათი	კომუნარის ჩიბუხი რეჟისორი კ. მარჯანიშვილი

ცირკი
კოლოსი
ტელეფ. № 8—64

3—1 ნ. 2315

დღეს
განახლებული სანახაობა
პროგრამა 3 განყოფილებად
ტურნიკზე მოვარჯიშეთა დასის ალისონის გასტრ.
ზანგების ჩეჩოტკების შემსრულებლის ბოჩკოვსკის გამოსვლა. მონაწილეობს აგრეთვე მთელი დასი.
ილიუზიონისტ ფრანკფორდის და სხვ. გამოსვლა
გარდა ამისა დარიგდება დიდძალი საჩუქრები თავდაცვა-ავიაქიმის ლატარიით. გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ ყველა მაყურებელნი.
დასაწყისი 8 ნახ. საათზე
წაიკითხეთ აფიშები !!!

ყველა
ხელისმომწერლების და კონტრაგენტების
საყურადღებოდ
გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობა აცხადებს, რომ წლიური ხელის მოწერა გაზეთზე კარლ მარქსის „კაპიტალი"-ს დამატებით შეწყვეტილია

საქ. ს. მ. უ. საბჭოს ლითონის მრეწველობის ტრესტი
„ლითონტრესტი"
აუწყებს ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას, რომ
ტრესტის სამმართველო ა. წ. 27 თებერვლიდან
გადავიდა
ახალ ბინაზე—ყვირილას ქ., № 9, ტელეფ. № 20—53
ყველა ცნობისათვის და დაკვეთისათვის უნდა მიმართოთ ახლი მისამართით. ნ. 2316

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ხუთშაბათიდან, 28 თებერვლიდან
კინო-თეატრებში
არფასტო და სოლეი
მხატვრული სურათი
ასია
ი. ს. ტურგენევას როლში ქ. ხოხლოვი
ვ. პ. ტურგენევას როლში დამსახურებ. არტისტი ნ. სკარსკაია
ნ. ა. ნეკრასოვის როლში ნ. კარენინი
ასიას როლში ოლგა როზოვსკაია
ნ. 2317

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობა
აცნობებს ქ. ქუთაისისა და მისი რაიონის ხელისმომწერლებს, რომ
ა. დიდმანიძე 1929 წლის 10 თებერვლიდან
გამომცემლობის სამსახურში აღარ
ითვლება
და მას უფლება არა აქვს გამომცემლობის სახელით გაასწოროს რაიმე ანგარიში
3—2

განცხადებების შემკრები აგენტი მოქ.
მაქსიმე ონისიმეს ძე გაყონია
1928 წლის დეკემბრის 14-დან მოხსნილია სამუშაოდან და მასზე გაცემული მოწმობები
გაუქმებულია
3—2 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

ქ. თბილისის მე-4 უბნ. სასამართ. აღმასრულებელი
ა. გიორგაძე
აცხადებს, რომ ის 1929 წ. 2 მარტს დღის 2 საათზე სახლში № 90 საბჭოს ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. პილოს პოლოსისძე მიქაელიანცის ერთ სახლს ორ სართულიანს, 12 ოთახიან 4 სამზარეულოთი და ერთი სამრეცხაოთი შეფასებულს 1.100 მანეთად მოქ. აიკანუშ უნიოევის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის სახელმწიფო სინოტარო კანტორისაგან 12 იანვარს 1929 წლის თარიღით გაცემული აღმასრულებელ წარწერისა № 38. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ს. ს. ს. კ. 301, 310, 312, 313, 315 და 316 მუხლებში გათვალისწინებულ წესების დაცვით. 620

მოითხოვეთ !!!
სურნელოვანი ფრანგული ყავა
ფორს
მუშკოოპის ყველა მაღაზიაში 100 გრამიანი კოლოფი 43 კ.
4—2 წარმოება საბჭოთა ქუჩა № 68. ნ. 2302

გაზეთ „კომუნისტი"-ს წლიურ ხელისმომწერთა (თბილისის) საყურადღებოთ
ცხადდება, რომ მათ აუცილებლივ უნდა შემოიტანონ მთავარ კანტორაში
მარტის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ.
თებერვლის დამლევამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა 1-ლ მარტიდან შეწყვეტილი იქნება.
პროვინციის წლიური ხელისმომწერლებმა მარტის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ. მთლიანად, ფოსტის ხარჯების გამოუკლებლივ, აუცილებლივ უნდა გამოუგზავნონ მთავარ კანტორას თბილისში (რუსთაველის პრ. № 34) იმ ვარაუდით, რომ ამ უკანასკნელმა იგი მიიღოს მარტის 1-მდე. წინააღმდეგ შემთხვევაში—მარტის 1-ან მათაც შეუწყდებათ გაზეთ „კომუნისტი"-ს გზავნა.
0—7 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, კერძო დაწესებულებებს, წარმოებებს და სახლის გამგეობებს
ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების თბ. საბჭომ თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დავალებით
გამოსცა
სახანძრო საკონტროლო
წიგნები
თანახმად თბილისის აღმასკომის სავალდებულო დადგენილებისა 1929 წლის 30 იანვრის თარიღით № 39, ნაწილი 1-ლი § 23, რომლის თანახმად ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული, კერძო დაწესებულებანი და წარმოებანი, ფაბრიკები, ქარხნები, საწყობები, ბეღლები, პაკჰაუზები, სახელოსნოები და სხ. შენობები, აგრეთვე, სახლები, რომლებიც ეკუთვნის უძრავ ქონებათა სამმართველოს, საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებს, სამხედრო უწყებას, განათლების განყოფილებას, სხვა უწყებებს და კერძო პირებს,
ვალდებულნი არიან იქონიონ სახანძრო-საკონტროლო წიგნები დაწესებული ფორმით
ყველა წინეთ გამოცემული სახანძრო-საკონტროლო წიგნები გაუქმებულია.
სახანძრო-საკონტროლო წიგნები გავრცელებულ იქნება აგენტების საშუალებით, რომლებსაც ექნება ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოს სათანადო მოწმობა. წიგნები გაიყიდება აგრეთვე კანტორაში: თავისუფლების მოედანი (ყოფ. თამამშევის ქარვასლა) მესამე სართული, დარაბა № 30314.
თითო წიგნის ფასი 1 მანეთი
ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭო. 2—2 ნ. 2299

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.
ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).
ნ. 25

უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
კლინიკაში
საღამოობით 4—6 საათამდე სწარმოებს ავადმყოფების მიღება დაკლებულ ფასებში. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126
ნ. 19—25 -11

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და ხანაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.
18—ნ. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების ტ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოქს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—6

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-8

კალინინის ქუჩა № 33
(ყოფ. ნიკოლოზის)
ექ. ი. დ. თოფურიძე
კანის, ვენერიული და სიფილისი (გონორეიის გართულებები)
მამაკაცები 8—10 დილით—6—8 საღ. ქალები 10—11 დილით

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს)" პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)
მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

დაიკარგა: პირადობის მოწმობა, გაცემული ბაქოს მე-4 რაიონის მილიციიდან № 567 ანნა პავლეს ას. დალეშინსკის სახელზე, ჩ. ჯ. 614

დაიკარგა მოწმობა შვიდწლედის დამთავრების შესახებ, გაცემული 1922 წელში ქუთაისის 1-ლი ცხრაწლედის მიერ გაბრიელ ბენიამინის ძე ბუზიაშვილის სახელზე, ჩ. ჯ. ნ. 2314

დაიკარგა: სამხედრო იაალრიცხვო წიგნი № 612799 ივანე ასლანის ძე ქსოვრელის სახელზე, ჩ. ჯ. ნ. 611

დაიკარგა: ხელოსანთა კავშირის წიგნაკი № 263 და მონადირეთა კავშირის ბილეთი № 2776 ვასილი ისაკის ძე საგინაშვილის სახელზე ჩ. ჯ. 60

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამის ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.